

სააქციო საზოგადოება

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“¹

(საიდენტიფიკაციო კოდი: 404967078)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს ობლიგაციების საბოლოო პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“, ან „პროცენტი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი, დემატერიალუზებული ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) შეთავაზების პირობები. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი. ობლიგაციების გამოშვების თარიღია 27 დეკემბერი.

ფასიანი ქაღალდის დასახელება	სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404967078) მისამართი: ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, თბილისი, საქართველო. ელ. ფოსტა: info@mbc.com.ge ვებ-გვერდი: https://mbc.com.ge/ ტელეფონი: (995 32) 250-50-02
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206) მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, პუშკინის ქ. N3 ელ-ფოსტა: st@gt.ge ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en ტელეფონი: (+995 32) 24401-111;
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებგვერდი: www.nbg.gov.ge

¹ „სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრობიზნეს კაპიტალისთვის“ (ს/ნ: 404967078) მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 05 დეკემბრის №472 განკარგულების საფუძველზე, „ემიტენტს“ მიენიჭა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ემიტენტის“ ოფიციალური იურიდიული დასახელება შეიცვლება, როგორც „მიკრობანკი - მიკრო ბიზნეს კაპიტალი“. ოფიციალური იურიდიული დასახელების ცვლილების საორიენტაციო თარიღია 2024 წლის დეკემბრის ბოლო.

	ტელ: (995 32) 240 6406 ფაქსი: (995 32) 240 6577
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	26 დეკემბერი, 2024
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700605019 - 1 - 03
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN	GE 2700605019
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების თარიღის დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი



26 დეკემბერი, 2024 წელი.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (ს/ნ: 404967078)

პასუხისმგებელი პირის განცხადება:

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *„ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.*

ხელმოწერილია სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ტარას ნიჟარაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 26.12.2024

ხელმოწერი

სახელი, გვარი: გია პეტრიაშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 26.12.2024

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი

სახელი, გვარი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 26.12.2024

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

<p>ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი)</p>	<p>ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (TIBR3M) (რომელიც გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr) დამატებული 425 საბაზისო პუნქტი, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. საპროცენტო სარგებელი კორექტირდება საკრედიტო რეიტინგის ცვლილების მიხედვით (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი 6 „საპროცენტო სარგებელი“)</p> <p>საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კომპანიის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგზე და ის შეიძლება შეიცვალოს ობლიგაციების პირობებსა და წესებში განსაზღვრული წესების შესაბამისად (ობლიგაციების პროსპექტში იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეთავი 6 „საპროცენტო განაკვეთი“)</p>
<p>ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები</p>	<p>ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.</p>
<p>სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა</p>	<p>ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების და განთავსების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ოთხჯერ 27 მარტს, 27 ივნისს, 27 სექტემბერსა და 27 დეკემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2025 წლის 27 მარტს.</p>
<p>ობლიგაციების ვალუტა</p>	<p>ობლიგაციები დენომინირებულია ლარში</p>
<p>ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები</p>	<p>„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.</p>
<p>ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა</p>	<p>ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის</p>
<p>ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი</p>	<p>კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტო. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის B+ სტაბილური პერსპექტივით.</p>
<p>ობლიგაციების დაფარვის თარიღი</p>	<p>ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის</p>

	არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2026 წლის 27 დეკემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. “ემიტენტი” აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების პირობებს. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE Listing Rules. თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE Listing Rules.
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ არასუბორდინირებულ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	კომპანიის პოლიტიკის თანახმად, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები გაიცემა წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წელს, აქციონერთა მორიგი კრების გადაწყვეტილებით, კრების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. დაუშვებელია ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გადახდა, თუ არ ხდება პრივილეგირებული აქციების დივიდენდის გადახდა. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდი გაიცემა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით წელიწადში ორჯერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდის გადავადების ან დივიდენდის არ გადახდის შესახებ. (დივიდენდების პოლიტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „დივიდენდების პოლიტიკა“)

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	30,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2026 წლის 27 დეკემბერს.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია.
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია.
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი.
ობლიგაციების რაოდენობა	200 (ორასი) ცალი.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარი.
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2024 წლის 27 დეკემბერს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შექმნა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2026 წლის 27 დეკემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	<p>„ემიტენტის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს.</p> <p>საქართველოს კანონის „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მიკრობანკისთვის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში იწყება მისი ლიკვიდაცია. „მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №121/04 ბრძანების შესაბამისად, „კომპანიის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების რიგითობით:</p> <p>არ არის უპირატესი დეპოზიტარების, უზრუნველყოფილი კრედიტორების, კომპანიის ნებისმიერ ამჟამინდელი ან მომავალი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც კანონით ან/და მისი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებზე.</p> <p>უპირატესია „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე და „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც კლასიფიცირდება კომპანიის კაპიტალის პირველად და მეორად ინსტრუმენტად ან რომლებიც კანონით ან/და მათი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.</p> <p>დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები“.</p>
კალკულაციის და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206).
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 10, „დეფოლტის შემთხვევები“).

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება საბანკო ვალდებულებების რეფინანსირებას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის სექცია: „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ფინანსურ ინსტიტუტებსა და კომპანიის აქციონერებზე.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 2%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან, კერძოდ, განთავსების აგენტის და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ („Bank of Georgia Group PLC“). ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტ 2-სა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „საქართველოს ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

„კომპანია“ ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

სააქციო საზოგადოება

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“²

(საიდენტიფიკაციო კოდი 404967078)

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

30,000,000 (ოცდაათ მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები, გამოშვებული ერთი ემისიით. ემისიის თარიღს აზუსტებს აღნიშნული ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების დოკუმენტი. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი; ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორცაა ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტალური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი.

ობლიგაციების საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დადგინდება სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“, „ემიტენტი“, „MBC“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის *ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.*

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

² სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრობიზნეს კაპიტალისთვის“ (ს/ნ: 404967078) მიკრობიზნეს კაპიტალისთვის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 05 დეკემბრის №472 განკარგულების საფუძველზე, „ემიტენტს“ მიენიჭა მიკრობიზნეს კაპიტალისთვის საქმიანობის ლიცენზია. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ემიტენტის“ ოფიციალური იურიდიული დასახელება შეიცვლება, როგორც „მიკრობიზნესი - მიკრო ბიზნეს კაპიტალი“. ოფიციალური იურიდიული დასახელების ცვლილების საორიენტაციო თარიღია 2024 წლის დეკემბრის ბოლო.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (ს/ნ: 404967078)

პასუხისმგებელი პირის განცხადება:

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *„ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში მესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.*

ხელმოწერილია სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ტარას ნიჟარაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა: 

თარიღი: 23.12.2024

ხელმოწერი

სახელი, გვარი: გია პეტრიაშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა: 


თარიღი: 23.12.2024

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი

სახელი, გვარი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა: 

თარიღი: 23.12.2024

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩვეელი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით. მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციის და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსებისა და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან (ბ) რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს სს „გალტ ენდ თაგარტს“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, პუშკინის ქ. N3, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალს“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“ ან „MBC“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და (iii) არის პირი,

რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ დამტკიცებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

26

2024

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა.....	19
შესავალი.....	19
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	24
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	29
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ:.....	42
მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ.....	42
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ.....	43
მოკლე ინფორმაცია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ	44
შეთავაზების პირობები და ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები: ...	45
რისკის ფაქტორები.....	46
<i>ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები.....</i>	<i>46</i>
<i>ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები</i>	<i>60</i>
<i>შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები</i>	<i>67</i>
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	71
სარეგისტრაციო დოკუმენტი	72
დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი	72
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	72
ძირითადი საქმიანობა.....	73
ძირითადი ბაზრები	77
საბანკო სექტორის მიმოხილვა	83
ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა.....	89
სამომავლო სტრატეგია და მიზნები	89
ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა	91
ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა	93
ფინანსური მდგომარეობა.....	93
საოპერაციო შედეგები	102
კაპიტალიზაცია და დავალიანება	106

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა.....	120
მარეგულირებელი ჩარჩო	123
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი	144
თანამშრომლები	154
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	154
დივიდენდების პოლიტიკა.....	156
სასამართლო პროცესები	158
ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა.....	160
კაპიტალი	161
დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში	165
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა	166
მნიშვნელოვანი ინფორმაცია.....	166
ობლიგაციების გამოშვების პირობები.....	168
1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება.....	169
2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება.....	169
(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა	169
(ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა.....	171
(გ) ობლიგაციების გასხვისება.....	171
(დ) ფასის დადგენა.....	172
(ე) განთავსება	172
3. სტატუსი	172
4. ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე.....	173
5. დათქმები.....	174
(ა) “უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა:	174
(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:	174
(გ) შერწყმა:.....	174
(დ) გასხვისება:.....	176
(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები.....	177
(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:	178

(ზ) აკრძალული გადახდები:.....	178
(თ) „ვალდებულება“	179
(ი) ინფორმაციის გამჟღავნება:	179
(კ) კანონთან შესაბამისობა:.....	180
(ლ) საქმიანობის ცვლილება:.....	180
6. საპროცენტო სარგებელი.....	180
7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა.....	183
(ა) გამოსყიდვა:.....	183
(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:.....	184
(გ) შექმნა:	184
8. გადახდები	184
(ა) ანგარიშსწორება:.....	184
(ბ) აგენტების დანიშვნა:	185
(გ) გაანგარიშება და გადახდა:.....	185
(დ) ფისკალური კანონმდებლობა:	186
(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:	186
9. დაბეგვრა	186
10. დეფოლტის შემთხვევები	186
(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:	186
(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:	186
(გ) ჯვარედინი დეფოლტი:.....	186
(დ) გადახდისუუნარობა:.....	187
(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:.....	187
(ვ) აღსრულება:	187
(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:	188
(თ) ნამდვილობა და უკანონობა:.....	188
11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა.....	188
ა) „ობლიგაციონერების“ კრებები	188
ბ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:.....	189
გ) ხმის მიცემა:.....	190

დ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება	191
12. აღსრულება	191
13. პუნქტის ბათილობა	191
14. შეტყობინებები	192
15. ტერმინთა განმარტება	194
16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია	199
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში	201

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება	„სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“-ს ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	<p>სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“; საიდენტიფიკაციო კოდით 404967078</p> <p>მისამართი: ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, თბილისი, საქართველო.</p> <p>ტელეფონი: (995 32) 250-50-02</p> <p>ელ-ფოსტა: info@mbc.com.ge</p>
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	<p>სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206)</p> <p>მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, ჭუჭინის ქ. N3,</p> <p>ტელეფონი: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111;</p> <p>ელ-ფოსტა: sales@gt.ge</p> <p>ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en</p>
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	<p>საქართველოს ეროვნული ბანკი,</p> <p>მისამართი: ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, 0114, თბილისი</p> <p>ტელეფონი: +995 322 406 406;</p> <p>ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge;</p> <p>ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge</p>
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	26 2024
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად

ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამოზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

სამომავლო განცხადებები

წინამდებარე „პროსპექტი“ მოცემული განცხადებების ნაწილი შესაძლებელია წარმოადგენდეს „სამომავლო განცხადებებს“. სამომავლო განცხადებები შეიცავს განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ინფორმაციას.

ისეთი სიტყვები, როგორცაა „მოსალოდნელი“, „სავარაუდო“, „მიზანი“, „პოტენციური“, „ელის“, „სჯერა“, „მიზნად ისახავს“, „ვარაუდობს“ „შეიძლება“, „უნდა“, „შესაძლებელია“, „გეგმა“, „მიღწევა“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გამოხატავს სამომავლო განცხადებებს, მაგრამ არ არის ერთადერთი საშუალება ამგვარი განცხადებების იდენტიფიცირებისთვის.

თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, სამომავლო განცხადებები შეიცავს დამახასიათებელ რისკებს და გაურკვევლობებს, როგორც ზოგადს, ასევე კონკრეტულს, და არსებობს რისკი, რომ ვარაუდები, პროგნოზები და სხვა სამომავლო განცხადებები ვერ იქნება მიღწეული. აღნიშნული რისკები, გაურკვევლობები და სხვა ფაქტორები, მათ შორის, მოიცავს „რისკის ფაქტორებში“ და ასევე „პროსპექტის“ სხვა ნაწილებში ჩამოთვლილ ფაქტორებს. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლებელია გამოიწვიოს ფაქტორები შედეგები, რომლებიც არსებითად განსხვავდება სამომავლო განცხადებებში მოცემული გეგმებისგან, მიზნებისგან, მოლოდინებისგან, ვარაუდებისგან და განზრახვებისგან. აქვე აღნიშნული ჩანაწერი არ ეხება და არ ათავისუფლებს „ემიტენტს“ პროსპექტის „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრული ვალდებულებებისგან.

შესაბამისად, ინვესტორები ზედმეტად არ უნდა დაეყრდნონ სამომავლო განცხადებებს და, სამომავლო განცხადებების განხილვისას, ფრთხილად უნდა გაანალიზონ აღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები. წინამდებარე „პროსპექტი“ სამომავლო განცხადებები მოცემულია „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისათვის არსებული მდგომარეობით. „კომპანია“ არ იღებს ვალდებულებას განაახლოს ან შეასწოროს რომელიმე მათგანი (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საფუძვლით), გარდა გამოსაყენებელი სამართლით განსაზღვრული შემთხვევებისა. „კომპანია“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას ან ვარაუდს და არ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ სამომავლო განცხადებებით ნავარაუდები შედეგები მიღწეულ იქნება, და ამგვარი სამომავლო განცხადებები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს რამდენიმე მოსალოდნელი სცენარიდან ერთ-ერთს და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ყველაზე მეტად მოსალოდნელი ან სტანდარტული სცენარი. წინამდებარე გამაფრთხილებელი განცხადებები ეხება „კომპანიის“ ან „კომპანიის“ სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ გაკეთებულ ყველა სამომავლო განცხადებას და ასევე წინამდებარე „პროსპექტში“ მოცემულ, მესამე პირების მიერ გაკეთებულ ნებისმიერ პროგნოზს. აქვე აღნიშნული ჩანაწერი არ ეხება და არ ათავისუფლებს „ემიტენტს“ პროსპექტის „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრული ვალდებულებებისგან.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. გააჩნდეს ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. შეეძლოს შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.
- vi. გააჩნდეს ინფორმაცია, რომ მიკრობანკის მიერ ფიზიკური პირებისგან მოზიდული სესხების ჯამური მოცულობა (რაშიც არ შედის საჯარო შეთავაზების ფასიანი ქაღალდები და მიკრობანკის აქციონერის/დამფუძნებლის მიერ მიკრობანკზე გაცემული სესხები) არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს, ერთ მსესხებელზე ჯამური სესხის მაქსიმალური ლიმიტი კი 1,000,000 ლარი, რაც საზედამხედველო კაპიტალის 5%-ზე ნაკლებია.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები:

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები 2023, 2022 და 2021 წლებისთვის (<https://reportal.ge/>)
- ემიტენტის ნახევარ-წლიური (არააუდიტირებული) ფინანსური ანგარიშგება 2024 და 2023 წლების ნახევარი წლისთვის (<https://reportal.ge/>)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)
- საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://nbg.gov.ge/>)

- „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევების დეპარტამენტი (www.gt.ge)
- ანგარიშგების პორტალი (<https://reportal.ge/>)
- სარეიტინგო სააგენტო “Scope Ratings” (<https://scoperatings.com/>)

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.”

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

ემიტენტი არის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404967078). მისამართი: ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, თბილისი, საქართველო. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

„კომპანია“ დაარსდა 2013 წელს. მისი ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემას მოიცავს და დამატებით მომხმარებელს სთავაზობს როგორც სხვადასხვა ტიპის საკრედიტო პროდუქტს, ასევე კომპანიის სერვისები მოიცავს ვალუტის გაცვლის ოპერაციებს, გზავნილებს, კომუნალური გადახდის მომსახურებას და სხვა. კომპანიის მიზანია გახდეს ლიდერი მიკრობანკი ქართულ ბაზარზე. „სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრობიზნეს კაპიტალისთვის“ (ს/ნ: 404967078) მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 05 დეკემბრის №472 განკარგულების საფუძველზე, „ემიტენტს“ მიენიჭა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია. და იგი მიკრობანკის სტატუსით ოპერირებას დაიწყო ამ წლის 26 დეკემბრიდან. კომპანია საქართველოშია რეგისტრირებული და მის საადრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საიდენტიფიკაციო ნომრით 404967078.

დღეისათვის კომპანიას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს კომპანიის ერთპიროვნული მაკონტროლებელი³ მხარე. პროსპექტის შედგენის მდგომარეობით, „კომპანიის“ აქციებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები და შეადგენდნენ „აქციონერთა ჯგუფს“:

აქციონერები	მთლიანი ჩვეულებრივი აქციების პროცენტული ღირებულება	A ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა	B ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	31.76%	27,000	100
ოთარი რუხაძე	14.42%	108,000	400
თენგიზ მაზიაშვილი	9.29%	33,750	125
ტარას ნიჟარაძე	8.25%	99,900	190
მურმან ამბროლაძე	7.98%	13,500	50
გოდერძი მელაძე	6.65%	40,500	150
გიორგი გოთოშია	6.65%	13,500	50
გიორგი ვაჩნაძე	5.48%	14,850	55
შპს ჯეიბი	2.66%	27,000	100
ეთერი ჩაჩიბაია	2.00%	0	0
გიორგი ღვალაძე	1.95%	0	0
თათია ჯაჯანაშვილი	1.49%	0	0
ნინო დევდარიანი	1.42%	0	0
სულ	100%	378,000	1,400

³ განიმარტება ფასს 10 -ის მიხედვით, რომელიც კონტროლს განმარტავს როგორც შემთხვევას, როდესაც სრულდება ყოველი შემდეგი პირობა: ინვესტორს გააჩნია ძალაუფლება კომპანიაზე - გააჩნია უფლებები, რათა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე; ინვესტორს გააჩნია უფლება მიიღოს ცვლადი შემოსავლები კომპანიაში ჩართულობიდან გამომდინარე; ინვესტორს გააჩნია შესაძლებლობა, თავისი ძალაუფლებით გავლენა მოახდინოს ინვესტორის შემოსავლებზე.

**პროცენტული წილები გამოთვლილია აქციონერების ფლობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის მიხედვით. ჩვეულებრივი და პრივილეგიებული აქციებისთვის ხმის უფლებები დეტალურად აღწერილია ქვეთავში „აქციონერთა უფლებები“.*

განვითარების საწყის ეტაპზე „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა იყო უძრავი ქონებითა და ავტომობილით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა. 2016 წლიდან MBC-მ აქტიურად დაიწყო ბიზნეს სექტორის დაკრედიტება. 2018 წლის ბოლოდან კომპანიამ დაიწყო აგრო პორტფელის განვითარება. დღეს კომპანიის საკრედიტო მიმართულება პროდუქტების ფართო სპექტრს მოიცავს:

- ბიზნეს სესხები
- აგრო სესხები
- იპოთეკური სესხები
- ავტო სესხები
- სამომხმარებლო სესხები

დღეისათვის კომპანია წარმოდგენილია საქართველოს 8 რეგიონში, 17 სერვის ცენტრით. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

მოკლე ინფორმაცია საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორთან დაკავშირებით


2010 წლის შემდეგ მიკროსაფინანსო სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სექტორის აქტივების ზრდის ტემპმა (CAGR) 2010-2016 წლებში 36.7% შეადგინა, ხოლო მთლიანი სესხების პორტფელის საშუალო ზრდის მაჩვენებელი (CAGR) ამავე პერიოდში 35.9% იყო. თუმცა, 2017-19 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო, მიკროსაფინანსო კომპანიების რაოდენობა განახევრდა და 2024 წლის მეორე ნახევარში 34 შეადგინა. დამატებით, სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი სს კრედო 2017 წლის დასაწყისში გახდა კომერციული ბანკი, რამაც საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად დიდი ზეგავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო სექტორის აგრეგირებულ ინდიკატორებზე.

სექტორში საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, დასტაბილურდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივების ზრდის ტემპიც (CAGR) და 2017-2023 წლებში 4.8% შეადგინა, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2,245 მილიონი ლარია (წლიური 15.6%-იანი ზრდა), აქედან 1,474 მლნ ლარი ვალდებულებებით (წლიური 18.6%-იანი ზრდა, ხოლო CAGR 2017-2023 2.2%), 771 მლნ ლარი კი (წლიური 10.4%-იანი ზრდა, ხოლო CAGR 2017-2023 10.9%) საკუთარი კაპიტალით ფინანსდება.

გამკაცრებული რეგულაციების ფონზე, მიკროსაფინანსო სექტორის შემოსავლიანობა 2016 წლიდან შემცირდა და 2019-2024 წლებში და 23-24%-ის ფარგლებში მერყეობს.

მიკროსაფინანსოების სახსრების ღირებულება სტაბილურია და საშუალოდ 11%-ის ფარგლებშია 2019-2024 წლებში, სპრედი კი საშუალოდ 13%-ია ამავე პერიოდში.

დიაგრამა 2: მიკროსაფინანსოების შემოსავლიანობა და სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა 1: შემოსავლიანობის მრუდი ასახავს საპროცენტო შემოსავლების ფარდობას მილიან სასესხო პორტფელთან, ხოლო ეფექტური შემოსავლიანობა დამატებით მოიცავს საკომისიო შემოსავალსაც, კოეფიციენტები დათვლილია ლარში გამოსახული ჯამური მაჩვენებლებით.

შენიშვნა 2: 2018 წელს შემოსავლიანობის ზრდა ერთჯერადი ეფექტია და გამოწვეულია წლის ბოლოს ზოგიერთი მიკროსაფინანსოს (ძირითადად ყოფილი ონლაინ სესხების გამცემი სუბიექტების) ბაზრიდან გასვლით და პორტფელის შემცირებით, მაშინ, როდესაც ზემოთხსენებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო შემოსავლები სექტორის ჯამურ შემოსავალში აღირიცხა.

მიკროსაფინანსო სექტორთან დაკავშირებით, დეტალური მიმოხილვა წარმოდგენილია პროსპექტის სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეთავში „ბაზრის მიმოხილვა - მიკროსაფინანსო სექტორი“.

მოკლე ინფორმაცია საბანკო სექტორთან დაკავშირებით

საქართველოს ფინანსური სექტორი ძირითადად მოიცავს კომერციულ ბანკებს, არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომხმარებელს სთავაზობენ მხოლოდ შეზღუდულ საბანკო მომსახურებას: არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები დეპოზიტებს იღებენ და სესხებს გაცემენ მხოლოდ თავიანთ წევრებზე, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მიკროსესხების გაცემაზე არიან ფოკუსირებულნი. კომერციული ბანკები კი მომხმარებლებს საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობენ.

პროსპექტის შედგენის მდგომარეობით, საქართველოში 17 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომელთაგან 13 უცხოური კაპიტალის მონაწილეობით არის წარმოდგენილი. სების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2024 წლის 31 ოქტომბრისთვის საქართველოს საბანკო სექტორის საერთო აქტივები 93 მილიარდ ლარს შეადგენდა, საიდანაც ხუთ უმსხვილეს ბანკზე მოდიოდა სექტორის საერთო აქტივების 90.7%.

ბოლო წლებში საქართველოს საბანკო სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა, რის შედეგადაც საბანკო სექტორის აქტივები 2010 წლის 16 მილიარდი ლარიდან 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 93 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. თუმცა, 2008 წელს საქართველოს კომერციულ ბანკებს გარკვეული სირთულეები შეექმნათ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა წმინდა მოგება, აქტივების და კაპიტალის უკუგება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით, 2008 წელს საბანკო სექტორის მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული იყო წინა წლებში სესხების სწრაფი ზრდით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტით („2008 წლის კონფლიქტი“), გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენით და ლარის გაუფასურებით, რომელიც

2008 წლის ნოემბერში მოხდა. სექტორი 2009 წლის განმავლობაში სტაბილიზირდა და 2009 წლის ბოლოდან უწყვეტ ზრდას განაგრძობს. 2015 წელს ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებამ მცირე უარყოფითი გავლენა მოახდინა პრობლემური სესხების (NPLs) მაჩვენებელზე, თუმცა ეს ცვლილება არ იყო არსებითი სექტორის საერთო ზრდასთან შედარებით. COVID-19 პანდემიის დასაწყისში საქართველოს საბანკო სისტემას დაგროვილი ჰქონდა საკმარისი ლიკვიდობისა და კაპიტალის ბუფერები წინდახედული საზედამხედველო პოლიტიკის წყალობით. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს დაევალოთ წინასწარ შეექმნათ სესხის დანაკარგების რეზერვები, რაც COVID-19-ით გამოწვეული შოკების გავლენის შესამსუბუქებლად იყო საჭირო. შედეგად, საბანკო სისტემამ გამოავლინა მდგრადობა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რყევების მიმართ და ეკონომიკისთვის კრედიტების უწყვეტი მიწოდება უზრუნველყო. 2022 წლის შუა პერიოდისთვის, საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობამ აღადგინა გამოყენებული კაპიტალის ბუფერები.

საბანკო სექტორის მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები (ათას ლარში) 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ბანკის დასახელება	საპროცენტო შემოსავლები			2024 წლის 10 თვის წმინდა მოგება	მოგება აქტივებზე ROA, გაწლიურებული	მოგება კაპიტალზე ROE, გაწლიურებული
	მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	მთლიანი საპროცენტო ხარჯი	წმინდა საპროცენტო შემოსავალი			
კონსოლიდირებული	6,925,413	-3,337,331	3,588,083	2,589,593	3.67%	24.47%
საქართველოს ბანკი	2,667,826	-1,189,269	1,478,557	1,266,743	4.64%	33.17%
თი-ბი-სი ბანკი	2,501,755	-1,325,870	1,175,885	985,296	3.59%	25.12%
ლიბერთი ბანკი	502,333	-231,028	271,304	94,809	2.54%	21.03%
ბაზის ბანკი	290,522	-162,357	128,165	64,565	2.16%	14.06%
კრედიტ ბანკი	427,961	-179,610	248,351	51,450	2.33%	18.76%
პროკრედიტ ბანკი	108,314	-46,605	61,710	28,436	1.82%	10.90%
ტერა ბანკი	156,318	-93,462	62,856	26,573	1.79%	12.06%
ქართუ ბანკი	90,318	-28,345	61,973	42,938	2.83%	12.10%
ხალივ ბანკი	61,136	-27,895	33,240	16,236	2.17%	8.01%
პაშაბანკი	40,923	-18,356	22,567	7,399	1.56%	7.68%
ვი-თი-ბი ბანკი	14,056	-7,906	6,151	2,341	0.62%	0.87%
იმ ბანკი	31,863	-12,753	19,110	13,109	3.46%	11.17%
ზირაათ ბანკი	15,723	-4,016	11,707	4,968	2.69%	7.51%
სილქ ბანკი	14,926	-9,851	5,075	-9,878	-6.14%	-20.40%
ჰემბანკი	550	0	550	-3,679	-32.89%	-33.58%
პეისერა	502	-8	494	-1,026	-6.61%	-14.76%
პეივბანკი	387	0	387	-689	-11.05%	-12.28%

საბანკო სექტორის ჯამური აქტივები ათას ლარში 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ბანკის დასახელება	მთლიანი აქტივები
კონსოლიდირებული	92,559,006
საქართველოს ბანკი	36,672,589
თი-ბი-სი ბანკი	35,625,719

ლიბერთი ბანკი	4,949,299
ბაზის ბანკი	3,824,909
კრედო ბანკი	2,874,301
პროკრედიტ ბანკი	1,991,134
ტერა ბანკი	1,902,013
ქართუ ბანკი	1,715,978
ხალიკ ბანკი	949,743
პაშაბანკი	647,922
ვი-თი-ბი ბანკი	455,391
იშ ბანკი	445,471
ზირაათ ბანკი	230,465
სილქ ბანკი	223,670
ჰეშბანკი	24,149
პეისერა	17,710
პეივბანკი	8,543

ემიტენტის დირექტორები

გია პეტრიაშვილი - გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს როგორც საბანკო, ისე სხვა სფეროებში. მან პარტნიორობთან ერთად 2013 წელს დააარსა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ და მას შემდეგ გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებს. ფლობს ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის ხარისხს (MSU, რუსეთი).

გიორგი ღვალაძე - გაყიდვების დირექტორი

გიორგი ღვალაძე კომპანიას 2013 წელს შეუერთდა. მას 19 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვს საბანკო სექტორში. MBC-ში მისვლამდე ის ბანკ კონსტანტაში მუშაობდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე. ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (CAC, საქართველო).

ეთერ ჩაჩიბაია - ოპერაციების დირექტორი

ეთერ ჩაჩიბაია კომპანიას 2013 წელს შეუერთდა. ეთერს 16 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს საბანკო-საფინანსო სფეროში; იგი მუშაობდა ბაზისბანკსა და HSBC-ბანკ საქართველოში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე საოპერაციო, საცალო და კორპორატიული მომსახურების მიმართულებით. ფლობს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს (TSU, საქართველო).

ნინო დევდარიანი - რისკების დირექტორი

ნინო დევდარიანი MBC-ს გუნდს 2016 წლიდან შეუერთდა. ნინოს 15 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს რისკების მართვის მიმართულებით, ისეთ წამყვან ორგანიზაციებში როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ფლობს მაგისტრის ხარისხს ეკონომიკაში (Williams College, აშშ).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2023 და 2022 წლებისთვის ეფუძნება ემიტენტის აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო 2024 და 2023 წლების 6 თვის მდგომარეობით - 2024 და 2023 წლების ნახევარი წლის არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად:

საბალანსო უწყისი ('000)	30 ივნისი 2024 არააუდიტირებული	30 ივნისი 2023 არააუდიტირებული	31 დეკემბერი 2023 აუდიტირებული	31 დეკემბერი 2022 აუდიტირებული
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,567	6,007	6,286	6,778
კლიენტებზე გაცემული სესხები	107,289	95,183	101,144	90,241
სხვა აქტივები	1,939	3,642	2,019	4,109
საგადასახადო აქტივი	-	-	-	267
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	137	-	137
არამატერიალური აქტივები	346	369	370	407
აქტივების გამოყენების უფლება	4,913	5,334	4,733	5,511
ძირითადი საშუალებები	2,492	2,556	2,532	2,785
სულ აქტივები	132,546	113,228	117,084	110,235
ვალდებულებები				
სუბორდინირებული სესხები და სხვა მიღებული სესხები	103,092	87,984	90,046	84,214
საიჯარო ვალდებულებები	4,753	4,669	4,750	5,348
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	51	-	51	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	470	-	505	-
სხვა ვალდებულებები	1,773	703	1,155	719
მთლიანი ვალდებულებები	110,139	93,356	96,507	90,281
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	2,255	2,255	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	1,136	1,136	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	6,989	6,989	6,990	7,464
გაუნაწილებელი მოგება	12,028	9,492	10,197	9,099
მთლიანი კაპიტალი	22,408	19,872	20,577	19,954

მოლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	132,546	113,228	117,084	110,235
მოგება-ზარალის უწყისი ('000 ლარი)	HY 2024	HY 2023	2023	2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
საპროცენტო შემოსავალი	13,605	12,495	25,026	22,684
საპროცენტო ხარჯი	(5,229)	(4,720)	(10,015)	(8,273)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	8,376	7,775	15,011	14,411
საკომისიო შემოსავალი	1,838	1,046	3,743	2,268
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	1,063	1,467	56	4,821
წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	(1,417)	(2,755)	(2,445)	(8,658)
საოპერაციო შემოსავალი	9,860	7,532	16,365	12,842
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	(560)	(1,441)	(1,546)	(853)
პერსონალის ხარჯები	(4,306)	(3,519)	(7,201)	(6,947)
ცვეთა და ამორტიზაცია	(822)	(888)	(1,957)	(1,726)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,416)	(1,072)	(2,814)	(2,308)
მოგება დაბეგრამდე	2,756	613	2,847	1,008
მოგების გადასახადის ხარჯი	(490)	-	(814)	(351)
მოლიანი სრული შემოსავალი	2,266	613	2,033	657

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტის დასკვნის ტიპი: აუდიტის ანგარიშში, კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორი აცხადებს, რომ მათი დასკვნა არის **უპირობო**.

ბოლო საანგარიშო პერიოდიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე, გარდა პროსპექტში აღწერილი ინფორმაციისა, არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს - Scope Ratings-მიერ. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის B+/სტაბილური პერსპექტივით. ამასთან, კომპანიის მხრიდან ობლიგაციების რეიტინგის მოპოვება არ იგეგმება. კომპანიამ შესაძლოა მომავალში დამატებით მოიძიოს რეიტინგი იგივე ან სხვა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან. (კომპანიის საკრედიტო რეიტინგთან დაკავშირებით უფრო ვრცელი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ქვეთავი *კომპანიის საკრედიტო რეიტინგი*).

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა უარყოფით 6,462 ათასი ლარს (31/12/2023: -15,499 ლარი). კომპანიას დაგეგმილი აქვს ვადამოსული ვალდებულებების რეფინანსირება. აღნიშნული ვალდებულებები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები და იწვევს წმინდა საბრუნავი კაპიტალის გამინუსებას. მოცემული ვალდებულებების რეფინანსირების შემდგომ კომპანიის საბრუნავი კაპიტალი იქნება საკმარისი მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად. დამატებითი ინფორმაცია საბრუნავი კაპიტალის შესახებ მოცემულია პროსპექტის ქვეთავში - „განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ“.

#	მომგებიანობის კოეფიციენტები	30 ივნისი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	17.4%	10.0%	3.3%
2	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	3.0%	1.8%	0.6%
3	ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	9.9%	4.3%	1.6%
4	საერთო მოგების მარჟა	57.5%	53.8%	59.8%
5	საოპერაციო მოგების მარჟა	17.8%	9.9%	4.0%
6	წმინდა მოგების მარჟა	14.7%	7.1%	2.6%
7	შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთები	29.8%	30.1%	29.6%
8	საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	42.4%	41.6%	44.0%
9	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე	10.6%	11.1%	10.1%
10	საპროცენტო განაკვეთის სპრედი	14.2%	14.1%	16.8%
საზედამხედველო მაჩვენებლები				
11	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (ზღვარი: >18%)	20.4%	21.8%	22.8%
12	ლიკვიდობის კოეფიციენტი (ზღვარი > 18%)	24.5%	22.6%	24.5%
13	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (ზღვარი <40%)	11.3%	12.0%	14.2%

14	დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (ზღვარი <90%)	58.3%	70.8%	66.4%
აქტივების ხარისხი				
15	უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (IFRS)	2.9%	4.4%	4.7%
16	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)	3.4%	4.2%	3.4%
17	უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)	1.8%	1.9%	1.8%
18	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)	1.4%	1.3%	1.2%
19	PAR 90 მთლიან სესხებთან	3.0%	5.3%	3.9%
20	ჩამოწერა/საშუალო მთლიან სესხებთან	2.1%	2.7%	2.3%
21	ამოღება / საშუალო მთლიან სესხებთან	1.1%	1.1%	1.3%
22	პორტფელის რესტრუქტურის რევიზია/მთლიან სესხებთან	1.3%	1.1%	1.6%
ლიკვიდობა/ლევერიჯი				
23	ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები	11.7%	5.4%	6.1%
24	ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები	18.0%	10.8%	19.7%
25	კაპიტალი/წმინდა სესხებთან	26.1%	25.6%	27.5%
26	კაპიტალი (სუბ. სესხების გამოკლებით)/წმინდა სესხებთან	20.9%	20.3%	22.1%
27	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	77.8%	77.7%	76.9%
28	მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	4.6	4.4	4.2
29	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	1.5	1.3	1.1

	მსესხებლებთან არსებული ფინანსური კოვენანტები	30 ივნისი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	ზღვარი
29	აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი	3.0%	1.8%	0.6%	3.0%	>0%
30	ღია სავალუტო პოზიცია	-15.7%	-17.9%	-9.6%	-15.7%	>-25% და <25%
31	რისკი / მთლიან სესხებთან	5.5%	7.5%	6.8%	5.5%	<15%
32	ღია საკრედიტო რისკის კოეფიციენტი	7.9%	13.1%	12.7%	7.9%	<15%
33	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (NBG)	20.4%	21.8%	22.8%	20.4%	>19%
34	დაგირავებული პორტფელის კოეფიციენტი	11.6%	13.9%	14.3%	7.3%	<30%

ზოგადი შენიშვნები:

1. ზემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ემიტენტის შეფასებით რელევანტურია მისი ბიზნეს საქმიანობისა და სპეციფიკის შესაფასებლად.
2. საოპერაციო მოგება არის მოგება გადასახადის დარიცხვამდე.
3. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის საოპერაციო ხარჯები მოიცავს წმინდა ზარალს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან, წმინდა მოგებას/ზარალს ვალუტის ყიდვა გაყიდვის ოპერაციებიდან, პერსონალის ხარჯებს, ცვეთასა და ამორტიზაციასა და სხვა საოპერაციო ხარჯებს. ობლიგაციების ემისიით სრულად იგეგმება არსებული სესხების რეფინანსირება, შესაბამისად, ემიტენტის შეფასებით ტრანზაქციას არ ექნება არსებითი გავლენა წარმოდგენილ კოეფიციენტებზე, გარდა სებ-ის საზედამხედველო 'დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის' და მსესხებლებთან არსებული 'დაგირავებული პორტფელის' კოეფიციენტისა. აღნიშნული კოეფიციენტების მიმდინარე მაჩვენებლები ობლიგაციების გამოშვების ეფექტის გათვალისწინებით შესაბამისად იქნებოდა 80.4% და 17.5% (ნაცვლად 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ფაქტობრივი 128% და 27.8%-ისა).
4. სებ-ის საზედამხედველო კოეფიციენტების განმარტებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე - www.matsne.gov.ge
5. ისეთი კოეფიციენტების შემთხვევაში, სადაც მოცემულია მოგება-ზარალის ანგარიშებისა და საბალანსო ანგარიშების, ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებისა და საბალანსო ანგარიშების მაჩვენებლების ფარდობა, მოგება-ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მაჩვენებლები დათვლილია უკანასკნელი 12 თვისთვის (LTM)
6. ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების განმარტებების მიზნებისთვის საპროცენტო ხარჯი გულისხმობს მოგება-ზარალის შესაბამისი დასახელების მუხლს, ხოლო საპროცენტო ვალდებულებები გულისხმობს მოზიდულ სუბორდინირებულ და არა-სუბორდინირებულ სესხებსა და ობლიგაციებს (გარდა საიჯარო ვალდებულებებისა).
7. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის კაპიტალი არის მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული სესხები.
8. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის სასესხო ვალდებულებები არის მიღებულ სახსრებს დაკლებული სუბორდინირებული სესხები.
9. კომპანიის მომგებიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2024 წელს. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი ძირითადად არის შემცირებული ჰეჯირების ხარჯები. საპროცენტო ხარჯების შემცირება გამოიწვია კომპანიის მოზიდული სახსრების ეფექტურად მართვის სტრუქტურამ და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მატერიალურმა შემცირებამ. მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე ასევე დადებითად იმოქმედა სასესხო პორტფელის და შესაბამისად მიღებული შემოსავლების ზრდამაც.
10. დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემცირებულია. აღნიშნული შემცირების გამომწვევი მიზეზია კომპანიის პოლიტიკა, ეტაპობრივად შეამციროს და მიაღწიოს ნულოვან დაგირავებული აქტივების კოეფიციენტს. ემიტენტმა მოიპოვა მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზია და იმისთვის, რომ შესაბამისობაში იყოს მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, მიზნად ისახავს, რომ დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 2 წლის ვადაში განულდეს.
11. 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, 2024 წლის 30 ივნისის გაზრდილია ლიკვიდურობის კოეფიციენტები, კერძოდ: ფულადი სახსრების თანაფარდობა მთლიანი აქტივებთან და ფულადი სახსრების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან, რაც გამოწვეულია, კომპანიის ობლიგაციების 6 თვეზე ნაკლებ ვადიან ვალდებულებად კლასიფიკაციითა და ლიკვიდობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივის გაზრდით.

12. 2024 წლის 30 ივნისს, 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, შემცირდა ღია საკრედიტო რისკის კოეფიციენტი. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია 30 დღემდე ვადაგადაცილებული სესხების პორტფელის შემცირებით. აღნიშნულ კოეფიციენტზე, ასევე, დადებითად იმოქმედა კომპანიის კაპიტალის ზრდამ, რაც გამოწვეულია მაღალი მომგებიანობით.

1. **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე** - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან.
2. **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე** - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან.
3. **ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი** - საოპერაციო მოგება შეფარდებული კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამის საშუალოზე.
4. **საერთო მოგების მარჟა** - წმინდა საპროცენტო შემოსავალი სასესხო ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების ხარჯის შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან.
5. **საოპერაციო მოგების მარჟა** - საოპერაციო მოგება შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან.
6. **წმინდა მოგების მარჟა** - წმინდა მოგება შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან.
7. **შეწონილი საპროცენტო განაკვეთები** - მთლიანი სესხის (საკრედიტო პორტფელის) საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.
8. **საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი** - საოპერაციო ხარჯები შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან.
9. **დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე** - საპროცენტო ხარჯი მოზიდულ სესხებზე შეფარდებული საშუალო ნასესხებ სახსრებთან.
10. **საპროცენტო განაკვეთის სპრედი** - საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო პორტფელთან გამოკლებული საპროცენტო ხარჯი შეფარდებული ნასესხებ საშუალებებთან.
11. **კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (სებ)** - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, აქტივების გადაფასების რეზერვი, ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში), შეფარდებული მთლიანი აქტივებისა და ზემოაღნიშნული დაქვითვები სხვაობასთან.
12. **ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სებ)** - დეკემბრის თვის, ყოველდღიური ლიკვიდური აქტივების საშუალო (გამოთვლილი როგორც, ნაღდ ფულს დამატებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, გამოკლებული გაცვლილი ფულადი სახსრები, დაჯავშნილი/დაგირავებული დეპოზიტები და გამოუთხოვადი დეპოზიტები) შეფარდებული ამავე თვის ყოველდღიური მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ლიკვიდობის მიზნებისთვის, საშუალოზე (გამოთვლილი როგორც, ჯამურ საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული, 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული/კონვერტირებადი ვალდებულებები, ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სახსრები, გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები და ვალდებულებები ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ.)
13. **ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** - ძ.ს. ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ჯამურ კაპიტალთან.
14. **დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)** - დაგირავებული აქტივები, შეფარდებული ჯამურ კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასების რეზერვი.

15. **უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (IFRS)** - უმოქმედო სესხები (ფასს-ის მიხედვით) შეფარდებული მთლიან სესხებთან.
16. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)** - სესხების რეზერვი (ფასს-ის მიხედვით) შეფარდებული სესხების პორტფელთან
17. **უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)** - უმოქმედო სესხები (სებ-ის მიხედვით) შეფარდებული მთლიან სესხებთან
18. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)** - სესხების რეზერვი (სებ-ის მიხედვით) შეფარდებული მთლიან სესხებთან
19. **PAR 90 მთლიან სესხებთან** - PAR 90 სესხების მოცულობა შეფარდებული მთლიან სესხებთან.
20. **ჩამოწერა/საშუალო მთლიან სესხებთან** - ჩამოწერილი პორტფელი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მთლიან სესხებთან.
21. **ამოღება / საშუალო მთლიან სესხებთან** - ჩამოწერილი პორტფელიდან ამოღებული პორტფელი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მთლიან სესხებთან.
22. **პორტფელის რესტრუქტურისაცია/მთლიან სესხებთან**- რესტრუქტურისაციაზე სესხების შეფარდება მთლიან მთლიან სესხებთან. კოეფიციენტის მიზნებისთვის, რესტრუქტურისაციაზე სესხებში იგულისხმება მხოლოდ მსესხებლის ფინანსური სირთულეების შედეგად სესხებზე პირობების ცვლილებას და არ მოიცავს სტანდარტული პირობების ცვლილებებს.
23. **ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მთლიან აქტივებთან.
24. **ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან.
25. **კაპიტალი/წმინდა სესხებთან** - ჯამური კაპიტალი (სუბორდინირებული სესხების ჩათვლით) შეფარდებული წმინდა სესხებთან.
26. **კაპიტალი/წმინდა სესხებთან** - ჯამური კაპიტალი (სუბორდინირებული სესხების გამოკლებით) შეფარდებული წმინდა სესხებთან.
27. **მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - კომპანიის სასესხო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან.
28. **მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - კომპანიის სასესხო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან.
29. **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი** - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან.
30. **აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი** - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან.
31. **ღია სავალუტო პოზიცია** - ღია სავალუტო პოზიცია შეფარდებული კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამთან.
32. **ჯამური რისკი / მთლიან სესხებთან** - რესტრუქტურისაციაზე სესხების, 30-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული სესხებისა და ჩამოწერილი სესხების ჯამი შეფარდებული ჯამურ მთლიან სესხებთან.
33. **ღია საკრედიტო რისკის კოეფიციენტი** - რესტრუქტურისაციაზე სესხებს დამატებული ვადაგადაცილებული სესხები 30-დან 180 დღემდე, გამოკლებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი და შეფარდებული კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამთან.

34. **კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, აქტივების გადაფასების რეზერვი, ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში), შეფარდებული მთლიანი აქტივებისა და ზემოაღნიშნული დაქვითვები სხვაობასთან.
35. **დაგირავებული პორტფელის კოეფიციენტი** - კომერციული ბანკების სასარგებლოდ დაგირავებული პორტფელის ფარდობა მთლიან სესხებთან.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტო. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის B+ სტაბილური პერსპექტივით. ამასთან, კომპანიის მხრიდან ობლიგაციების რეიტინგის მოპოვება არ იგეგმება. კომპანიამ შესაძლოა დამატებით მოიპოვოს ისეთივე ან სხვა ფორმის რეიტინგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტოსგან.

2024 წლის 10 დეკემბერს კომპანიის საკრედიტო რეიტინგი B+ სტაბილურამდე გაიზარდა (2024 წლის ივლისში კომპანიას მოპოვებული ჰქონდა B პოზიტიური რეიტინგი). კომპანიის სარეიტინგო შეფასების გაუმჯობესება ძირითადად კომპანიის მიერ მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების დამსახურებაა.

2023 წელს კომპანიის რეიტინგი შეიცვალა B+ ნეგატიურიდან B სტაბილურამდე, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზიც მომგებიანობის მაჩვენებლის შემცირება იყო, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ღია სავალუტო პოზიციით განპირობებული კურსთაშორისი ზარალით. მომგებიანობის შემცირება ნაწილობრივ აისახა საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის შემცირებაზეც (თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანია ყველა ეტაპზე აკმაყოფილებდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას და 2022-2023 წლებში ჰქონდა მოთხოვნაზე 3-5 პუნქტით მაღალი მაჩვენებელი). კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შემცირება ასევე გამოწვეული იყო სუბორდინირებული სესხების ამორტიზაციით, რომელიც 2023 წლის ბოლოს სრულად გასწორდა და ყველა სუბორდინირებული სესხის ვადა გახანგრძლივდა 5 წლით. რეიტინგის ცვლილების დამატებითი განმარტებელი ფაქტორები იყო დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურის მიუხედავად კომპანიის დაფინანსების სტრუქტურაში სავალუტო კურსის მატერიალური აცდენა, ვოლატილური ლიკვიდური პოზიცია და მაღალი სენსიტიურობა საოპერაციო ხარჯების მიმართ. 2023 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის სანახავად გთხოვთ იხილოთ თანდართული ბმული - <https://scoperatings.com/> 2023 წლის ბოლოს და 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის მომგებიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 2024 წლის 24 ივლისს, კომპანიის რეიტინგი გაიზარდა B/სტაბილურიდან და წარმოადგენს B/პოზიტიური პერსპექტივით. 2024 წლის 10 დეკემბერს კი კომპანიის რეიტინგი კიდევ გაიზარდა B+-მდე, სტაბილური პერსპექტივით, რისი ერთ-ერთი განმარტებელი ფაქტორი იყო ეროვნული ბანკის მიერ კომპანიისთვის მიკრობანკის ლიცენზიის მინიჭება.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

რეიტინგის მინიჭების თარიღი	3 თებერვალი 2020	27 ოქტომბერი 2022	17 ოქტომბერი 2023	25 ივლისი 2024	10 დეკემბერი 2024
----------------------------	------------------	-------------------	-------------------	----------------	-------------------

მინიჭებული რეიტინგი

B+/Stable

B+/Negative

B/Stable

B/Positive

B+/Stable

ქვემოთ მოცემულია საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მიერ კომპანიის შეფასების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები (წყარო: www.scopegroup.com).

რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები:

- MBC, პირველი ლიცენზირებული მიკრობანკია საქართველოში, რომელიც საქართველოს მასშტაბით 17 ფილიალით არის წარმოდგენილი. კომპანიის ბიზნეს მოდელი მოიცავს ბიზნესებსა და მომხმარებლებზე უზრუნველყოფილი სესხების გაცემას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომპანიას მიკრობანკის ლიცენზია 2024 წლის 5 დეკემბერს მიანიჭა. ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, მიკრობანკებმა თავიანთი სესხების პორტფელის მინიმუმ 70% უნდა მიმართონ ბიზნეს სესხებზე. ეს გარემოება გამოიწვევს საცალო სესხების წილის თანდათანობით შემცირებას, რაც გამოიწვევს კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ ტრანსფორმაციას.
 - Scope ეროვნული ბანკის მიერ კომპანიისთვის ლიცენზიის მინიჭებას პოზიტიურად აღიქვამს, ვინაიდან ახალი სტატუსი კომპანიას მისცემს საშუალებას, ჰქონდეს დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები და წვდომა პოტენციურად უფრო დიდ ბაზარზე. თუმცა, ლიცენზიით მიღებული შესაძლებლობების სრულ გამოყენებას გარკვეული დრო დასჭირდება, მათ შორის მომხმარებლებისგან დეპოზიტების მოზიდვას, რაც გააუმჯობესებს კომპანიის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის დონეს და შეამცირებს დაფინანსების ხარჯებს.
 - საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყანაა, რომელიც ადგილობრივი რეგიონის მოთამაშეებს ჯერ კიდევ ჩამორჩება რამდენიმე მაკროეკონომიკური ინდიკატორის ჭრილში (მაგ: უმუშევრობის დონე, მშპ ერთ სულზე, ეკონომიკური დივერსიფიკაცია), მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში გარკვეული გაუმჯობესებები და რეფორმები განხორციელდა. მიმდინარე სოციალურმა დაძაბულობამ, რაც გამოიწვევს პოლიტიკური კრიზისითა და სადავო არჩევნებით, გაზარდა ეკონომიკური გაურკვეველობა და რჩება საყურადღებო საკითხად.
- ქვეყნის საბანკო რეგულაციები შეესაბამება Basel 3-ის სტანდარტებს. მიკრობანკების მარეგულირებელი ჩარჩო ძალიან ახლოსაა საბანკო მარეგულირებელ ჩარჩოსთან, წარსულში მარეგულირებელი გარემოს ნაწილში სარეიტინგოს შეფასება დაბალი იყო, რისი გამომწვევი მიზეზიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ არსებული ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი გარემო გახლდათ.
- MBC კვლავ ერთგული და აქტიურია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სფეროებში და აგრძელებს ინვესტირებას ციფრულ ტექნოლოგიებში (ESG ფაქტორი). ბოლოდროინდელი მაგალითები მოიცავს კომპანიის ინტეგრაციას ელექტრონული კომერციის პლატფორმაში სავალუტო ოპერაციებისთვის და დისტანციური სესხის განაცხადის პლატფორმის განვითარებას.

ქვეყანაში ახლახანს შექმნილი მიკრობანკების სექტორის მთავარი მიზანი, ერთი მხრივ, ადგილობრივი მეწარმეების და აგროსექტორების განვითარება და მხარდაჭერაა, რომლებსაც ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი მსგავს მომსახურებაზე ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური ინკლუზიურობის ხელშეწყობაა, რაც კომპანიის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

გრძელვადიანი მდგრადობის შეფასება იწვევს რეიტინგის B-ზე კორექტირებას.

- MBC-ის მომგებიანობა 2023 წლის მეორე ნახევრიდან მატერიალურად უმჯობესდება, 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით კი კომპანიამ ისტორიულად ყველაზე მაღალი მომგებიანობა აჩვენა, რაც გამოწვეული იყო ჰეჯირების და გაუფასურების დაბალი ხარჯებით. Scope-ის მოლოდინით საშუალოვადიან პერიოდში გაგრძელდება კომპანიის შემოსავლების ზრდა, შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე: 1) მოცემულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს დადებითი ტენდენციები, თუმცა ამჟამინდელმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივაზე. 2) კომპანია მიკრობანკის სტატუსის მიღების შედეგად შეძლებს, რომ უფრო დიდი მოცულობის სესხები გასცეს. MBC-ის აქტივების ხარისხის მაჩვენებლები კვლავ ადეკვატურ დონეს ინარჩუნებს, რაც ძირითადად გამოწვეულია კომპანიის დივერსიფიცირებული და ფაქტობრივად სრულად უზრუნველყოფილი და შესაბამისად ნაკლებად რისკიანი ბიზნეს მოდელით.
- Scope-ის მოლოდინია, რომ MBC სამომავლოდ შეინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურ პოზიციას, დააკმაყოფილებს და გადააჭარბებს მიკრობანკის რეგულაციებით გაწერილ მინიმალურ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ცალკეულ პერიოდებში ჰქონია ნაკლები ლიკვიდობის შემთხვევები, მენეჯმენტის მხრიდან დაფინანსების მინიმალური ხარჯებით მოზიდვის გზით, MBC ახერხებდა კოეფიციენტის რეგულატორულ მინიმუმზე მაღლა შენარჩუნებას. ეროვნული ბანკი მიკრობანკებს უწესებს ლიკვიდურობის გადაფარვის (LCR) კოეფიციენტის მინიმუმ 100%-ზე (რასაც კომპანია მნიშვნელოვნად აჭარბებს) და წმინდა სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტის მინიმუმ 100%-ზე შენარჩუნებას.

MBC-იმ წარმატებით შეძლო დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაცია, სავალუტო შეუსაბამობის მაჩვენებელი საგრძობლად გაუმჯობესდა და 2020 წელს 53%-დან, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით 37%-მდე შემცირდა. აღნიშნულის მიუხედავად, სავალუტო შეუსაბამობა კომპანიისთვის ჯერ კიდევ ყურადღების ქვეშ რჩება, რადგან, ჰეჯირების საჭიროებები გავლენას ახდენს დაფინანსების მთლიან ხარჯებზე. კომპანიის დაფინანსების ძირითადი წყაროებია კომერციული ბანკების სესხები, ობლიგაციები და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სესხები. კომპანიამ პირველად ობლიგაციები 2022 წლის დეკემბერში გამოუშვა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე წვდომასთან ერთად ამ ტრანზაქციამ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა კომპანიის დაფინანსების წყაროები. ობლიგაციების გამოშვება საშუალებას აძლევს კომპანიას შეამციროს დაფინანსების ხარჯები კომერციული ბანკებიდან დაფინანსების მოპოვებასთან შედარებით. ობლიგაციებს ვადა 2024 წლის დეკემბერში ეწურება. Scope-ის მოლოდინია, რომ კომპანიის ახალი სტატუსის ფარგლებშიც კი, ობლიგაციები კვლავ დარჩება MBC-ის დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან კომპანია დაიწყებს მომხმარებლების დეპოზიტების მიღებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის მისი დაფინანსების წყაროებს.

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი დადებითი ფაქტორები:

- MBC-ის საბაზრო პოზიციის მნიშვნელოვანი ზრდა და გაძლიერება მომგებიანობისა და რისკიანობის ადეკვატური დონის შენარჩუნებასთან ერთად.
- კაპიტალის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რეგულატორულ მინიმუმებზე ჭარბი ბუფერით, ლიკვიდობის ჯანსაღი მართვა.

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი უარყოფითი ფაქტორები:

- ქართული ბანკებისა და მიკრობანკების საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ხანგრძლივი პოლიტიკური გაურკვევლობითა და დაძაბულობით.
- მომგებიანობის შემცირება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შემოსავლების გენერირების შეფერხებით, დაფინანსების ხარჯების ზრდით ან/და უფრო მაღალი გაუფასურების ხარჯებით.

- კომპანიის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების მატერიალური გაუარესება.

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს “ზიდო აუდიტი”. საიდენტიფიკაციო კოდი: 205145403. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ 34. ელ-ფოსტა: bdo@bdo.ge

საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო: Scope Ratings GmbH. მისამართი: Lennéstraße 5 D-10785 Berlin. ელ-ფოსტა: info@scoperatings.com

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, პუშკინის ქ. N3, ტელ: (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: sales@gt.ge

„კომპანიას“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული განთავსების აგენტ სს „გალტ ენდ თაგარტთან“ (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტი). ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი) მომზადებაში, შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

სს „გალტ ენდ თაგარტის“, როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირითადი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება.

ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან, კერძოდ, განთავსების აგენტის და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ („Bank of Georgia Group PLC“). ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს

„საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „საქართველოს ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისეზზე;

„კომპანია“ ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ:

მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

1. **ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა**
 - 1.1. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
 - 1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა.
 - 1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან /სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.
 - 1.4. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.
2. **მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები**
 - 2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.
 - 2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;
3. **კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები**
 - 3.1. საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.
 - 3.2. ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე.
4. **საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები**
 - 4.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.
 - 4.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა
 - 4.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.
 - 4.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;
5. **საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები**
 - 5.1. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

- 5.2. არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან, მათ შორის მიკრო ბანკების რეგულაციასთან, შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა
- 5.3. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.
- 5.4. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.
- 5.5. „კომპანია“ ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

6. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული რისკები

- 6.1. საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დანაკარგები შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის შემცირებისა და სესხის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით დანერგული რისკის მართვის პოლიტიკა, პროცედურები და შეფასების მეთოდები მოლოდინზე ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდება.
- 6.2. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, მას სამომავლოდ ექნება დიდი მოცულობის საბანკო ტრანზაქციები, რაც მას აყენებს დანაკარგების რისკის წინაშე.
- 6.3. თუ ემიტენტი ვერ მოახერხებს საკმარისი მოცულობის დეპოზიტების მოზიდვას, შესაძლოა ოპერაციული და ფინანსური სირთულეები შეექმნას.
- 6.4. არსებობს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული ძირითადი და დამატებითი მარეგულირებელი მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობა.
- 6.5. კომპანიას შეიძლება განესაზღვროს დამატებითი / უფრო მკაცრი საზედამხედველო კოეფიციენტები ეროვნული ბანკის მხრიდან მისი ფინანსური მდგომარეობისა და რისკების დონის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

7. ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები
- 7.1. კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.
- 7.2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.
- 7.3. თუ ვერ მოხერხდა „ობლიგაციების“ სრული და დროული განთავსება, ისევე როგორც სესხების/ობლიგაციების რეფინანსირება „კომპანია“ შესაძლოა დადგეს ლიკვიდურობის რისკის წინაშე;
8. საკრედიტო რეიტინგის კლებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯჯი და კომპანიას გაურთულოს მომავალში ახალი ფულადი სახსრების მოზიდვა ან ვადამოსული ვალდებულებების განახლება.
9. საკრედიტო რისკები
- 9.1. პოტენციური მსესხებლების საკრედიტო რისკის სამართლიანად შეფასებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.
- 9.2. აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.
- 9.3. გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული.

10. საოპერაციო რისკები

10.1. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.

10.2. ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.

11. საბაზრო რისკები

11.1. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში

11.2. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში

12. რეპუტაციული რისკები

12.1. კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.

12.2. საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.

13. სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

13.1. კომპანიის ბიზნესი დაზარალებდა, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.

13.2. კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.

14. გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

14.1. კომპანიის მფლობელობაში არსებული აქტივების არასრულყოფილმა დაზღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე.

მოკლე ინფორმაცია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

15. „ობლიგაციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები

15.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს.

15.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი.

15.3. ობლიგაციების საპროცენტო შემოსავალი შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

15.4. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად.

16. "ობლიგაციების" უფლებებთან დაკავშირებული რისკები

16.1. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

16.2. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე შეზღუდვებს.

16.3. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე.

17. "ობლიგაციების", მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული და სხვა რისკები

17.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.

- 17.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის და გადახდის აგენტის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.
- 17.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.
- 17.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

შეთავაზების პირობები და ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები:

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

ინვესტორზე დაკისრებული შესაძლო დანახარჯები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

მიღებული სახსრების გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებიდან მოზიდული ფულადი სახსრებით მოხდება საბანკო სესხების რეფინანსირება. დეტალური ინფორმაცია მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვეთავში „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

რისკის ფაქტორები

“კომპანიის” ობლიგაციებში ინვესტირება გარკვეულ რისკებთან ასოცირდება. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციური მყიდველები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე პროსპექტს. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ქვემოთ აღწერილი რისკები საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით. ქვემოთ მითითებული ნებისმიერი რისკი შესაძლოა არსებით უარყოფითი გავლენას ახდენდეს “კომპანიის” საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. რომელიმე ამ რისკის წარმოქმნამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. ამასთან, ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ “კომპანიას” მიაჩნია, რომ ქვემოთ მითითებული რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა არსებობდეს ან წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვეველობები, რომლებიც „კომპანიამ“ არ ჩათვალა მნიშვნელოვნად ან არ არის მათ შესახებ ინფორმირებული და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა და გაურკვეველობამ შესაძლოა ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. ამიტომ, „კომპანია“ აფიქსირებს, რომ ქვემოთ აღწერილი რისკები არ არის ამომწურავი.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: იქიდან გამომდინარე, რომ 2024 წლის დეკემბერში კომპანიამ მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, ბიზნეს მოდელთან, მარეგულირებელ გარემოსთან და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებული რისკები სამომავლოდ კომპანიისთვის აღარ იქნება რელევანტური. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული დამატებითი რისკების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული რისკები“.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

1.1. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა. თუმცა ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი, 36 მანდატი მოიპოვა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დანარჩენი კი სხვა პარტიებმა. თუმცა პარლამენტში ოპოზიციური სპექტრი არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდნენ. პოლიტიკური დაძაბულობის გასაწვრივებად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტიურობაზე. ამასთან, 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გამოსვლამ ან შესაბამისად, ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა.

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტირების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი, 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook);
- Moody’s – Ba2 (Stable Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის არასტაბილურობამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამ კუთხით, ლარისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად ევრო-დოლარის წყვილის დინამიკაც. საგარეო ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია: 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, რომელმაც გლობალურად ევროს შესუსტება და ძლიერი აშშ დოლარის ფაზაში გადასვლა განაპირობა, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჭაერო ფრენების აკრძალვა, 2020-2021 წლებში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 ევროზე 4.18 ლარს, 1 აშშ დოლარზე კი 3.48 ლარს მიაღწია), 2022

წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი ევროსთან 9.1%-ით, დოლართან მიმართებით კი 12.8%-ით გაუფასურდა და 1 ევროს ღირებულებამ 3.74 ლარი, 1 დოლარის ღირებულებამ კი 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევროსთან 17.7%-ით, ხოლო აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 12.8%-ით გაიზარდა. ლარის კურსზე ასევე დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად კიდევ 2.2%-ით, რეკორდულ 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. 2024 წლის იანვარ-ივლისში ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 68.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა - სავალუტო ბაზარზე შეიძინა 288.5 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ლარის კურსზე ერთჯერადი დიდი ტრანსაქციების გამო მოუხდა 219.8 მილიონ აშშ დოლარის გაყიდვა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 4.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 20.2%-ით არის შემცირებული. რეზერვების აღნიშნული დონე საშუალებას იძლევა ქვეყანამ თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9% იყო, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9%, 2023 წელს 2.5%, ხოლო 2024 წლის იანვარ-ოქტომბერში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.0% შეადგინა. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მაისიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში, ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0%-იან ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში. ხოლო საშინაო ფაქტორების კონტრიბუციის ზრდასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და სტაბილურად მყარი ლარი მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზარებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი - 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 3.00 პროცენტული პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს

კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

1.4. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.7%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 წელსაც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.5%-ით გაიზარდა, საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით. მეორე მხრივ, ტურიზმის სწრაფი აღდგენა და მაღალი საინვესტიციო აქტივობა მოსალოდნელთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს ქმნის. 2024 წლის იანვარ-ივლისში, საქსტატის წინასწარი მონაცემების მიხედვით საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 9.7% შეადგინა. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.4%-ით, 2018 წელს 6.1%-ით, 2017 წელს 5.2%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში 3.4%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები

2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დამაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლ ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის დოზები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში თუ ასეთი ქმედებები განმეორდება დამაბულობა შეიძლება გამწვავდეს. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია დასტაბილურებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი მოუტანა არა მხოლოდ ომში ჩართული ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. ამ ფართომასშტაბიანმა ომმა უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკებზე ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი გლობალურად ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გააგრძელეს საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რამაც გამოიწვია გლობალური ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არის რისკი რომ ეს შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამ რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოს აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება .
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

3. საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წლის იანვარ-სექტემბერში აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 11.4% და 9.7%, შესაბამისად. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში 10.9%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.5%-ს 2023 წელს, ხოლო 16.6%-ს 2024 წლის იანვარ-სექტემბერში. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 2.2%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 8.3%-მდე გაიზარდა, ხოლო 2023 წელს 5.0%-მდე შენედა, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში 4.7% შეადგინა, თუმცა მაინც მაღალია. ზოგადად, მაღალი დამოკიდებულება ერთ რომელიმე ქვეყანაზე რისკების მატარებელია, რადგან ზემოთ მოცემული ნაკადების შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

3. კონკურენციასა უმცა მაინც მაღალია. ზოგადად, მაღალი დამოკიდებ

3.1. საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.

მიკროსაფინანსო ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და კომპანიასაც ბევრი ბიზნეს კონკურენტი ჰყავს. მიკროსაფინანსო ბაზრის მოთამაშეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბიზნესმოდელებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს; თუმცა, კომპანიის მსგავსი ბიზნესმოდელის მქონე მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორებიცაა „კრისტალი“, „ლაზიკა“ და კომერციული ბანკებიც კი, ძლიერ კონკურენტულად მიიჩნევიან. კომპანიის სამიზნე მომხმარებელი განსხვავდება კომერციული ბანკების სამიზნე კლიენტისგან, თუმცა, გამაფრებული კონკურენცია საბანკო სექტორს უბიძგებს სამიზნედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტებიც გახადოს.

გარდა ამისა, კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია და იგი ამ წლის 26 დეკემბრიდან ოფიციალურად მიკრო ბანკის სტატუსით გააგრძელებს ოპერირებას, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას კიდევ უფრო მწვავე კონკურენციაში შესვლა მოუწევს კომერციულ ბანკებთან, მათ შორის სესხების გაცემის და დეპოზიტების მოზიდვის მიმართულებით. არსებულ მოთამაშეებს უკვე ჰყავთ მომხმარებელთა ბაზა, შესაბამისად, ემიტენტს მოუწევს მათი მომხმარებლების გადმოზიდვა და შესაბამისად ბაზრის წილის წართმევა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია წარმატებით გაუწევს კონკურენციას ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ კომერციულ ბანკებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ კომპანია დაარსების დღიდან რისკების მართვის კონსერვატიული მიდგომებით ხელმძღვანელობდა, შესაბამისად აღნიშნულ რეგულაციებს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის რისკ პროფილზე არ ჰქონია, რაც ასევე დასტურდება კომპანიის სტაბილურად დაბალი რისკების მაჩვენებლებით, როგორც რეგულაციების ამოქმედებამდე ასევე მათი ამოქმედების შემდგომ.

მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია წარმატებით გაუწევს მეტოქეობას, რომელიმე ან ყველა მის ამჟამინდელ, თუ მომავალ კონკურენტს. ამ კონკურენციის შედეგად შესაძლოა კომპანიას ზრდის ტემპი და შემოსავლები შეუმცირდეს, რაც იმოქმედებს კომპანიის შესაძლებლობაზე, მიიღოს საკმარისი დაფინანსება საკუთარი ვალდებულებების მომსახურების ან ოპერაციების დაფინანსებისთვის.

3.2. ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე.

მიკროსაფინანსო სექტორი შედარებით ახალი და ძალიან დინამიური სფეროა. კომპანიამ ფეხი უნდა აუწყოს სწრაფად ცვალებად სამომხმარებლო ჩვევებს, წონასწორულ ფასს და საკანონმდებლო ცვლილებებს. კომპანიას გააჩნია სათანადოდ შემუშავებული გამართული კორპორაციული მმართველობის და რისკის მართვის პოლიტიკები, რაც კომპანიას ეხმარება სწრაფად ადაპტირდეს ცვალებად გარემოსთან და ოპერაციების შეუფერხებლად დანერგოს და განახორციელოს ახალი მოთხოვნები.

მომხმარებელთა ცვალებადი პრეფერენციების საპასუხოდ, კომპანია მათ სთავაზობს ახალ პროდუქტებსა და სერვისებს. მათ შორის, კომპანიამ გადაწყვიტა, მოეპოვებინა მიკრობანკის სტატუსი, რათა მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა ახალი, უფრო მრავალფეროვანი პროდუქტები, თუმცა არსებობს რისკი, რომ ახალი პროდუქტების და სერვისების შემოღება, მათ შორის მიკრობანკის მოდელზე გადასვლა შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს და უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესის მომგებიანობაზე, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ახალ ბიზნეს მოდელზე გადასვლა ნიშნავს, რომ კომპანიას მოუწევს მრავალი სიახლის დანერგვა, რაც უნდა მოხდეს ძალიან მოკლე ვადებში.

კომპანიის შემოსავალი უმთავრესად დამოკიდებულია ბიზნეს და სამომხმარებლო კრედიტების გაცემაზე (2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აღნიშნული სესხების პორტფელმა მთლიანი პორტფელის 80.9% შეადგინა). პროდუქტებზე მოთხოვნის კლებას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის შემოსავლებზე. კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შეიცვალოს. ასეთ ფაქტორებს შორისაა, მარეგულირებელი შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს მომხმარებლის წვდომას კონკრეტულ ფინანსურ სერვისთან; კონკურენტული ფინანსური პროდუქტის ხელმისაწვდომობის ან მიმზიდველობის ზრდა; მომხმარებელთა მოლოდინების და ხარჯვის ცვლილება; ცვლილებები კომპანიის არსებული მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაში, რაც უბიძგებს მათ, სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიიღონ უფრო იაფი და/ან დიდი მოცულობის სესხები ან პირიქით, საერთოდ გავიდნენ საკრედიტო ბაზრიდან. თუ კომპანია ვერ შეძლებს ახალ საბაზრო ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას და ახალი სერვისების და პროდუქტების დანერგვას, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე ჩნდება, ეს უარყოფითად აისახება მის ოპერაციებზე. ამასთანავე, ახალი სერვისების და პროდუქტების შემოღება შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს და მომხმარებლებმა არ მიიღონ ისინი. ამრიგად, პროდუქტის დივერსიფიკაცია ან ცვლილება არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ეს დადებითად იმოქმედებს ბიზნეს ოპერაციებზე და შესაძლოა

შემოსავლების დაკარგვა გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

4.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“: 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა: ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: წესი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ემიტენტს 2022 წელს, ობლიგაციების ემისიის შემდეგ, პირველი ანგარიშგების წარდგენის დროს, ჰქონდა დარღვევა, კერძოდ, კომპანიამ ზემოხსენებული წლის ანგარიშგება წარადგინა კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან.

გარდა ამისა, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს

დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

4.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის „ესტონური მოდელი“ არ ვრცელდება საფინანსო სექტორზე. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქალაქიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

2022 წლის დეკემბერში დაკორექტირდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელი, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტიტუტებს და ძალაში შევიდა 2023 წლიდან. წინა საგადასახადო მოდელი, რომელიც ეფექტური იყო 2022 ფისკალური წლისათვის, მოიაზრებდა 15%-იან მოგების საგადასახადო განაკვეთს, რომელიც ერიცხებოდა ბანკების დასაბეგრ მოგებას (სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის). ბანკებისთვის არსებული კორპორაციული გადასახადი გაიზარდა 15%-დან 20%-მდე და ძალაში შევიდა 2023 წლის დასაბეგრი შემოსავლისთვის.

„კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

4.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ექვეები კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

4.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი კლიენტების, კრედიტორებისა და მარეგულირებლის მხრიდან.

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტიქიკოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, კლიენტები და კრედიტორები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების

რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

4.5. „კომპანია“ ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან/და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის თავში - „ანგარიშვალდებული საწარმო“.

5. საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

5.1. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესში; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან დროულ შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა პირობების დაცვას ან/და თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ან/და საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შეუსაბამობებს, კომპანიას შეიძლება დაუწესდეს მნიშვნელოვანი საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან/და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე თანამშრომლების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სესხების გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის იყენებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მსუბუქ საზედამხედველო რეჟიმს, ნებისმიერი ცვლილება მარეგულირებელ ჩარჩოში და ამ ცვლილებებთან დროული შეუსაბამობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს. მოსალოდნელია ცვლილებები არსებულ რეგულაციებში, მიმდინარეობს ცვლილების პროექტების განხილვა. (მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი ჩარჩო“).

5.2. არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან, მათ შორის მიკრობანკების რეგულაციასთან, შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა .

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სახედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, 2) კაპიტალის კოეფიციენტი - სახედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან - მინიმუმ 18%, 3) ლიკვიდობის კოეფიციენტი - საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა მინიმუმ 18% და სხვა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ უფლებამოსილება მომხმარებლებს მიაწოდონ როგორც საკრედიტო ისე საოპერაციო პროდუქტები (კომუნალური გადახდები, ფულადი გზავნილები და სავალუტო ოპერაციები), ასევე ფიზიკური პირებისგან და ფინანსური ინსტიტუტებისგან სესხების მიღების უფლებამოსილება, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონით განსაზღვრული საქმიანობა არ მოიცავს მომხმარებლისგან დეპოზიტების მიღებას.

აქტიური ცვლილებები მარეგულირებელ ჩარჩოში 2016 წლიდან დაიწყო და ეტაპობრივად ამოქმედდა. 2017 წლის იანვრიდან ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის 100%-ის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, მიზეზი მნიშვნელოვნად შემცირებული მოგების მარჟა და ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგების ვერ დაგენერირება გახდა. 2018 წლის სექტემბრიდან აღნიშნული ზღვარი განახევდრა და 50%-მდე შემცირდა, რამაც სექტორის კიდევ უფრო მეტი მოთამაშე აიძულა დაეტოვებინა ბაზარი, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

2018 წლის სექტემბრიდან ასევე ამოქმედდა ეროვნული ბანკის შემუშავებული ორი ახალი წესი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“. ასევე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა და შეეხო ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციას, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, უკავშირდება ფიზიკური პირების პასუხისმგებლიან დაკრედიტებას. სესხის გამცემი ორგანიზაციები ვერ გასცემენ სესხებს ფიზიკურ პირებზე თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულებით არის დადგენილი, მეტი დეტალისთვის იხ. „მარეგულირებელი ჩარჩო“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, სამომავლოდ მისთვის რელევანტური იქნება არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, არამედ მიკრობანკის სტატუსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და მათთან დაკავშირებული რისკები. მიკრობანკების საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია: „მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული რისკები“.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 10 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, რომლითაც კანონმდებლობამ მოაწესრიგა ისეთი ახალი ფინანსური ინსტიტუტის სახედამხედველო ჩარჩო, როგორც არის მიკრობანკები. კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, შესაბამისად, მას შეიძლება მოუწიოს გარკვეული საოპერაციო ცვლილებების დანერგვა. გარდა ამისა, შეიძლება ასევე საჭირო გახდეს დაფინანსების სტრუქტურის მიმართულებით ცვლილებების განხორციელება. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მნიშვნელოვან დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

არსებობს რისკი, რომ არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო შეფერხდეს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გაუარესდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის კომპანია აკმაყოფილებს მიკრობანკის კანონით და ეროვნული ბანკის რეგულაციებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას.

5.3. თუ ვერ მოხერხდა „ობლიგაციების“ სრული და დროული განთავსება, ისევე როგორც სესხების/ობლიგაციების რეფინანსირება „კომპანია“ შესაძლოა დადგეს ლიკვიდურობის რისკის წინაშე;

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა „ობლიგაციების“ წარმატებული განთავსება და კომპანიამ ვერ შეძლო ვადადამოსული ობლიგაციების საბანკო სესხებით (მათ შორის უკვე დამტკიცებული საკრედიტო ხაზების ათვისებით), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მოზიდული რესურსით, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული

რესურსით, ან საკუთარი ფულადი სახსრებით რეფინანსირება, შესაძლოა „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ლიკვიდურობას შეექმნას საფრთხე. დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ შემდეგი ქვეთავები: „განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ“, „ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები“, „ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა“.

5.4. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

5.5. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

ბიზნესზე თანდაყოლილად ვრცელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. შესაბამისად, კომპანიას, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მოეთხოვება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობისთვის არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა, კომპანიას დანერგილი აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და პოლიტიკა/პროცედურები შიდა კონტროლის ეფექტურად განსახორციელებლად. თუმცა, რიგ შემთხვევებში აღნიშნულმა ზომებმა შეიძლება ვერ აღკვეთოს საკანონმდებლო მოთხოვნების ყველა შესაძლო დარღვევა. თუ კომპანიაში არსებული ნებისმიერი პროცესი არ იქნა წარმართული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მასზე შესაძლოა გავრცელდეს სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის სანქციები და სხვა გამოსასწორებელი ზომები, მათ შორის: წერილობითი გაფრთხილება, უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირის (ადმინისტრატორის) ხელმოწერის შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება, მაკონტროლებელი პირისათვის კონტროლის გაუქმება, გარკვეული ტიპის ოპერაციების/საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვა, ფულადი ჯარიმა, დროებით ადმინისტრაციული რეჟიმი, ლიცენზიის ჩამორთმევა/რეგისტრაციის გაუქმება და ა.შ. ნებისმიერი სანქცია, გამოსასწორებელი ზომა ან გამოძიება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონის სავარაუდო დარღვევისთვის შელახავს კომპანიის რეპუტაციას და სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე, პერსპექტივებზე ან პოტენციურ ინვესტიციებზე.

6. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული რისკები

6.1. საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დანაკარგები შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის შემცირების და სესხის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით დანერგილი რისკის მართვის პოლიტიკა, პროცედურები და შეფასების მეთოდები მოლოდინზე ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდება.

კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში მოიპოვა მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზია, შესაბამისად, მას ეცვლება დაკრედიტების ლიმიტები, ეძლევა ახალი პროდუქტების შეთავაზების შესაძლებლობა და ა.შ., კერძოდ: 1) სესხის მაქსიმალური მოცულობა ერთ მსესხებელზე/მსესხებელთა ჯგუფზე 100 000 ლარიდან იზრდება 1 000 000 ლარამდე; 2) კომპანიას შეუძლია მოიხილოს დეპოზიტები; 3) კლიენტებს გაუხსნას მიმდინარე ანგარიშები.

არსებობს რისკი, რომ ემიტენტის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები არ აღმოჩნდეს საკმარისად ეფექტური ახალი ბიზნეს მოდელის ფარგლებში წამოჭრილი რისკების სათანადოდ განსაზღვრისა და მართვისთვის, რამაც შესაძლოა, კომპანია ფინანსური დანაკარგებისა და ოპერაციული სირთულეების წინაშე დააყენოს.

6.2. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ მოიპოვა მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზია, მას სამომავლოდ ექნება დიდი მოცულობის საბანკო ტრანზაქციები, რაც მას აყენებს დანაკარგების რისკის წინაშე.

იქიდან გამომდინარე, რომ ემიტენტმა მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, სამომავლოდ მოსალოდნელია კომპანიის მიერ დიდი მოცულობის საბანკო ტრანზაქციების განხორციელება, რაც მას აყენებს დანაკარგების და ისეთი ტიპის საოპერაციო რისკების წინაშე, რომლებიც აქამდე კომპანიისთვის უცხო იყო. ეს რისკები შესაძლოა წარმოიშვას შიდა პროცესების გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების, ტრანზაქციების დამუშავების პროცესში შეფერხებებისა ან სისტემური ხარვეზების შედეგად. ამგვარმა მოვლენებმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები, მომხმარებელთა უკმაყოფილება და რეგულატორების სანქციები.

6.3. თუ ემიტენტი ვერ მოახერხებს საკმარისი მოცულობის დეპოზიტების მოზიდვას, შესაძლოა ოპერაციული და ფინანსური სირთულეები შეექმნას.

მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ კომპანიის ოპერაციების დაფინანსება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული დეპოზიტების მოზიდვაზე. თუ კომპანია ვერ მოახერხებს საკმარისი მოცულობის დეპოზიტების მოზიდვას, შესაძლოა შეექმნას ოპერაციული და ფინანსური სირთულეები.

გარდა ამისა, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია კომპანიას ავალდებულებს, ჩაერთოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა ემიტენტისთვის დამატებითი ფინანსური და საოპერაციო ტვირთი აღმოჩნდეს.

6.4. არსებობს მიკრო ბანკის ლიცენზიასთან დაკავშირებული ძირითადი და დამატებითი მარეგულირებელი მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობა.

სექტორში ოპერირებისთვის მიკრობანკებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნები. მიკრობანკების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მიკრობანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს; 2) ბიზნეს სესხების კომპოზიცია მთლიან პორტფელში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 70%-ს; 3) ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი - მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან წმინდა ფულად გადინებასთან უნდა შეადგენდეს მინიმუმ 100%-ს და სხვა. მიკრობანკების საზედამხედველო მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ წინამდებარე პროსპექტის თავი - „მარეგულირებელი ჩარჩო“.

მიკრობანკებს გააჩნიათ უფლებამოსილება მომხმარებლებს მიაწოდონ როგორც საკრედიტო ისე საოპერაციო პროდუქტები (მიმდინარე ანგარიშების გახსნა, კომუნალური გადახდები, ფულადი გზავნილები და სავალუტო ოპერაციები), ასევე ფიზიკური პირებისგან და ფინანსური ინსტიტუტებისგან დეპოზიტების და სესხების მიღების უფლებამოსილება.

კომპანია ვალდებულია შეასრულოს მიკრობანკებისთვის გაწერილი საზედამხედველო კოეფიციენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ისევე, როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სხვადასხვა პერიოდულობით - დღიური, კვირეული, თვიური, კვარტალური, წლიური, IFRS სტანდარტზე მორგებული ანგარიშგებები, აგრეთვე, რიგი ანგარიშგებები გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანია ასრულებს საზედამხედველო კოეფიციენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, არსებობს რისკი, რომ არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო შეფერხდეს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გაუარესდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

6.5. კომპანიას შეიძლება განესაზღვროს დამატებითი / უფრო მკაცრი საზედამხედველო კოეფიციენტები ეროვნული ბანკის მხრიდან მისი ფინანსური მდგომარეობისა და რისკების დონის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (ე.წ. GRAPE) ფარგლებში აფასებს ბანკების რისკიანობის დონეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი,

საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა და კორპორაციული მართვა.

შეფასების შედეგად განისაზღვრება ინდივიდუალური ბანკების კაპიტალის მოთხოვნა პილარ 2-ის ფარგლებში (წმინდა GRAPE ბუფერი), საზედამხედველო ყურადღების დონე ბანკებთან და რისკებთან მიმართებაში და გამოვლენილი რისკებზე საპასუხო რეკომენდაციები ბანკებისათვის. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უკვე განესაზღვრა ზემოხსენებული მოთხოვნა 2.5%-ის ოდენობით.

შესაბამისად, ვინაიდან ემიტენტმა მოიპოვა მიკრო ბანკის სტატუსი, ეროვნული ბანკის მხრიდან კომპანიასთან დაკავშირებული ზემოხსენებული კატეგორიის რისკების ანალიზის შემდეგ შეიძლება განესაზღვროს ზემოხსენებული დამატებითი / უფრო მკაცრი საზედამხედველო კოეფიციენტები, რომლის შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე, მის ფინანსურ და ოპერაციულ მდგომარეობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (ე.წ. GRAPE) შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/page/grape>

ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები

7. ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

7.1. კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.

2023 წლის ივლისში ამოქმედებული მიკრობანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულებაარეგულირებს კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლებს. (დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „მარეგულირებელი ჩარჩო“). გარდა ეროვნული ბანკის მიერ მიღებული რეგულაციისა, კომპანიის ლიკვიდურობაზე და საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნებს ასევე განაპირობებს საკრედიტო პროდუქტებზე სესხებზე მოთხოვნა, კერძოდ მომხმარებლის მხრიდან სესხზე მოთხოვნის ზრდა ან კლება. კომპანიის მომავალი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი უნარი, მართოს ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი ლიკვიდურობის რისკები. კომპანია ამ ეტაზე ლიკვიდობის რისკების სამართავად ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქტიურად იყენებს საფინანსო ინსტიტუტებში არსებულ საკრედიტო ხაზებს, რაც ლიკვიდობის მართვას ამარტივებს. თუ ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები და არსებული საკრედიტო ხაზები არ იქნება საკმარისი მიმდინარე ფულადი საჭიროებების დასაფინანსებლად, კომპანიას, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა მოუხდეს დამატებითი საკრედიტო ინსტრუმენტების, ასევე, დამატებითი კაპიტალის პოტენციური წყაროების მოძიება. ასევე, ეკონომიკის ან ინდუსტრიის დადმასვლამ შეიძლება პრობლემური სესხების დონე გაზარდოს. ვალის ამოღების მნიშვნელოვანი გაუარესება გავლენას მოახდენს ფულის ნაკადზე და საბრუნავ კაპიტალზე და ასევე უარყოფითად იმოქმედებს კომპანიისთვის მისაცემი დაფინანსების ღირებულებაზე ან ხელმისაწვდომობაზე.

თუ კომპანიის ფინანსური რესურსები არ იქნება საკმარისი ფინანსებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომპანიას დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა მოუწევს. (2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობისთვის კომპანიის Debt/Equity (სუბორდინირებული სესხების ჩათვლით) შეადგენს 4.6-ს) კომპანიამ შესაძლოა ვერ მოიზიდოს (საერთოდ თუ მოიზიდა) საკმარისი დამატებითი ფულადი სახსრები ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობებით. თუ კომპანია ვერ შეძლებს ფულის მოზიდვას, მნიშვნელოვნად შეიზღუდება მისი შესაძლებლობა, დააფინანსოს მიმდინარე ოპერაციები, ისარგებლოს სტრატეგიული უპირატესობებით ან სხვაგვარად მოახდინოს რეაგირება კონკურენციის ზეწოლაზე, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ფინანსური რისკის მართვის შიდა პროცედურები და გაცვლითი კურსისადმი მოწყვლადობის მინიმუმამდე შემცირების უწყვეტი პრაქტიკა, რაც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაფინანსების ჰეჯირების გზით ხდება,

შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, მართოს ლიკვიდურობის პოტენციური პრობლემები. თუმცა, მომავალში, კომპანიის უუნარობამ, მართოს ლიკვიდურობის რისკი, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ოპერაციებზე.

ასევე, ბიზნეს ოპერაციებში არსებობს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკი. როდესაც ბაზრის საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს კომპანიის შემოსავლების ნაკადებზე, რომლებიც საპროცენტო შემოსავლის სახით მიიღება (უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია გასცემს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხებს, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოქმედებს მხოლოდ სამომავლო და არა არსებული შემოსავლების ნაკადებზე), და კომპანიის საპროცენტო ხარჯებზე, რომლებითაც ხდება მისი დავალიანებების დაფარვა, ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი მერყეობები პირდაპირ ზემოქმედებს კომპანიის დაფინანსების ღირებულებაზე, საპროცენტო შემოსავალზე, წმინდა საპროცენტო მარჯაზე, კომპანიის მოგების მარჯაზე და მთლიანად ფინანსურ მდგომარეობაზე. ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მერყეობებს განაპირობებს კომპანიის კონტროლს მიღმა არსებული სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, სექტორების მარეგულირებელი ჩარჩო და ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო საქართველოში.

7.2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის არსებული დაფინანსების პირობები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ჩვეულებრივ შემზღუდავ ვალდებულებას, რომლებიც ეხება ლევერიჯს (ფინანსურ რისკს), ბიზნესის პროფილის შეცვლას, კონტროლის შეცვლას, დივიდენდების გადახდის პოლიტიკას, აქტივების შექმნას, რეალიზაციას, პორტფელის გირავნობას და სხვა. ამ ვალდებულებებმა შეიძლება შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი ოპერაციები ან განახორციელოს კაპიტალური ხარჯები, შესყიდვები ან სხვა ინვესტიციები მომავალში. არსებული და მომავალი დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე ასეთ ვალდებულებასთან შეუსაბამობა შეიძლება დეფოლტად ჩაითვალოს, რაც კრედიტორებს, სხვა უფლებებთან ერთად, აძლევს უფლებას, შეწყვიტონ მომავალი კრედიტის ხელმისაწვდომობა, გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ ვალზე ან/და შეამცირონ დაუფარავი ვალდებულებების დაფარვის ვადა. მომავალში ვალდებულების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში კომპანია დადგება იმ რისკის წინაშე რომ შესაძლოა დაარღვიოს არსებული კოვენანტი, რაც გამოიწვევს კრედიტორისგან დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვას და არსებული დაფინანსების გამოთხოვას. მომავალში ვალდებულებების ზრდის გამო, ნებისმიერი ასეთი დეფოლტი სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

7.3. საკრედიტო რეიტინგის კლებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯი და კომპანიას გაურთულოს მომავალში ახალი ფულადი სახსრების მოზიდვა ან ვადამოსული ვალდებულებების განახლება.

საკრედიტო რეიტინგის კლება, ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, გაზრდის კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯს. გარდა ამისა, კომპანიისთვის უფრო რთული და ძვირი იქნება იმ ვალების განახლება, რომელთა დაფარვის ვადაა დამდგარი. საკრედიტო რეიტინგის კლებამ და უუნარობამ, განაახლოს ვადამოსული ვალდებულებები, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

8. საკრედიტო რისკები

8.1. პოტენციური მსესხებლების საკრედიტო რისკის სამართლიანად შეფასებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს სესხის დამტკიცების რთული პროცედურები და გააჩნია სესხის დამტკიცების სხვადასხვა დონის კომიტეტები (დამტკიცების პროცედურების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „სესხის გაცემის პროცედურა“), მან შეიძლება ვერ შეძლოს თითოეული პოტენციური მსესხებლის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და მისი გადახდისუნარიანობის სწორად შეფასება. გადაწყვეტილებები ნაწილობრივ ემყარება იმ

ინფორმაციას, რომელსაც სესხზე განაცხადის შემომტანი წარმოადგენს. პოტენციურმა მსესხებლებმა შესაძლოა თაღლითური გზით წარმოადგინონ არასწორი ინფორმაცია და თუ ეს თაღლითობა შეუმჩნეველი დარჩა, საკრედიტო კომიტეტმა შესაძლოა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით არასწორად განსაზღვროს მომხმარებლის საკრედიტო რისკები. პოტენციური მომხმარებლების საკრედიტო რისკის არასწორად შეფასება - მოხდება ეს მომხმარებლის არასათანადოდ შეფასების თუ მომხმარებლის მიერ თაღლითურად წარმოდგენილი არასწორი ინფორმაციის გამო - სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე და შეიძლება მარეგულირებელი სანქციების დაკისრებაც კი გამოიწვიოს (მათ შორის საურავები და ჯარიმები, ფუნქციონირების შეჩერება ან არსებული რეგისტრაციის გაუქმება).

კომპანიის პორტფელი დივერსიფიცირებულია გეოგრაფიული არეალის, საქმიანობის და სექტორის კონცენტრაციის მიხედვით. ასევე, გაცემული სესხები შედარებით მოკლევადიანია, დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში და გამყარებულია უზრუნველყოფით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი სესხების დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნა და პორტფელის დივერსიფიკაცია, რადგან პორტფელის ხარისხის შემცირება არის ერთ-ერთი მთავარი რისკ ფაქტორი.

8.2. აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.

კომპანია თავისი სესხების გაუფასურების რეზერვს აღრიცხავს ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“ 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, მიუხედავად იმისა რომ მანამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ვალდებულება მარეგულირებლისათვის მიეწოდებინათ რაიმე წესით შექმნილი გაუფასურების ზარალის რეზერვი, კომპანია რისკების მართვის კონსერვატიული მიდგომიდან გამომდინარე დაარსების დღიდან გაუფასურების ზარალის რეზერვს ასევე ქმნიდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგის მიხედვით. მას შემდეგ რაც რეზერვირების საერთო წესი გახდა სავალდებულო ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის, კომპანიის გაუფასურების ზარალის რეზერვი და რეზერვის პროცენტი (ფარდობა გროს სესხის პორტფელთან) მკვეთრად შემცირდა, რადგან ახალი მეთოდოლოგია 2018 წლამდე გამოყენებულთან შედარებით ნაკლებად კონსერვატიული იყო. პარალელურად, 2018 წელს, გაუფასურების ზარალის რეზერვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად აღსარიცხავად, კომპანიამ დანერგა ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“. 2018 წლიდან გაუფასურების რეზერვი აუდირებულ ანგარიშგებაში სწორედ ამ მეთოდით ითვლება, ხოლო მარეგულირებელთან ანგარიშგების მიზნებისთვის კი ზემოაღნიშნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიით. (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი „ფინანსური მდგომარეობა, საოპერაციო შედეგები“).

მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია მიიღო, იგი გაუფასურების რეზერვს მიკრობანკებისთვის ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის შესაბამისად დაითვლის და ამ მეთოდოლოგიით გააკეთებს მარეგულირებელთან ანგარიშგებას.

როგორც წესი, მომავალი საკრედიტო რისკები გარკვეული პერიოდის განმავლობაში საჭიროებს არსებით განსჯასა და შეფასებას, კომპანიამ შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და ამდენად, რეზერვი შეიძლება არაადეკვატური იყოს ფაქტობრივი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. კომპანიის რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თუ საქართველოს ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი ან არასასურველი ცვლილებები მოხდება, ან კანონებსა და რეგულაციებში მოხდება ცვლილებები ან თუ სხვა მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულ მსესხებელზე, დარგზე ან ბაზარზე. ასეთ გარემოებებში კომპანიას შესაძლოა დამატებითი რეზერვის შექმნა დასჭირდეს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის მოგებას და მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

8.3. გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული.

კომპანიის პორტფელის თითქმის 95% უზრუნველყოფილია სხვადასხვა აქტივებით, საკრედიტო რისკების და პოტენციური დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით. კომპანიის სესხების პორტფელში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი LTV კოეფიციენტი 41%-ს უტოლდება, ხოლო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების შესაბამისი კოეფიციენტი 54%. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება, ამოქმედოს თავისი უზრუნველყოფის უფლებები ასეთი გირაოს მიმართ და/ან ამოიღოს სესხი უზრუნველყოფილი აქტივების გაყიდვის გზით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გირაოს აფასებს სესხის დამტკიცების წინა ეტაპზე, გირაოს ღირებულება შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს და მასზე სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორმა, როგორებიცაა ზარალი, დანაკარგები, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან საბაზრო მოთხოვნის კლება. ამ რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანიას აქვს უფლება გაუფასურების შემთხვევაში მოითხოვოს უზრუნველყოფის დამატება უზრუნველყოფის ხელშეკრულების თანახმად.

თუ სესხის უზრუნველყოფი გირაოს ღირებულება არასაკმარისი აღმოჩნდა, შესაბამისი სესხების გადაუხდელობით მიღებული დანაკარგების კომპენსაციისთვის კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება მსესხებლისგან ან სხვა წყაროებიდან. თუმცა, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ კომპანია ამას შეძლებს. სესხის უზრუნველყოფი გირაოს ღირებულების ნებისმიერმა შემცირებამ ან კომპანიის წარუმატებლობამ, მოიპოვოს დამატებითი უზრუნველყოფა შესაძლოა კომპანია აიძულოს, შექმნას დამატებითი რეზერვები კომპანიის გადაუხდელი სესხების დასაფარად ან ჩამოწეროს ისინი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნეს ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ასევე, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს დეფოლტისთანავე უზრუნველყოფილი აქტივების ლიკვიდირება ან სხვაგვარად რეალიზაცია; გირაოს ღირებულების ლიკვიდირების ან სხვაგვარად რეალიზების პროცედურები შეიძლება გახანგრძლივდეს; ასევე, ასეთი გირაო ლიკვიდური შესაძლოა არც იყოს. ამიტომ, შესაძლოა გართულდეს ასეთი უზრუნველყოფის თუ გირაოს აღსრულება.

9. საოპერაციო რისკები

9.1. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.

კომპანია მუდმივად დგამს ნაბიჯებს ბიზნესის შესაფერისი შიდა კონტროლის გაძლიერებისთვის თუმცა, შეუძლებელია შეცდომებისა და თაღლითობის რისკის სრულად აღმოფხვრა. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად მუშაობას, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს პროცესების/ოპერაციების ეფექტიანად წარმართვაზე, შეცდომებისა და თაღლითობის პრევენციაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვასა და კომპანიის შედეგების ანგარიშგების სიზუსტეზე. (შიდა კონტროლის მექანიზმების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ *სესხის გაცემის პროცედურა*).

კომპანიაში არსებული შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, სერვის ცენტრების საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგს, პროცესებისა და ოპერაციების გარე და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის კონტროლს, ფულადი სახსრების გახარჯვის ადეკვატურობის შეფასებას, პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.. მიუხედავად აღნიშნულისა, შესაძლოა კომპანია მაინც დადგეს თაღლითობის რისკის წინაშე.

9.2. ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.

ინფორმაციული აქტივები და საინფორმაციო სისტემები მოწყვლადია რამდენიმე თანდაყოლილი რისკ ფაქტორის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არავატორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნეს ოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. კომპანიის ბიზნეს ოპერაციების შესახებ

მონაცემების მოპოვების ან/და გამჟღავნების შემთხვევაში, შესაძლოა დაზარალებულს კომპანიის რეპუტაცია, შემცირდეს კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და შედეგად, კომპანიამ მიიღოს მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები.

გარდა ამისა, არსებობს რისკის იმისა, რომ კომპანია ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, ვერ შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო სისტემების და ინფრასტრუქტურის განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირება მისი საჭიროებების, ან რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, ამან შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარების პირობებში, კომპანია უწყვეტ რეჟიმში განსაზღვრავს, ნერგავს და აახლებს სხვადასხვა მიდგომებს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციული აქტივების და საინფორმაციო სისტემების დაცულობა და უსაფრთხოება. ქსელის დაცვის სისტემების ფარგლებში, კომპანია ახდენს ინფორმაციის დაცვას არავატორიზებული წვდომებისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, საინფორმაციო სისტემების შეფერხების რისკი მაინც არსებობს.

10. საბაზრო რისკები

10.1. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში.

კომპანიის ბალანსზეა საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები. არსებობს რისკი, რომ კომპანიის საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ვალდებულებებზე (სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები) გაეზრდება საპროცენტო განაკვეთი და ის ვერ მოახერხებს რომ შესაბამისად ან საერთოდ გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებზე. (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“). ამან შესაძლოა გამოიწვიოს წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება, რაც უარყოფით შედეგს იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვალდებულებების ნაწილი (ჯამური ვალდებულებების 40%), რომლებიც დენომინირებულია ლარში ცვლადია და მიბმულია რეფინანსირების განაკვეთის ინდექსზე, რაც დამატებით ქმნის საპროცენტო განაკვეთის რისკს. ინდექსის ზრდის შემთხვევაში იზრდება საპროცენტო ხარჯი (დეტალებისთვის, იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“).

10.2. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რამდენიმე ვალუტაშია დენომინირებული (ლარი, აშშ დოლარი, ევრო, რუბლი). შშ დოლარში კომპანიას აქვს უარყოფითი სავალუტო პოზიცია.

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
ფული და ფულის ექვივალენტი	11,302	3,268	911	86
გაცემული სესხები	106,538	751	-	-
სხვა აქტივები	1852	81	6	
სულ	119,692	4,100	917	86

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
სუბორდინირებული სესხები	-	5,576	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	64,437	33,026	53	-
სალიზინგო ვალდებულებები	174	4,579	-	-

სხვა ფინანსური ვალდებულებები	1715	227	-	-
სულ	66,326	43,408	53	0
ღია სავალუტო პოზიცია	53,366	-39,308	864	86
დერივატივების ეფექტი	-34,197	34,868	-903	-
წმინდა ღია საბალანსო ანგარიშგების პოზიცია	19,169	-4,440	-39	86

არსებობს რისკი, რომ სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის რყევებმა არასახარბიელო შედეგი იქონიონ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის სავალუტო პოზიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი *კაპიტალიზაცია და დავალიანება*.

11. რეპუტაციული რისკები

11.1. კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.

კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები გარკვეულწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე, საფირმო ნიშნის აღიარებაზე, ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე. ტექნიკური სირთულეების, მარეგულირებელი სანქციების, მომსახურების მიწოდების შეფერხების, მომსახურების ხარისხის გაუარესების და სხვა თანდაყოლილი გარემოებების შედეგად, კომპანიის საფირმო ნიშანი და რეპუტაცია შესაძლოა შეილახოს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

11.2. საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.

სექტორი, რომელშიც კომპანია ოპერირებს, არ არის დაცული საზოგადოების ანტიპათიის და ნეგატიური მედიაგაშუქებისგან. ბოლო წლებში ინტერესი სექტორის მიმართ იზრდება, რადგან ამ სექტორის საკრედიტო პორტფელის მოცულობა თითქმის 8-ჯერ გაიზარდა (1,899 მილიონი ლარი 2024 წლის 30 ივნისის შედეგებით მაშინ, როდესაც 2010 წლის ბოლოს ის მხოლოდ 229 მილიონი ლარის ტოლი იყო). წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*. სხვადასხვა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები მოითხოვდნენ მთავრობისგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც დაიცავდა მომხმარებლებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპროპორციულად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისგან და დააწესებდა მკაცრ შეზღუდვებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე. მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებამ და ოპერირებისთვის სტანდარტული წესების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სექტორის კვალიფიკაცია და გამჭვირვალობა, რაც სექტორის მიმართ მომხმარებელთა ნდობის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

კომპანიის უნარი, მოიზიდოს ახალი მომხმარებლები და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მარკეტინგული კამპანიების წარმატებასა და მის რეპუტაციაზე საზოგადოებაში. მიკროსაფინანსოების დაკრედიტების უარყოფითმა აღქმამ ან გაშუქებამ შეიძლება შეამციროს კომპანიისადმი ნდობა და შელახოს კომპანიის რეპუტაცია არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს შორის, რაც გაართულებს მომხმარებელთა ბაზის შენარჩუნებას თუ გაფართოებას ან შეამცირებს მოთხოვნას ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებზე, რამაც შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

12. სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

12.1. კომპანიის ბიზნესი დაზარალდება, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას 249-მდე სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ჰყავდა. კომპანიის ბიზნესმოდელის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია ძირითადი მენეჯმენტის და თანამშრომლების საქმიანობის უწყვეტობაზე და კომპანიის უნარზე, მოიზიდოს, შეინარჩუნოს და წახალისოს კვალიფიციური პერსონალი. გარდა ამისა, კომპანიის ძირითად მენეჯმენტს და სხვა პერსონალს დამყარებული აქვთ მნიშვნელოვანი სამუშაო ურთიერთობები მარეგულირებლებთან და კარგად იცნობენ კომპანიას და იმ ბაზარს, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მის უნარზე, შეინარჩუნოს ასეთი პერსონალი და საჭიროებისამებრ დაიქირაოს კვალიფიციური პერსონალი. არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ კომპანია შეძლებს, მოიზიდოს, დაიქირაოს და შეინარჩუნოს საკმარისად კვალიფიციური პერსონალი. ამის შეუძლებლობა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე კომპანიას არ ჰქონია შემთხვევა, რომელიც საქართველოს კანონის და შრომის კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად ჩაითვლებოდა გაფიცვად, სასამართლო პროცესად ან საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ნებაყოფლობით უარყოფად, არ არსებობს გარანტია, რომ ეს არ მოხდება მომავალში. გაფიცვებმა და სხვა აქციებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

12.2. კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ისტორიულად, კომპანიის სასამართლო პროცესები მენეჯმენტისგან დიდ დროსა და ძალისხმევას არ მოითხოვდა, თუმცა კომპანია არ არის დაზღვეული ისეთი დავების მოპასუხეობისგან, რომლებმაც შეიძლება მენეჯმენტის დიდი დრო და ყურადღება მოითხოვოს და მსხვილი დანახარჯები გამოიწვიოს იურიდიული მოსაკრებლებისა და სხვა თანმდევი ხარჯების სახით. ბიზნესზე ვრცელდება მარეგულირებელი ჩარჩოც და კომპანიამ შეიძლება მარეგულირებელ ჩარჩოში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციამ დააზარალოს. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

13. გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

13.1. კომპანიის მფლობელობაში არსებული აქტივების არასრულყოფილმა დაზღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „კომპანიის“ ოფისები და ქეში დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მიერ შემდეგი რისკებისგან:

- ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საჰაერო ხომალდის ან მათი ნაწილების ვარდნა
- შტორმი, გრიგალი, ქარიშხალი, წყალდიდობა, სეტყვა, გრუნტის დაჯდომა, მეწყერი, ზვავი, ქვის ცვენა, თოვლის სიმძიმე

- წყალგაყვანილობასა და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით პირდაპირი დაზიანება, წყლის, ზეთის ან ნავთობის საქვაბეებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა
- სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება
- მიწისძვრა

ჯამურად ქონების სადაზღვევო თანხა შეადგენს 3,86 მილიონ ლარს. კომპანიას დაზღვეული აქვს ნაღდი ფულადი სახსრების ნაწილი (დაზღვევის წლიური მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 1,5 მილიონი ლარს). რაც შეეხება დანარჩენ აქტივებს, კომპანიას ჯამურად აქვს 17 ოფისი, საიდანაც ფლობს მხოლოდ 2-ს. კომპანიას დაზღვეული აქვს საოფისე ინვენტარი და რემონტი, დაზღვევა არ მოიცავს შენობებს.

უბედური შემთხვევის ან/და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენის დადგომისას „კომპანიის“ საოფისე ინვენტარისა და შენობების დაზიანების შემთხვევაში, დაზღვევა აანაზღაურებს მხოლოდ რემონტისა და საოფისე ინვენტარის ხარჯებს, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ბიზნესის უწყვეტობა და უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 26 თებერვლამდე.

შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

14. „ობლიგაციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები

14.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს.

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

14.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი.

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული

საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორც საქართველოა.

14.3. ობლიგაციების საპროცენტო შემოსავალი შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

აღნიშნული ობლიგაციების გამოშვება ხდება მცურავი საპროცენტო განაკვეთით. კერძოდ ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი (TIBR3M) (რომელიც გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: <https://nbg.gov.ge>) თუ ეროვნული ბანკი შეამცირებს ან გაზრდის თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად დაკორექტირდება აღნიშნული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი და ინვესტორი მიიღებს ნაკლებ ან მეტ საპროცენტო შემოსავალს. თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კომპანიის რეიტინგის ცვლილებაზე. საკრედიტო რეიტინგის კლება გაზრდის კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯს და კომპანიას გაურთულებს მომავალში ახალი ფულადი სახსრების მოზიდვას ან იმ ვალების განახლებას, რომელთა დაფარვის ვადაა დამდგარი.

14.4. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად.

კომპანია ობლიგაციებზე პროცენტებსა და ძირითად თანხას გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (ინვესტორის ვალუტაში). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტური ძირითადი თანხის ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტები ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

15. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები

15.1. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

„ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს.

საქართველოს კანონის „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუნარიანობა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მიკრობანკისთვის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში იწყება მისი ლიკვიდაცია. „მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუნარიანობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №121/04 ბრძანების შესაბამისად, „კომპანიის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების რიგითობით:

არ არის უპირატესი დეპოზიტარების, უზრუნველყოფილი კრედიტორების, კომპანიის ნებისმიერ ამჟამინდელი ან მომავალი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც კანონით ან/და მისი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებზე.

უპირატესია „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე და „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც კლასიფიცირდება კომპანიის კაპიტალის პირველად და მეორად ინსტრუმენტად ან რომლებიც კანონით ან/და მათი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

15.2. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს.

ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

15.3. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე.

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

16. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

16.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგრვაზე.

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ

ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

14.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის და გადახდის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, განთავსების აგენტთან მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებლის ამ „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

14.3 ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

14.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შექმნაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

ემიტენტი გეგმავს ჯამური 30,000,000 (ოცდაათ მილიონ) ლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას. მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება:

- 1) 2022 წლის დეკემბერში გამოშვებული ობლიგაციების რეფინანსირების მიზნებისთვის ადგილობრივი ბანკებიდან ათვისებული შუალედური სესხების (ე.წ. Bridge Loan) რეფინანსირებისთვის (15,000,000 ლარი);
- 2) დარჩენილი ნაწილი კი მოხმარდება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად მიღებულ საბანკო სესხების რეფინანსირებას.

ჯამურად, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები კომპანიის შეფასებით არ იქნება 29,400,000 მილიონ ლარზე ნაკლები.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმ ობლიგაციების შესახებ, რომლის რეფინანსირების მიზნებისთვის კომპანიამ ადგილობრივი ბანკებისგან ათვისა შუალედური სესხები:

ემიტენტი	ISIN Code	გამოშვების თარიღი	ვადა	ვალუტა	მოცულობა	კუპონის განაკვეთი
"სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	GE2700604228	13 დეკემბერი 2022	2 წელი	ლარი	15,000,000	TIBR3M + 450 საბაზისო პუნქტი

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (ს/ნ: 404967078)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „ბიდიო აუდიტი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 205145403. მისამართი: მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 34. ელ-ფოსტა: bdo@bdo.ge

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

„ემიტენტი“ არის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“.

საიდენტიფიკაციო კოდი: 404967078

მისამართი: ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, თბილისი, საქართველო.

ელ. ფოსტა: info@mbc.com.ge

ვებ-გვერდი: <https://mbc.com.ge/>

ტელეფონი: (995 32) 250-50-02

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო.

მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

დაარსების თარიღი: 06/12/2012

„კომპანია“ დაარსდა 2012 წელს ქართველი აქციონერების მიერ. განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო უძრავი ქონებითა და ავტომობილით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა. 2016 წლიდან MBC-ში დაიწყო ახალი მიმართულებების ჩამოყალიბება და სტრატეგიული გეგმების ცვლილება. 2016 წელს გაიხსნა პირველი სერვის ცენტრი თბილისს გარეთ - რუსთავეში, აქტიურად დაიწყო ბიზნეს სექტორის დასაკრედიტებლად პროდუქტების შექმნა და კადრების გადამზადება. ახალი მიმართულებების განსავითარებლად კომპანიამ აქტიურად დაიწყო რეგიონალური ქსელის გაფართოვება. 2024 წელს კომპანია უკვე წარმოდგენილია 17 სერვის ცენტრით საქართველოს მასშტაბით 8 სხვადასხვა რეგიონში.

რეგიონალური ქსელის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა ადგილობრივ ბაზრებზე მორგებული ახალი საკრედიტო მიმართულებები; 2018 წლის ბოლოდან დაიწყო აგრო პორტფელის განვითარება. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აქციონერებისა და ქართული ბანკების მხარდაჭერამ. აქციონერებისაგან რამდენჯერმე გაკეთდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომპანიაში, სენიორ და სუბორდინირებული სესხების, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შექმნის გზით. ასევე 2019 წელს კომპანიამ მოიზიდა პირველი სესხი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, რომელიც იყო პირველი არაუზრუნველყოფილი სესხი საფინანსო ინსტიტუტისგან. 2021 წლის ოქტომბერში კომპანიამ თავის სასესხო პროდუქტებს დაამატა არაუზრუნველყოფილი ბიზნეს და აგრო სესხები 10,000 ლარამდე. 2022 და 2023 წლებში, ზედიზედ მეორედ და მესამედ, ემბისიმ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭირვალობის საპატიო ჯილდო (BARTA) მოიპოვა. 2024 წლის დეკემბერში კომპანიამ მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია.

ძირითადი საქმიანობა

მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მოპოვებამდე კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო მიკრო სესხების გაცემა და იგი იყო ერთ-ერთი ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა სხვადასხვა პროდუქტებს:

- სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხი
- აგრო სესხი
- იპოთეკური სესხი
- სამომხმარებლო სესხი
- ავტო სესხი

მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ კომპანიას აქვს შესაძლებლობა კვლავ შესთავაზოს მომხმარებელს ზემოხსენებული პროდუქტები და გასცეს როგორც მიკრო, ისე მცირე სესხები. კომპანიის მიზანია იყოს წამყვანი მიკრობანკი ქართულ ბაზარზე.

ამ ეტაპზე ახალი პროდუქტები გაზრდილი მოცულობითა და განახლებული პირობებით შემუშავების და დამტკიცების ეტაპზეა. სესხის გაცემის პროცედურების ცვლილება ეტაპობრივად იგეგმება. გაცემული სესხების მოცულობების ზრდა დაგეგმილია თანმიმდევრულად, ისე, რომ შემდეგი ორი წლის განმავლობაში 100,000 ლარს ზემოთ გაცემული სესხების პორტფელის ჯამურმა მოცულობამ მთლიან სესხებთან 10%-ს არ გადააჭარბოს.

ჩამოთვლილი სესხების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ქვემოთ:

#	პროდუქტის სახელი	სესხის თანხა (ლარი)	ვალუტა	ვადა (თვე)	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ასაკობრივი შეზღუდვა (წელი)	პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე	მიზნობრიობა	უზრუნველყოფა
1	უზრუნველყოფილი ბიზნეს/აგრო სესხი	100,000-მდე	ლარი	120 თვემდე	19%-25%	18 - 65	0.10%	1. ინვესტიცია საბრუნავ სახსრებში; 2. ინვესტიცია ძირითად საშუალებებში; 3. სამეურნეო და სოციალური პრობემების გაუმჯობესება.	უძრავი ქონება
2	არაუზრუნველყოფილი ბიზნეს/აგრო სესხი	20,000-მდე	ლარი	48 თვემდე	26%-29%	20 - 65	0.27%	1. ინვესტიცია მ.ს./საბრუნავ სახსრებში. 2. სამეურნეო და სოც. პრობემების გაუმჯობესება	საბლანკო
3	სტარტაპ სესხი	100,000-მდე	ლარი	120 თვემდე	19%-25%	20 - 65	0.10%	ინვესტიცია მ.ს./საბრუნავ საშუალებებში	უძრავი ქონება
4	საკრედიტო ბარათი	2000-მდე	ლარი	48 თვემდე	36%	20 - 65	0.27%	1. ინვესტიცია მ.ს./საბრუნავ სახსრებში; 2. სამეურნეო და სოც. პრობემების გაუმჯობესება	საბლანკო

5	იპოთეკური და უ/ქ უზრ. სამომხ. სესხი	100,000-მდე	ლარი	120 თვემდე	18.5%-25%	18 - 65	0.10%	1. უძრავი ქონების შეგენა/შენეგობა /რემონტი; 2. სამომხმარებლო	უძრავი ქონება
6	ავტო გირავნობა	50,000-მდე	ლარი	72 თვემდე	24%-41%	20 – 65	0.20%-0.25%	1. ინვესტიცია მ.ს./საბრუნავ საშუალებებში; 2. სამომხმარებლო	სატრანსპორტო საშუალება

სესხის გაცემის პროცედურა

სესხის განაცხადის მიღება

- სესხის მიღების მიზნით, მომხმარებელი მიმართავს MBC-ს მომსახურე ფილიალს ან ვებ-გვერდზე ავსებს განაცხადს.
- ონლაინ აპლიკაციის შემთხვევაში, ქოლ ცენტრის ოპერატორი უკავშირდება კლიენტს ზოგადი ინფორმაციის გასაცნობად და გადაამისამართებს მას სერვის ცენტრში უფრო დეტალური ინფორმაციისთვის. ონლაინ აპლიკაცია შესაძლებელს ხდის სესხის აღებას დისტანციურად.
- საკრედიტო ოფიცერი დეტალურად შეისწავლის მომხმარებლის მოთხოვნებს, აწვდის მას პროდუქტის შესახებ უტყუარ, გასაგებ და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, განუმარტავს კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებულ რისკებს და სთავაზობს მისთვის საჭირო პროდუქტს.
- შესაფერისი პროდუქტის არჩევის შემდგომ მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია: პირადი ინფორმაცია, ინფორმაცია ბიზნეს აქტივობების შესახებ, დეტალური ინფორმაცია შემოსავლების შესახებ, სესხის ოდენობა, ვადა და მიზნობრიობა, საკრედიტო ისტორიის შემოწმებაზე თანხმობა.
- განაცხადის კომიტეტისთვის მიწოდებამდე მიმდინარეობს სესხის უზრუნველყოფის (არსებობის შემთხვევაში) შეფასება.

უზრუნველყოფის შეფასება

უზრუნველყოფის შეფასება ხორციელდება შეფასების ჯგუფის სერტიფიცირებული შემფასებლების მიერ. შემფასებელს თითოეულ ფილიალში ჰყავთ დამხმარეები, რომლებიც ახორციელებენ უზრუნველყოფის ინსპექტირებას და ინფორმაციის შეფასების ჯგუფისთვის მიწოდებას. შეფასების ჯგუფი უზრუნველყოფას აფასებს შეფასების საერთაშორისო სტანდარტზე დაყრდნობით. შეფასებაზე ინფორმაცია ეგზავნება შესაბამის საკრედიტო ოფიცერს, პროგრამაში ასახავს.


საჭირო დოკუმენტაციის კომიტეტისთვის გადაგზავნა და სესხის დამტკიცება

- სესხის განაცხადის შევსების შემდეგ, საკრედიტო ოფიცერი ახორციელებს მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასებას. თუ მსესხებლის პროფილი აკმაყოფილებს სესხის განხილვისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, საკრედიტო ოფიცერი არეგისტრირებს სესხს სესხების მართვის პროგრამაში, ატვირთავს აუცილებელ დოკუმენტაციას და სურათებს და გზავნის საკრედიტო კომიტეტზე განსახილველად.
- საკრედიტო კომიტეტი განიხილავს ყველა ტიპის სესხს, სესხი ვერ გაიცემა საკრედიტო კომიტეტის გვერდის ავლით.
- საკრედიტო კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სესხის ტიპის და მოცულობის მიხედვით. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია დაამტკიცოს, დააუაროს ან შეცვალოს სესხის პირობები - მოცულობა, ვადა და გადახდის გრაფიკი. სესხის დამტკიცების შემთხვევაში დგება გადაწყვეტილების ოქმი.

საოპერაციო მომსახურება

- სესხის დამტკიცების შემთხვევაში საკრედიტო ოფიცერი უკავშირდება მსესხებელს და აცნობს დამტკიცებული სესხის პირობებს.
- დამტკიცებული პირობების გაცნობის შემდეგ, მომხმარებლის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემთხვევაში, დამტკიცებული ოქმის საფუძველზე, საკრედიტო ოფიცერი პროგრამიდან ბეჭდავს სასესხო ხელშეკრულებას.
- ხელშეკრულებების ორივე მხარის მიერ ხელმოწერით დადასტურების შემდეგ, საკრედიტო ოფიცერი სერვის ცენტრის მენეჯერს აწვდის სესხის სრულ დოკუმენტაციას გადამოწმების მიზნით. გადამოწმების შემდგომ, მენეჯერი ახდენს სესხის ავტორიზაციას.
- სესხის ავტორიზაციის შემდგომ მსესხებელს შეუძლია გაიტანოს თანხა ან კომპანიის სალაროდან ან ბანკომატიდან პლასტიკური ბარათის საშუალებით.

სესხის გაცემის პროცედურა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



2024-25 წლების მარკეტინგული გეგმა და მარკეტინგის ძირითადი მიმართულებები

საპროგნოზო პერიოდში ემბისის მარკეტინგული გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბრენდის ცნობადობის ამაღლება, მიზნობრივი სეგმენტისთვის კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, გაყიდვების სტიმულირება.

მარკეტინგული გეგმა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს პოტენციური და არსებული მომხმარებლების ინტერესების იდენტიფიკაციას და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების გაყიდვების ზრდას. გეგმა ითვალისწინებს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდგომ განსახორციელებელ ცვლილებებსაც. ვინაიდან კომპანიამ მიიღო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, ეს აჩენს კომუნიკაციის გაშლის და გაფართოების აუცილებლობას, შესაბამისად, საჭიროებისთანავე კომპანია გადავა საიმიჯო ხასიათის კამპანიების წარმოებაზე, რომელთა ფარგლებში მუდმივად ხდება მიკრო ბანკის უპირატესობებზე აქცენტირება. ამ პერიოდში მარკეტინგული აქტივობების ძირითადი ხაზი ემსახურება ემბისის როგორც ახალი კატეგორიის საბანკო დაწესებულების პოზიციონირებას ბაზარზე - ორგანიზაციისა, რომელიც

მრავალფეროვანი პროდუქტებით, კომფორტული, ხარისხიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული პირობებით და რაც მთავარია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომობით გამოირჩევა.

მარკეტინგის მიმართულების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ბრენდის ცნობადობის გაზრდა;
- რებრენდინგის პროცესის ორგანიზება და განხორციელება;
- ინტერიერისა და ექსტერიერის ახალი დიზაინის შემუშავება და განხორციელება;
- საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების გაყიდვების სტიმულირება და ზრდის ხელშეწყობა;
- ახალი პროდუქტების დანერგვაში მონაწილეობა, პროდუქტების ვიზუალური ნაწილის უზრუნველყოფა, საკომუნიკაციო ეტაპების შემუშავება, აქტიური პრომოუშენი, შედეგების ანალიზი;
- კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდისა და ე.წ. ლენდინგ ფეიჯების ეფექტური მართვა - ახალ კონცეფციაზე, ახალ პროდუქტებზე მორგება;
- SEO ოპტიმიზაციის სრულყოფა - ვებ-გვერდის საძიებო სისტემების მიმართ ადაპტირებულობის ხარისხის ზრდის მუდმივი ხელშეწყობა;
- გაყიდვების სტიმულირების მიზნით, მომხმარებლების ლოიალობის პროექტის შემუშავება და განხორციელება;
- პოტენციური და არსებული კლიენტების შესწავლისა და მათი ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით კვლევების ჩატარება;
- საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ, ფართომასშტაბიანი საიმიჯო კამპანიების ორგანიზება და განხორციელება.

MBC, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. MBC-სთვის ძალიან მნიშვნელოვანია მდგრადი და პასუხისმგებლიანი მიდგომებით ბიზნესის მართვა და აღნიშნული მიდგომების გათვალისწინებით საქმიანი ურთიერთობების წარმართვა კომპანიის დაინტერესებულ მხარეებთან: თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტიორებთან, საზოგადოებასთან. სწორედ ამიტომ კომპანიის მიზანია ჰქონდეს მდგრადი ორგანიზაციული კულტურა კომპანიის მართვის სხვადასხვა დონეზე და მუდამ იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე. MBC არის გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის წევრი, UN Women - გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორი და ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმძღვანელი, საქართველოს "პრო ბონო" ქსელის წევრი. 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა კორპორაციული პასუხისმგებლობის და მდგრადობის მიმართულებით. კერძოდ, გასულ წელს გახდა Meliora 2022-ის გრანპრის გამარჯვებული, კატეგორიაში - "წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია". ასევე, ზედიზედ მესამედ, ემბისი საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის საპატიო ჯილდოს - BARTA-ს მფლობელი გახდა. 2023 წელს ემბისის მოპოვებულ ჯილდოებს შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია კორპორაციული მდგრადობის ჯილდო მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიიდან. ამას გარდა, ემბისის საოპერაციო დირექტორი გაეროს გლობალური შეთანხმების SDG პიონერის ადგილობრივი და გლობალური რაუნდის გამარჯვებული გახდა.

კომპანია წლებია აქტიურად მუშაობს ფინანსური განათლების ხელშეწყობის მიმართულებით, განსაკუთრებით კი ახალი თაობის ფინანსური განათლების მხარდასაჭერად. სწორედ ამ მიზნით, 2023 წელს განხორციელა არაერთი საინტერესო ინიციატივა. ასევე, კომპანია აგრძელებს ქალების ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერას. ამის დასტურია ის, რომ კომპანიის ბიზნეს-აგრო სესხების პორტფელში 30%-მდე ქალია. რაც შეეხება ემბისის გუნდს - კომპანიაში დასაქმებულთა 60%-ზე მეტი ქალია და აღნიშნული სტატისტიკა თითქმის ანალოგიურია საშუალო თუ უმაღლეს რგოლებშიც. ასევე, ემბისი მხარს უჭერს სოციალური საწარმოების განვითარებას და გაძლიერებას. უფრო გრძელვადიანი და მდგრადი მხარდაჭერის მიზნით, კომპანია გახდა პირველი გავლენის ფონდის „აქციოს“ ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერი და მომდევნო 5 წლის განმავლობაში წვლილს შეიტანს საქართველოში არსებული სოციალური საწარმოების განვითარებაში. ამასთან, კომპანიის პროფესიული რესურსები აქტიურად არის მიმართული საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი

ჯგუფების დასახმარებლად. MBC-ს თანამშრომლები უსასყიდლოდ უწევენ მაღალკვალიფიციურ პროფესიულ მომსახურებას შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებს და სამოქალაქო ორგანიზაციებს.

MBC-სთვის კორპორაციული მდგრადობა რჩება ბიზნეს სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად. კომპანია აქტიურად გააგრძელებს ჩართულობას უამრავ სოციალურ აქტივობაში, რომელიც მიმართული იქნება მდგრადობის, ქალთა უფლებების, სოციალური საწარმოების, გარემოს დაცვის, პრო-ბონო აქტივობებისა და ფინანსური განათლების მხარდასაჭერად.

ინფორმაცია კომპანიის მატერიალური კონტრაქტების შესახებ

ემიტენტის ბიზნეს სპეციფიკა ძირითადად დაკავშირებულია ფინანსური სახსრების მოზიდვასა და ფინანსური სახსრების ფიზიკურ პირებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებზე გასესხებასთან. მიკრობანკების კანონმდებლობიდან გამომდინარე, კომპანიებს შეზღუდული აქვთ 1,000,000 ლარზე მსხვილი თანხების გასესხება, რაც გამორიცხავს კომპანიისთვის ერთ კონკრეტულ მხარესთან მატერიალური კონტრაქტების არსებობას, ერთი უმსხვილესი შესაძლო მსესხებელის კონცენტრაცია მაქსიმალური დასაშვები სესხის მოცულობის გაცემის შემთხვევაშიც კი იქნება საზედამხედველო კაპიტალის 5%-ზე ნაკლები. კომპანიის მიერ მოზიდული სახსრების ძირითადი პირობები (სესხების მოცულობები, ვალუტები, საპროცენტო განაკვეთები და ა.შ.) დეტალურად არის განხილული კაპიტალიზაციისა და დავალიანების ანალიზის ნაწილში. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე არ არსებობს სხვა ტიპის მატერიალური კონტრაქტები.

დაზღვევა

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „კომპანიის“ ოფისები და ქეში დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მიერ შემდეგი რისკებისგან:

- ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საჰაერო ხომალდის ან მათი ნაწილების ვარდნა
- შტორმი, გრიგალი, ქარიშხალი, წყალდიდობა, სეტყვა, გრუნტის დაჯდომა, მეწყერი, ზვავი, ქვის ცვენა, თოვლის სიმძიმე
- წყალგაყვანილობასა და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით პირდაპირი დაზიანება, წყლის, ზეთის ან ნავთობის საქვაბუებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა
- სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება
- მიწისძვრა

ჯამურად ქონების სადაზღვევო თანხა შეადგენს 3,86 მილიონ ლარს. კომპანიის დაზღვეული აქვს ნაღდი ფულადი სახსრების ნაწილი (დაზღვევის წლიური მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 1,5 მილიონი ლარს). რაც შეეხება დანარჩენ აქტივებს, კომპანიას ჯამურად აქვს 17 ოფისი, საიდანაც ფლობს მხოლოდ 2-ს. კომპანიას დაზღვეული აქვს საოფისე ინვენტარი და რემონტი, დაზღვევა არ მოიცავს შენობებს.


ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 26 თებერვლამდე.

ძირითადი ბაზრები

მიკროსაფინანსო სექტორის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2017 წლამდე, მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მშპ-ს ზრდის ტემპს, შესაბამისად, მთლიანი სასესხო პორტფელის ფარდობა მშპ-სთან სტაბილურად იზრდებოდა და 2016 წელს 3.9%-იან პიკს მიაღწია. ხოლო, 2017 წლიდან გამკაცრებული რეგულაციების ფონზე, ამ მაჩვენებლის ეტაპობრივი კლება დაიწყო და 2023 წლის მდგომარეობით 2.1%-მდე შემცირდა. მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდის ტემპი დაუახლოვდა მშპ-ს ზრდის მაჩვენებლებს და 2021-2023 წლებში საშუალო ზლიური ზრდა (CAGR) 11.9%-მდე დანორმალიზდა.

დიაგრამა 1: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სასესხო პორტფელისა და მშპ-ს ზრდის ტემპები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ბაზრის მიმოხილვა - მიკროსაფინანსო სექტორი

2006 წლიდან საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, შემდეგი ათწლეულის განმავლობაში მიკროსაფინანსო სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სექტორის მთლიანი აქტივების საშუალო ზრდის ტემპმა (CAGR) 2010-16 წლებში 36.7% შეადგინა, ხოლო, მთლიანი სესხების პორტფელის საშუალო ზრდის მაჩვენებელი (CAGR) ამავე პერიოდში 35.9% იყო. თუმცა, 2017-20 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების (მათ შორის: ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე 50%-იანი ჭერის დაწესება, უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემის შეზღუდვა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების შემოღება, კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალური მოთხოვნების დაწესება და ა.შ) გამო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა განახევრდა და 2024 წლის მეორე ნახევარში 34 შეადგინა. დამატებით, სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი „სს კრედო“ 2017 წლის დასაწყისში გახდა კომერციული ბანკი, რამაც საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, დიდი ზეგავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო სექტორის აგრეგირებულ ინდიკატორებზე.

სექტორში საკანონმდებო ცვლილებების პარალელურად, დასტაბილურდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივების ზრდის ტემპიც (CAGR) და 2017-2023 წლებში 4.8% შეადგინა, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2,245 მილიონი ლარია (წლიური 15.6%-იანი ზრდა), აქედან 1,474 მლნ ლარი ვალდებულებებით (წლიური 18.6%-იანი ზრდა, ხოლო CAGR 2017-2023 2.2%), 771 მლნ ლარი კი (წლიური 10.4%-იანი ზრდა, ხოლო CAGR 2017-2023 10.9%) საკუთარი კაპიტალით ფინანსდება.

დიაგრამა 2: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გამკაცრებული რეგულაციების ფონზე, მიკროსაფინანსო სექტორის შემოსავლიანობა 2016 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რადგან რეგულაცია შეეხო ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ჭერის დაწესებასაც, ჯერ 100%-იანი (2017 წელს), ხოლო მოგვიანებით 50%-იანი (2018 წელს) ჭერით. მსგავსმა შეზღუდვებმა არაკვალიფიციურ მოთამაშებს ბაზრიდან გასვლა აიძულა. შედეგად, ბაზარზე დარჩენილი კვალიფიციური მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პირობებში, ბოლო პერიოდში სექტორის შემოსავლიანობა 23-24%-ის ფარგლებში მერყეობს.

მიკროსაფინანსოების სახსრების ღირებულება სტაბილურია და 2021-24 წლებში საშუალოდ 11%-ს შეადგენს, სპრედი კი საშუალოდ 13%-ია ამავე პერიოდში.

დიაგრამა 3: მიკროსაფინანსოების შემოსავლიანობა და სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


შენიშვნა 1: შემოსავლიანობის მრუდი ასახავს საპროცენტო შემოსავლების ფარდობას მთლიან სასესხო პორტფელთან, ხოლო ეფექტური შემოსავლიანობა დამატებით მოიცავს საკომისიო შემოსავალსაც. კოეფიციენტები დათვლილია ლარში გამოსახული ჯამური მაჩვენებლებით.

შენიშვნა 2: 2018 წელს შემოსავლიანობის ზრდა ერთჯერადი ეფექტია და გამოწვეულია წლის ბოლოს ზოგიერთი მიკროსაფინანსოს (ძირითადად ყოფილი ონლაინ სესხების გამგევი სუბიექტების) ბაზრიდან გასვლით და პორტფელის შემცირებით, მაშინ, როდესაც ზემოთხსენებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო შემოსავლები სექტორის ჯამურ შემოსავალში აღირიცხა.

2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხების პორტფელი 1,899 მილიონი ლარი იყო (წლიური 17.0%-იანი ზრდა). მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხების პორტფელი სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017 წლამდე, სანამ სექტორის ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშე „სს კრედო“ კომერციულ ბანკად გადაკეთდებოდა. ამ ფაქტთან ერთად, მიკროსაფინანსო სექტორის საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულმა ზემოთ ხსენებულმა ძირეულმა ცვლილებებმა შეანელა საკრედიტო პორტფელის ზრდა, თუმცა ამავედროულად, მნიშვნელოვნად შეამცირა სექტორში არსებული რისკები და გააჯანსაღა საკრედიტო პორტფელი. მაგალითად, ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან პორტფელში შემცირდა და საშუალოდ 7.5% შეადგინა 2021-24 წლებში, უმოქმედო სესხების წილი კი აპავე პერიოდში საშუალოდ 4.3%-ია მაშინ როდესაც 2019 წლის დასაწყისში ეს მაჩვენებლები 21.9%-სა და 17.9%-ს უტოლდებოდა.

სექტორის გაჯანსაღება ასევე თვალნათლივ ჩანს პორტფელზე შესაძლო დანაკარგების ხარჯის შემცირებაშიც. ეს მაჩვენებელი 2016 3.8% იყო, ხოლო 2023 წლის მდგომარეობით, 1%-ის ფარგლებშია.

დიაგრამა 4: ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგებიდან და მისი ფარდობა საშუალო სასესხო პორტფელთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: კოეფიციენტები დათვლილია ლარში გამოსახული ჯამური მაჩვენებლებით.

მიკროსაფინანსო სექტორის დაკრედიტების ძირითადი მიმართულება სამომხმარებლო სესხებია, რაც მოიცავს როგორც სამომხმარებლო, სალომბარდე სესხებსა და განვადებებს. ეს კატეგორია სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 82.2%-ს შეადგენს. დარჩენილი 17.8% ნაწილდება ვაჭრობა მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებზე გაცემული სესხებით. აღსანიშნავია, რომ 2016-2024 წლებში სამომხმარებლო სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 52.0%-დან 82.2%-მდე გაიზარდა, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურების წილი 20.3%-დან 9.7%-მდე შემცირდა. 2017 წელს სს კრედოს სექტორიდან გასვლის გამო ყველაზე მეტად შემცირდა სოფლის მეურნეობის სექტორში გაცემული სესხები. სოფლის მეურნეობის სექტორში გაცემული სესხების მოცულობა 121 მლნ ლარი იყო 2024 წლის პირველი ნახევრისთვის. რაც შეეხება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს, მათი წილი ყოველთვის უმნიშვნელო იყო მთლიან საკრედიტო პორტფელში (1.4% 2024 წლის პირველ ნახევარში).

დიაგრამა 5: მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: სამომხმარებლო სესხები მოიცავს სამომხმარებლო, ონლაინ, სალომბარდე სესხებსა და განვადებებს

მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პოტენცილი თითქმის სრულად ეროვნულ ვალუტაშია წარმოდგენილი, რაც „ლარიზაციის“ რეგულაციის დამსახურებაა. ამ რეგულაციის თანახმად, 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალა 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში. 2023 წლის მაისიდან კი მოცემული ლიმიტი 400,000 ლარამდეა გაზრდილი. იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ერთ მსესხებელზე შეუძლიათ მხოლოდ 100,000 ლარამდე სესხის გაცემა, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი მთლიან პორტფელში 0%-ს უახლოვდება.


დიაგრამა 6: საკრედიტო პორტფელის განწილება, მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: სამომხმარებლო სესხები მოიცავს სამომხმარებლო, ონლაინ, სალომბარდე სესხებსა და განვადებებს


აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების დაფინანსების ძირითადი წყარო ნასესხები სახსრებია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა ნასესხებმა სახსრებმა 2024 წლის I ნახევარში 1,325 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის 38.4% (509.3 მლნ ლარი) კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები იყო. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან ითხოვს, რომ სახსრები ნაკლებად ინფორმირებული ფიზიკური პირების ნაცვლად უფრო კვალიფიციური ინვესტორებისგან მოიზიდონ, ერთ-ერთი რეგულაცია, რომელიც ამ მიზანს ემსახურება 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში და კრძალავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ფინანსების მოზიდვას, თუ თითოეული ინდივიდისგან მოზიდული თანხა ნაკლებია 100,000 ლარზე. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნასესხებ სახსრებში იზრდება კომერციული ბანკებისგან და ალტერნატიული რესურსებისგან მოზიდული სახსრების წილი.



ასევე აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსოების მიერ ნასესხები სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, მისი წილი 2024 წლის პირველ ნახევარში 33%-ს შეადგენდა. ამავდროულად, მიკროსაფინანსოებს მხოლოდ ლარში გასესხების ვალდებულება აქვთ და მათი სასესხო პორტფელის 99% სწორედ ლარშია გაცემული (2024 წლის 1-ლი ნახევრის მონაცემი). შესაბამისად, ეს შეუსაბამობა ქმნის სავალუტო რისკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რის დასაზღვევადაც ხშირად ადგილობრივ ბანკებთან დადებული სავალუტო სვოპ ინსტრუმენტები გამოიყენება, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად აძვირებს მათ მომსახურებას.

მიკროსაფინანსო სექტორი საბანკო სექტორთან შედარებით მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა

დიაგრამა 8: მიკროსაფინანსოების მთლიანი ნასესხები სახსრები ვალუტის მიხედვით, მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: უცხოურ ვალუტაში ნასესხები სახსრების წილი გულისხმობს ლარის ექვივალენტის წილს ჯამურ ნასესხებ სახსრებში (ასევე ლარის ექვივალენტში)

პროდუქტებზე არსებული მაღალი მარჟების გამო, 2016 წელს ვალუტის გაცვლითმა კურსმა, საპროცენტო განაკვეთებისა და მარჟის კლებამ უარყოფითად იმოქმედა მომგებიანობის ინდიკატორებზე, რაც ნაწილობრივ დაკომპენსირდა 2016 წლის დეკემბერში ონლაინ საკრედიტო კომპანიების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად დარეგისტრირებით. 2017-19 წლებში მომგებიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეამცირა მარეგულირებელი ჩარჩოს გამკაცრებამ. 2021 წლიდან მომგებიანობის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის სამომხმარებლო საკრედიტო პორტფელის ზრდამ და პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებამ, რის შემდეგაც

მომგებიანობის მაჩვენებლები სტაბილურია. 2023 წელს სექტორის წმინდა მოგება 125.3 მლნ ლარი იყო, ხოლო ROAA და ROAE მომგებიანობის მაჩვენებლებმა შესაბამისად 6.4% და 18.6% შეადგინა.

დიაგრამა 9: მიკროსაფინანსოების მომგებიანობის მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: ROAA მაჩვენებელი დათვლილია წმინდა მოგების ფარდობით მიმდინარე და გასული წლის აქტივების საშუალო მონაცემთან; ROAE მაჩვენებელი დათვლილია წმინდა მოგების ფარდობით მიმდინარე და გასული წლის კაპიტალის საშუალო მონაცემთან

საბანკო სექტორის მიმოხილვა

საქართველოს ფინანსური სექტორი ძირითადად მოიცავს კომერციულ ბანკებს, არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომხმარებელს სთავაზობენ მხოლოდ შეზღუდულ საბანკო მომსახურებას: არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები დეპოზიტებს იღებენ და სესხებს გასცემენ მხოლოდ თავიანთ წევრებზე, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მიკროსესხების გაცემაზე არიან ფოკუსირებულნი. კომერციული ბანკები კი მომხმარებლებს საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობენ.

საქართველოს ფინანსური სექტორის რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), რომელიც ზედამხედველობს საბანკო სექტორსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს. სების ფუნქციებში შედის: კომერციული ბანკებისთვის ლიცენზიების გაცემა, სავალდებულო ფინანსური კოეფიციენტების დადგენა, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების განსაზღვრა და კანონმდებლობით გაწერილი ნორმების შესრულების კონტროლი. საქართველოს საკრედიტო დაწესებულებების ფუნქციონირება სების მიერ გაცემული ლიცენზიის ან რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია.

როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, სები ადგენს კომერციული ბანკებისთვის მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, განსაზღვრავს მონეტარულ პოლიტიკას, აკონტროლებს ინფლაციას, უზრუნველყოფს ფულის გამოშვებას და უზრუნველყოფს საგადახდო სისტემების ეფექტიან მუშაობას.

პროსპექტის შედგენის მდგომარეობით, საქართველოში 17 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომელთაგან 13 უცხოური კაპიტალის მონაწილეობით არის წარმოდგენილი. სების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2024 წლის 31 ოქტომბრისთვის საქართველოს საბანკო სექტორის საერთო აქტივები 93 მილიარდ ლარს შეადგენდა, საიდანაც ხუთ უმსხვილეს ბანკზე მოდიოდა სექტორის საერთო აქტივების 90.7%.

ბოლო წლებში საქართველოს საბანკო სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა, რის შედეგადაც საბანკო სექტორის აქტივები 2010 წლის 16 მილიარდი ლარიდან 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 93 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. თუმცა, 2008 წელს საქართველოს კომერციულ ბანკებს გარკვეული სირთულეები შეექმნათ, რამაც

უარყოფითი გავლენა მოახდინა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა წმინდა მოგება, აქტივების და კაპიტალის უკუგება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით, 2008 წელს საბანკო სექტორის მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული იყო წინა წლებში სესხების სწრაფი ზრდით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტით („2008 წლის კონფლიქტი“), გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენით და ლარის გაუფასურებით, რომელიც 2008 წლის ნოემბერში მოხდა. სექტორი 2009 წლის განმავლობაში სტაბილიზირდა და 2009 წლის ბოლოდან უწყვეტ ზრდას განაგრძობს. 2015 წელს ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებამ მცირე უარყოფითი გავლენა მოახდინა პრობლემური სესხების (NPLs) მაჩვენებელზე, თუმცა ეს ცვლილება არ იყო არსებითი სექტორის საერთო ზრდასთან შედარებით. COVID-19 პანდემიის დასაწყისში საქართველოს საბანკო სისტემას დაგროვილი ჰქონდა საკმარისი ლიკვიდობისა და კაპიტალის ბუფერები წინდახედული საზედამხედველო პოლიტიკის წყალობით. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს დაევალოთ წინასწარ შეექმნათ სესხის დანაკარგების რეზერვები, რაც COVID-19-ით გამოწვეული შოკების გავლენის შესამსუბუქებლად იყო საჭირო. შედეგად, საბანკო სისტემამ გამოავლინა მდგრადობა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რყევების მიმართ და ეკონომიკისთვის კრედიტების უწყვეტი მიწოდება უზრუნველყო. 2022 წლის შუა პერიოდისთვის, საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობამ აღადგინა გამოყენებული კაპიტალის ბუფერები.


საქართველოს ეროვნული ბანკის (NBG) მონაცემებით, საქართველოს კომერციული საბანკო სექტორის საერთო აქტივები 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენდა 93 მილიარდ ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 80.0 მილიარდ ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის — 70.3 მილიარდ ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის — 60.6 მილიარდ ლარს. ხოლო მთლიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენდა 79 მილიარდ ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 68 მილიარდ ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის - 61 მილიარდ ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის - 53 მილიარდ ლარს.

საქართველოს ბანკების აქციონერებთა კაპიტალის საერთო მოცულობა 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენდა 13.7 მილიარდ ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 12.2 მილიარდ ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის — 9.2 მილიარდ ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის — 7.7 მილიარდ ლარს.

საქართველოს საბანკო სექტორის სესხების მოცულობისა და მშპ-ის თანაფარდობა 2024 წლის პირველი ნახევრისთვის შეადგენდა 68.4%⁴-ს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრისთვის - 65.6%-ს.

სესხების მოცულობისა და მშპ-ს თანაფარდობის დინამიკა პერიოდების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე:

⁴ 2024 წლის ნახევარწლიური კოეფიციენტის კალკულაციის მიზნებისთვის ადებულია ბოლო 12 თვის მშპ.



საბანკო სექტორის მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები (ათას ლარში) 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ბანკის დასახელება	საპროცენტო შემოსავლები			2024 წლის 10 თვის წმინდა მოგება	მოგება აქტივებზე ROA, გაწლიურებული	მოგება კაპიტალზე ROE, გაწლიურებული
	მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	მთლიანი საპროცენტო ხარჯი	წმინდა საპროცენტო შემოსავალი			
კონსოლიდირებული	6,925,413	-3,337,331	3,588,083	2,589,593	3.67%	24.47%
საქართველოს ბანკი	2,667,826	-1,189,269	1,478,557	1,266,743	4.64%	33.17%
თი-ბი-სი ბანკი	2,501,755	-1,325,870	1,175,885	985,296	3.59%	25.12%
ლიბერთი ბანკი	502,333	-231,028	271,304	94,809	2.54%	21.03%
ბაზის ბანკი	290,522	-162,357	128,165	64,565	2.16%	14.06%
კრედიტ ბანკი	427,961	-179,610	248,351	51,450	2.33%	18.76%
პროგრეს ბანკი	108,314	-46,605	61,710	28,436	1.82%	10.90%
ტერა ბანკი	156,318	-93,462	62,856	26,573	1.79%	12.06%
ქართუ ბანკი	90,318	-28,345	61,973	42,938	2.83%	12.10%
ხალივ ბანკი	61,136	-27,895	33,240	16,236	2.17%	8.01%
პაშაბანკი	40,923	-18,356	22,567	7,399	1.56%	7.68%
ვი-თი-ბი ბანკი	14,056	-7,906	6,151	2,341	0.62%	0.87%
იმ ბანკი	31,863	-12,753	19,110	13,109	3.46%	11.17%
ზირათ ბანკი	15,723	-4,016	11,707	4,968	2.69%	7.51%
სილქ ბანკი	14,926	-9,851	5,075	-9,878	-6.14%	-20.40%
ჰემბანკი	550	0	550	-3,679	-32.89%	-33.58%
პეისერა	502	-8	494	-1,026	-6.61%	-14.76%
პეივბანკი	387	0	387	-689	-11.05%	-12.28%


საბანკო სექტორის ჯამური აქტივების მოცულობა 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ბანკის დასახელება	მთლიანი აქტივები, ' 000 ლარი
კონსოლიდირებული	92,559,006
საქართველოს ბანკი	36,672,589
თი-ბი-სი ბანკი	35,625,719
ლიბერთი ბანკი	4,949,299
ბაზის ბანკი	3,824,909
კრედიო ბანკი	2,874,301
პროკრედიტ ბანკი	1,991,134
ტერა ბანკი	1,902,013
ქართუ ბანკი	1,715,978
ხალიკ ბანკი	949,743
პაშაბანკი	647,922
ვი-თი-ბი ბანკი	455,391
იშ ბანკ	445,471
ზირაათ ბანკი	230,465
სილქ ბანკი	223,670
ჰეშბანკი	24,149
პეისერა	17,710
პეივბანკი	8,543

2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი 60.1 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19.8%-იანი ზრდაა. კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი სტაბილური 15.8% საშუალო ზრდის ტემპით (CAGR) ხასიათდებოდა 2015-24 წლებში, გარდა 2022 წელს არსებული შენელებისა, რაც დიდწილად ლარის გამყარებით აიხსნება. 2022 წლის პერიოდის ბოლოს, ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით წლიურად 12.8%-ით გამყარდა, ხოლო ევროსთან მიმართებით 17.7%-ით, რამაც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ნაშთი წლიურად 8.1%-ით შეამცირა. კურსის ეფექტის გამორიცხვით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ნაშთი წლიურად 7.9%-ით გაიზარდა 2022 წელს.

2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, პორტფელის 56.7% (34.1 მლრდ ლარი) ეროვნულ ვალუტაში იყო დენომინირებული, რაც დიდწილად „ლარიზაციის“ პროგრამის დამსახურებაა. 2017 წლიდან, სესხების დოლარიზაციით გამოწვეული მაკრო-ფინანსური რისკების შემცირების მიზნით, ლარიზაციის პროგრამის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ფინანსურ ინსტიტუტებს აუკრძალა 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა, ეს ზღვარი 2019 წლიდან 200,000 ლარამდე გაიზარდა, 2024 წლის იანვრიდან 300,000 ლარამდე, ხოლო 2024 წლის მაისიდან 400,000 ლარამდე. ლარიზაციის ღონისძიებების შედეგები 2017 წელსვე აისახა საბანკო სისტემის მაჩვენებლებზე. კერძოდ, ლარში გაცემული სესხების წილი 2016 წელს არსებული 34.6%-დან 42.9%-მდე გაიზარდა 2017 წლის მდგომარეობით და მას შემდეგ მზარდი ტენდენციით ხასიათდება. შედარებისთვის, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები 19.9%-იანი საშუალო ზრდის ტემპით იზრდებოდა 2017-24 წლებში მაშინ, როდესაც უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საშუალო ზრდის ტემპი 10.7% იყო ამავე პერიოდში.


დიაგრამა 1: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ნაშთი, მლრდ ლარი



წყარო: ეროვნული ბანკი
შენიშვნა: არ მოიცავს ბანკთაშორის სესხებს

2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების სასესხო პორტფელის 58.2% (35.0 მლრდ ლარი) ბიზნეს სესხებს უჭირავს, რაც მოიცავს შინამეურნეობებზე და იურიდიულ პირებზე გაცემულ ბიზნეს სესხებს. ბიზნეს სესხების პორტფელი, კომერციული ბანკების ჯამური სასესხო პორტფელის მსგავსად, სტაბილური 15.9% საშუალო ზრდის ტემპით (CAGR) იზრდებოდა 2015-24 წლებში. 2022 წელს ზრდის ტემპის შენელება ბიზნეს სესხების შემთხვევაშიც ზემოთხსენებული კურსის ფაქტორით აიხსნება. კურსის ეფექტის გამორიცხვით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ბიზნეს სესხების ნაშთი წლიურად 8.4%-ით გაიზარდა 2022 წელს.

დიაგრამა 2: კომერციული ბანკების მიერ გაცემული ბიზნეს სესხების ნაშთი, მლრდ ლარი




წყარო: ეროვნული ბანკი
შენიშვნა 1: არ მოიცავს ბანკთაშორის სესხებს

ბიზნეს სესხების 68.4% მცირე და საშუალო⁵ ზომის ბიზნეს სუბიექტებზეა გაცემული, რომელთა საშუალო სესხის მოცულობა 92 ათასი ლარია, შესაბამისად, „ლარიზაციის“ პროგრამის გავლენა ბიზნეს სესხებზეც მაღალი აღმოჩნდა 2017-24 წლებში. კერძოდ, ლარში დენომინირებული სესხების წილი 2016 წელს არსებული 26.7%-დან, 31.3%-მდე გაიზარდა 2017 წელს და 41.0%-მდე 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით. დამატებით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული ბიზნეს სესხები 20.7%-იანი საშუალო ზრდის ტემპით იზრდებოდა 2017-24 წლებში მაშინ, როდესაც უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საშუალო ზრდის ტემპი 13.6% იყო ამავე პერიოდში.


2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების წილი ჯამურ ბიზნეს სესხებში 81.3%-ია (28.4 მლრდ ლარი). იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებში ოთხ ძირითად სექტორს: ვაჭრობას, მშენებლობას, მრეწველობას და უძრავ ქონებას ჯამურად 72.3% უჭირავს.

დიაგრამა 3: კომერციული ბანკების მიერ გაცემული ბიზნეს სესხების ნაშთი სუბიექტის მიხედვით, მლრდ ლარი



წყარო: ეროვნული ბანკი

დიაგრამა 4: კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემული ბიზნეს სესხების ნაშთი სექტორის მიხედვით, ოქტ - 2024



წყარო: ეროვნული ბანკი

⁵ 2022 წლის აგვისტოდან, ეროვნულმა ბანკმა ბიზნეს სუბიექტების ზომის კლასიფიცირება შეცვალა საქსტატის კლასიფიკაციის მიხედვით. შედეგად, მცირე ბიზნესად განისაზღვრა ყველა ორგანიზაციულ სამართლებრივი საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარს, საშუალო ბიზნესად კლასიფიცირდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

2022 წლის აგვისტომდე, ეროვნული ბანკის ბაზაში ბიზნეს სუბიექტების ზომის განსაზღვრა ხდებოდა კომერციული ბანკების მიერ მინიჭებული სუბიექტური სტატუსებით.

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (MBC) დაარსდა 2013 წელს. განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო უძრავი ქონებისა და ავტომობილით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა. 2016 წლიდან MBC-ში დაიწყო ახალი მიმართულებების ჩამოყალიბება და სტრატეგიული გეგმების ცვლილება. 2016 წელს გაიხსნა პირველი სერვის ცენტრი თბილისს გარეთ - რუსთავეში და აქტიურად დაიწყო ბიზნეს სექტორის დასაკრედიტებლად პროდუქტების შექმნა და კადრების გადამზადება. ახალი მიმართულებების განსავითარებლად კომპანიამ აქტიურად დაიწყო რეგიონალური ქსელის გაფართოვება. დღეს იგი უკვე წარმოდგენილია 17 სერვის ცენტრით საქართველოს მასშტაბით 8 სხვადასხვა რეგიონში. რეგიონალური ქსელის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა ადგილობრივ ბაზრებზე მორგებული ახალი საკრედიტო მიმართულებები; 2018 წლის ბოლოდან დაიწყო აგრო პორტფელის განვითარება. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სამეწარმეო მიზნობრივობით გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში უკვე 54.5%-ს შეადგენს. 2024 წლის დეკემბერში კომპანიამ მოაპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია და სამომავლოდ იგი ოპერირებას მიკრობანკის სტატუსით გააგრძელებს. კომპანიისთვის განსაკუთრებით საინტერესოა არაუზრუნველყოფილი და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები.

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

ემბისი უკვე 2 წელია აქტიურად ახორციელებს ცვლილებებსა და განვითარებას ბანკის სტრუქტურასთან, საკადრო პოლიტიკასთან, პროცესებსა და პროდუქტებთან დაახლოების მიზნით. მიკრობანკის საკანონმდებლო ჩარჩო და მოთხოვნები წინასწარ იყო ცნობილი, შესაბამისად კომპანიამ 2022 წლიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და 2023 წლიდან ოპერირების გეგმა სრულად მოარგო კანონპროექტში გაწერილ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, განსახორციელებელ ცვლილებებსა და ქმედებებს.

მიკრობანკად გარდაქმნა ახალ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის. შესაბამისად, კომპანიამ დაიწყო მუშაობა ბრენდის ცვლილებაზე, კომპანიის სტრატეგიის განახლებაზე, მომხმარებელთა გაფართოებული სეგმენტისთვის სრულად ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებაზე, გაყიდვების ახალი არხებისა და მეთოდების ჩამოყალიბებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ეტაპებზე, ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებაზე. ტრანსფორმაციის პროცესში კომპანიას უპირატესობას ანიჭებს ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი, სიახლეების დროული და ხარისხიანი დანერგვა, დიჯიტალიზაციაში გააზრებული და თანმიმდევრული ინვესტიციების განხორციელება, მომსახურების მათალი დონე და მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვა, ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება. დირექტორატის და მაღალი რგოლის მენეჯმენტის მრავალწლიანი საბანკო გამოცდილება მნიშვნელოვან საყრდენ ძალას წარმოადგენს ტრანსფორმაციის პროცესში.

მიკრობანკად ტრანსფორმაციამ გააფართოვა მომხმარებლების მომსახურების შესაძლებლობა და გაზარდა მათთვის ისეთ მრავალფეროვან სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორცაა მიმდინარე ანგარიშები, შიდა და საერთაშორისო გადარიცხვები, ბარათები, დეპოზიტები, 1 000 000 ლარამდე გაზრდილი დაკრედიტების ზღვარი და ა.შ.

პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრი დადებითად იმოქმედებს ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე და ასევე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს არსებული მომხმარებლების შენარჩუნებაზე.

დაგეგმილი საკრედიტო პორტფელისა და არასაპროცენტო შემოსავლების მაჩვენებლების ზრდის შესასრულებლად ემბისი ეტაპობრივად გეგმავს ციფრულ ტრანსფორმაციას და დისტანციური მომსახურების განვითარებას.

კომპანიის სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია სტაბილურ ზრდაზე და არსებული შედეგების გაუმჯობესებაზე.

2017 წლიდან დაწყებული სერვის-ცენტრების აბსოლუტური უმრავლესობა გაიხსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას აქვს 17 სერვის-ცენტრი საქართველოს 8 სხვადასხვა რეგიონში. კომპანიის მიზანია საქართველოს რაც შეიძლება მეტი რეგიონის დაფარვა და ისეთი კლიენტების მომსახურება, რომლებსაც ნაკლები წვდომა აქვთ საბანკო რესურსებზე (ბიზნეს პროფილიდან თუ სხვა მოცემულობებიდან გამომდინარე) და სურთ ფინანსური მხარდაჭერა თავიანთი მცირე და საშუალო მეურნეობების გასავითარებლად. ამასთან სტრატეგიული მიმართულებაა ციფრული ტრანსფორმაცია და დისტანციური პროდუქტების განვითარება.

საბანკო ლიცენზიის მიღებისთანავე გაიზარდა ერთ მსესხებელზე მაქსიმალური დაკრედიტების ზღვარი, რაც კომპანიას სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდის, ახალი მომხმარებლების მოზიდვის, არსებული მომხმარებლების უფრო დიდხანს შენარჩუნების და დივერსიფიკაციის საშუალებას მისცემს. სხვადასხვა რეგიონში გაფართოება ხელს უწყობს პროდუქტებისა და სექტორების დივერსიფიკაციას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია რისკების შემცირებისათვის.

ზრდის მაჩვენებლების შესასრულებლად, კომპანია გეგმავს სამიზნე ჯგუფებისთვის ინოვაციური და კიდევ უფრო გაუმჯობესებული მომსახურების გზების შეთავაზებას. საუბარია ცვლილებებზე როგორც სერვის ცენტრებში, ასევე დისტანციური მომსახურების კუთხით. იგეგმება შიდა პროცესების ოპტიმიზაცია და ეფექტურობის გაზრდა, არსებული პროდუქტების მოდიფიცირება და ახალი პროდუქტების დამატება, მომსახურების ხარისხზე სისტემატიურ მონიტორინგი, ტექნოლოგიურ და სტრატეგიული ცვლილებები. საპროგნოზო პერიოდში დაგეგმილია ისეთი პროდუქტების და მომსახურების დანერგვა, როგორცაა: CRM, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი, სმს ბანკი და სხვა.

საკრედიტო მიმართულებასთან ერთად კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა და გამოწვევაა არასაკრედიტო პროდუქტების განვითარება, რაც მოიცავს ხელმისაწვდომობის გაზრდას ისეთ სერვისებზე როგორებიცაა - მიმდინარე ანგარიშები, ბარათები, გადარიცხვები და სხვა.

საგულისხმოა, რომ ემზისი ასევე ფოკუსირდება არაფინანსურ მომსახურებაზე და მომხმარებლებს მხარს უჭერს კონსულტაციების გაწევით, ცოდნის, დაგროვილი ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარებით. კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიის ფარგლებში, კომპანია მომხმარებლებს და ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს, სთავაზობს:

- ტრენინგებს, ვორქშოპებს - ფინანსური განათლება, ბიზნეს ტრენინგები;
- საკონსულტაციო შეხვედრებს - ფინანსური განათლება, ბიზნეს გადაწყვეტილებები.

მომხმარებლებთან საქმიანობის მხარდაჭერას და ხელშეწყობას - მომხმარებლების საქმიანობის პოპულარიზაცია და კომპანიის საკომუნიკაციო არხებით ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის.

მიკრობანკად პირველი საოპერაციო წლის განმავლობაში, კომპანია გეგმავს შემდეგი საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების წვერობას, დანერგვას და განვითარებას:

- დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა;
- SWIFT;
- საბარათე სისტემა (გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია UFC);
- საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემები;
- ბლუმბერგის ელექტრონული სავაჭრო სისტემის დამატებითი ფუნქციონალები;
- გაერთიანებული კლირინგ ცენტრი UCC.

ინვესტიციები

კომპანია ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონ ლარამდე ოდენობის ინვესტიციას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. მიმდინარე წელს ამ ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა აიტი ინფრასტრუქტურის განახლებასა და ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მიმართულებით. მომავალ წელს კი იგეგმება იმავე ოდენობის ინვესტიციები ინფრასტრუქტურის, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების, საოპერაციო პროცესების გაციფრულების, მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებებით.

კომპანიას მსგავსი ინვესტიციების განხორციელებისას აქვს ტექნიკური მხარდაჭერა საერთაშორისო ინვესტორებისგან, რაც მოსალოდნელია, რომ სამომავლოდაც ასე გაგრძელდება. აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში კომპანიის თანადაფინანსების წილი საშუალოდ 30%-მდეა. პროექტების ნაწილის დაფინანსება მოხდა არსებული ფულადი სახსრებით. მომავალში ემიტენტმა შესაძლოა საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს მიზნობრივი სესხითაც.

ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა

2024 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო სექტორი შედგება 34 კომპანიის, 424 სერვის ცენტრის და 4,674 თანამშრომლისგან. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომხმარებლებს სთავაზობენ სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, ავტოსესხებს, ბიზნეს სესხებსა და სალომბარდე სესხებს; ზოგი კომპანია სპეციალიზებულია მხოლოდ ერთ-ერთი ტიპის სესხის გაცემაში.

MBC მიკროსაფინანსო სექტორში სიდიდით მე-5 კომპანიაა როგორც მთლიანი აქტივების, ისე წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით, 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით. ტოპ 10 კომპანია წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის დეკემბერში კომპანიამ მოიპოვა მიკრობანკის სტატუსი, ხოლო კიდევ ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ და „ლაზიკა კაპიტალი“ სამომავლოდ გეგმავს მიკრობანკის სტატუსის მიღებას. აქედან „კრისტალი“, 2023 წლიდან აქტიურად არის ჩართული ლიცენზიის მიღების პროცესში და შეტანილი აქვს განაცხადი ეროვნულ ბანკთან. სავარაუდოდ 2025 წლის დასაწყისიდან ის მიკრობანკის სტატუსით გააგრძელებს ოპერირებას.

ცხრილი 1: წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 10 კომპანია, 2024 წლის მე-2 კვარტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	ფილიალების რაოდენობა	თანამშრომლების რაოდენობა	მთლიანი აქტივები, მილიონი ლარი	წმინდა საკრედიტო პორტფელი, მილიონი ლარი
რიკო ექსპრესი	58	749	641.6	521
კრისტალი	48	992	533.3	455.7
სვის კაპიტალი	33	448	227.7	190.8
ლიდერ კრედიტი	47	375	186.2	154.1
მიკრო ბიზნეს კაპიტალი	18	249	128.3	105.7
სმარტ ფინანსი	12	107	73.8	68.0
ლაზიკა კაპიტალი	20	378	66.9	57.6
ინტელექსპრესი	22	214	63.7	23.3
კრედიტსერვისი+	49	331	50.1	42.8
ევრო კრედიტი	16	115	40.6	37.9

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, კვარტლური ანგარიშგებები (მომზადებული ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისად)

შენიშვნა: სმარტ ფინანსის აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის მონაცემები წარმოდგენილია 2024 წლის 1-ლი კვარტლის მდგომარეობით

ცხრილი 2: ემზისისა და მისი ძირითადი კონკურენტების⁶ ფინანსური მაჩვენებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ემზისი	კრისტალი	ლაზიკა კაპიტალი	კრედო ბანკი
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	10.0%	18.2%	7.5%	13.38%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	1.8%	2.8%	1.5%	1.7%
უზრუნველყოფილი სესხების წილი მთლიან პორტფელში	97.9%	24.9%	82.1%	45.8%
უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან	4.4%	0.9%	1.4%	1.0%
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	77.7%	78.2%	75.9%	44.70%

⁶ შესადარისობისთვის კომპანიის მაჩვენებლები შედარებულია იმ კონკურენტებს, რომელთა საქმიანობაც არ მოიცავს სალომბარდე საქმიანობას.

ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2024 წლის არააუდიტირებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ მონაცემებსა და სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 და 2022 წლებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში მოცემულ სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 და 2022 წლებისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით.

„ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: reportal.ge.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს “ზიდიო აუდიტი”. აუდიტის დასკვნის ტიპი 2023 და 2022 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის წარმოადგენს უპირობოს.

ფინანსური მდგომარეობა

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების გადანაწილება წარმოდგენილია ქვემოთ:

	30 ივნისი 2024	30 ივნისი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,567	6,007	6,286	6,778
კლიენტებზე გაცემული სესხები	107,289	95,183	101,144	90,241
სხვა აქტივები	1,939	3,642	2,019	4,109
საგადასახადო აქტივი	-	-	-	267
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	137	-	137
არამატერიალური აქტივები	346	369	370	407
აქტივების გამოყენების უფლება	4,913	5,334	4,733	5,511
ძირითადი საშუალებები	2,492	2,556	2,532	2,785

სულ აქტივები	132,546	113,228	117,084	110,235
ვალდებულებები				
სუბორდინირებული სესხები და სხვა მიღებული სესხები	103,092	87,984	90,046	84,214
საიჯარო ვალდებულებები	4,753	4,669	4,750	5,348
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	51	-	51	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	470	-	505	-
სხვა ვალდებულებები	1,773	703	1,155	719
მთლიანი ვალდებულებები	110,139	93,356	96,507	90,281
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	2,255	2,255	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	1,136	1,136	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	6,989	6,989	6,990	7,464
გაუნაწილებელი მოგება	12,028	9,492	10,197	9,099
მთლიანი კაპიტალი	22,408	19,872	20,577	19,954
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	132,546	113,228	117,084	110,235

*კომპანიის კვარტალური ანგარიშგებების ნახვა შესაძლებელია ბმულზე: mbc.com.ge

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიანი აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იყო უარყოფითი 6,462 ათასი ლარი (31/12/2023: -15,499 ლარი). 2024 წლის მეორე ნახევარში, კომპანიას დაგეგმილი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან 25 მილიონი ლარის ექვივალენტი, გრძელვადიანი სესხების მიღება, რომელიც ნომინირებული იქნება აშშ დოლარში. სექტემბრის თვის მდგომარეობით, აღნიშნული გეგმიდან, უკვე მიღებულია 9.5 მილიონი ლარის ექვივალენტი სესხები. ამავდროულად, კომპანია 2024 წლის ბოლომდე გამოუშვებს 30 მილიონი ლარის გრძელვადიან ობლიგაციებს, საიდანაც 15 მილიონით მოხდება არსებული ვადადამდგარი ობლიგაციების დაფარვა, ხოლო დარჩენილი 15 მილიონით საბანკო სესხების რეფინანსირება და მცირე მოცულობით დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა. აღნიშნული ცვლილებების შემდგომ კომპანიის საბრუნავი კაპიტალი იქნება საკმარისი მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

წმინდა სასესხო პორტფელი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მთლიანი აქტივების 81%, 107,289 ათას ლარს შეადგენდა. (31/12/2023: 86% და 101,144 ათასი ლარი). კომპანია 100,000 ლარამდე სესხებს გასცემს 120 თვემდე ვადიანობით.

გაცემული სესხები (გროს ძირი და პროცენტი) შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

გაცემული სესხები ('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ძირი	109,163	97,289	103,900	91,848
პროცენტი	1,914	1,755	1,719	1,562
გაცემული სესხები (გროსი)	111,077	99,044	105,619	93,410
გაუფასურების ანარიცხი	(3,788)	(3,862)	(4,475)	(3,169)
გაცემული სესხები (ნეტო)	107,289	95,182	101,144	90,241

გაცემული სესხების პორტფელი: (ძირს პლუს პროცენტი გაუფასურების რეზერვის გარეშე) 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 5.2%-ით გაიზარდა და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 111,077 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან, 15.4%-ით შემცირებულია გაუფასურების რეზერვი.

კომპანიას არ აქვს კლიენტზე კონცენტრაციის რისკი: ტოპ 10 კლიენტზე გაცემული სესხები ჯამურად მთლიანი პორტფელის 1.1%-ზე ნაკლებია.

გაცემული სესხების პორტფელის განაწილება LTV კოეფიციენტების დიაპაზონების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	არააუდიტირებული
0-20%	13,496	9,723	11,716	8,558
21-40%	27,848	32,202	31,614	30,236
41-60%	44,149	43,155	44,136	41,571
61-80%	22,145	13,663	17,331	12,713
81%+	3,439	301	882	332
ჯამური პორტფელი	111,077	99,044	105,619	93,410

გაცემული სესხების პორტფელის განაწილება სექტორების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სამომხმარებლო სესხები	40,954	26,946	32,730	28,255
მომსახურება	34,363	37,374	35,626	33,962
ვაჭრობა	12,638	13,047	13,824	11,747
სასოფლო-სამეურნეო	11,532	12,518	11,563	10,901
იპოთეკური	9,641	7,433	9,098	5,827
წარმოება/შენიშვნა	1,949	1,725	2,778	2,718
სულ გაცემული სესხები (გროსი)	111,077	99,044	105,619	93,410
გაუფასურების რეზერვი	(3,788)	(3,862)	(4,475)	(3,169)
სულ გაცემული სესხები (ნეტო)	107,289	95,182	101,144	90,241

ემიტენტმა მიიღო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, რისთვისაც მას უნდა დაეკმაყოფილებინა გარკვეული მოთხოვნები, მათ შორის მთლიან პორტფელში სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების წილის მინიმუმ 50%-ზე შენარჩუნება. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ემიტენტი აკმაყოფილებს მოცემულ მოთხოვნას და მთლიან პორტფელში სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების წილი 54,5%-ია.

სამეწარმეო მიზნით გაცემულ სესხებში ერთიანდება შემდეგი კატეგორიები:

- მომსახურება;
- ვაჭრობა;
- წარმოება/მშენებლობა;
- სასოფლო-სამეურნეო.

ცხრილი ზემოხსენებული შემოკლებული დაყოფით იხილეთ ქვემოთ:

გაცემული სესხები ('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები ⁷	60,482	64,665	63,791	59,328
სამომხმარებლო სესხები	40,954	26,946	32,730	28,255
იპოთეკური სესხები	9,641	7,433	9,098	5,827
სულ გაცემული სესხები (გროსი)	111,077	99,044	105,619	93,410
გაუფასურების რეზერვი	-3,788	-3,862	-4,475	-3,169
გაცემული სესხები (ნეტო)	107,289	95,182	101,144	90,241

ორგანიზაციის სასესხო პორტფელის ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებითა და სატრანსპორტო საშუალებებით (მცირე ნაწილი უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით). 2023 წელს უძრავი ქონებითა და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი სესხი-ღირებულების კოეფიციენტი არის შესაბამისად 39% (2022: 38%) და 52% (2022: 51%). იგივე მაჩვენებელი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 41%-ს (2023 ივნ: 38%) და 54%-ს (2023 ივნ: 51%). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია გირაოს, სესხის პორტფელის უზრუნველყოფის შესახებ:

30 ივნისი 2024	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	მესამე პირის გარანტია	სულ
მომსახურება	29,159	4,328	-	829	47	34,363
სამომხმარებლო სესხები	2,790	35,924	8	2,086	146	40,954
ვაჭრობა	10,062	2,030	-	494	52	12,638
სასოფლო-სამეურნეო	8,628	1,760	-	1,120	24	11,532
წარმოება/მშენებლობა	1,469	335	-	145	-	1,948
იპოთეკური	9,230	279	-	104	28	9,641

⁷ სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები მოიცავს შემდეგი კატეგორიის სესხებს: მომსახურება, ვაჭრობა, წარმოება/მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო.

	61,337	44,655	8	4,778	297	111,077
--	--------	--------	---	-------	-----	---------

31 დეკემბერი 2023	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	17,118	5,475	-	375	22,968
სამომხმარებლო სესხები	20,496	27,405	11.0	892	48,804
ვაჭრობა	6,516	2,621	-	301	9,438
სასოფლო-სამეურნეო	7,154	1,796	-	435	9,385
წარმოება/მშენებლობა	2,178	399	-	118	2,695
იპოთეკური	7,558	247	-	49	7,854
	61,020	37,943	11	2,170	101,144

31 დეკემბერი 2022	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	24,025	8,593	7	56	32,681
სამომხმარებლო სესხები	9,619	17,704	22	-	27,345
ვაჭრობა	8,729	2,509	-	61	11,299
სასოფლო-სამეურნეო	8,374	2,017	-	102	10,493
წარმოება/მშენებლობა	2,328	290	-	16	2,634
იპოთეკური	5,598	181	-	-	5,779
	58,673	31,294	29	235	90,231

კომპანია გაცემულ სესხებს მიზნობრიობის მიხედვით სამ ძირითად კატეგორიად ჰყოფს. ესენია:


- სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები⁸ სამომხმარებლო სესხები
- იპოთეკური სესხები

კომპანიის გროს გაცემული სესხების ყველაზე დიდი წილი (54.5%) სამეწარმეო მიზნით გაცემულ სესხებზე მოდის და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 60,482 ათას ლარს შეადგენს. სესხები უზრუნველყოფის მიხედვით იყოფა ოთხ კატეგორიად - უძრავი ქონებით, სატრანსპორტო საშუალებებით, სხვა აქტივით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი.

კომპანიის სესხების პორტფელში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი LTV კოეფიციენტი 41%-ს უტოლდება, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი - 54%. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების პორტფელი უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების პორტფელის უზრუნველყოფის ტიპები, ათასი ლარი:

⁸ სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები მოიცავს შემდეგი კატეგორიის სესხებს: მომსახურება, ვაჭრობა. წარმოება/მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო.




2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების პორტფელში ჭარბობს უძრავი ქონებითა და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები - მათი წილი მთლიან პორტფელში 82% და 14%-ია, შესაბამისად. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არაუზრუნველყოფილი სესხების წილი სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების პორტფელში 4.3%-ია, ხოლო ჯამურად პორტფელში 4.8% წილი უკავია.

სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხები კომპანიისთვის პრიორიტეტულ პროდუქტს წარმოადგენს. 2022 წლის 31 დეკემბრის პორტფელთან შედარებით, 2023 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელი 6.3%-ით არის გაზრდილი. ამავე პერიოდში სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში 63.7%-იდან 59.9%-მდე შემცირდა.

სამომხმარებლო სესხების პორტფელის წილი მთლიან პორტფელში 2024 წლის 30 ივნისს 36.9% იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო სესხების გროს პორტფელი 2017-2022 წლებში 13,402 ათასი ლარიდან 40,954 ათას ლარამდე გაიზარდა, მისი წილი მთლიან პორტფელში 39%-იდან 37%-მდე შემცირდა. ამის მიზეზი ის არის, რომ კომპანიამ 2016 წლიდან ბიზნეს სესხების პორტფელის ზრდა და აგრო სესხების პორტფელის განვითარება დაიწყო. სამომხმარებლო მიზნით გაცემული სესხების პორტფელი, უზრუნველყოფის მიხედვით, იყოფა შემდეგნაირად: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი, სხვა აქტივით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სამომხმარებლო

მიზნით გაცემული სესხების პორტფელი უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:



მთლიანი სასესხო პორტფელის ყველაზე მცირე ნაწილი (8.7%) **იპოთეკურ სესხებს** უჭირავს. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იპოთეკური სესხები 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 13%-ითაა გაზრდილი.

კომპანიის სესხების 100% ლარშია გაცემული.

კომპანიის სესხების პორტფელში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი LTV კოეფიციენტი 41%-ს უტოლდება, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხების შესაბამისი კოეფიციენტი 54%. **საიჯარო ვალდებულებები** მოიცავს ფართებს, რომლებიც კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ფართებზე საიჯარო გადასახდელები არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში.

გაუფასურების რეზერვის ბალანსის ცვლილება 2024, 2023-სა და 2022 წლებზე ფასს 9-ის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გაუფასურების ანარიცხის წმინდა გაანგარიშება	-272	-305	-296	-482
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	649	1469	1882	1411
ადიარებული საკრედიტო ზარალი	377	1,164	1,586	929

ჩამოწერა	240	448	165	65
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-57	-171	-205	-141
მთლიანი აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	560	1441	1546	853

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 81.2%-ითაა გაზრდილი, რაც ძირითადად გამოწვეულია სესხების ჩამოწერის პოლიტიკის ცვლილებით ფასს9-ს მიზნებისთვის.

გაუფასურების რეზერვის დეტალური ჩაშლა (ფასს 9-ის მიხედვით) სესხების ტიპების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	არააუდიტირებული
მომსახურება	1,109	1,385	1,709	1,271
სამომხმარებლო სესხები	1,262	1,181	1,328	910
ვაჭრობა	605	574	647	448
სასოფლო-სამეურნეო	418	488	625	408
წარმოება/მშენებლობა	270	150	83	84
იპოთეკური	124	86	83	48
სულ	3,787	3,862	4,475	3,169

აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი, ამ ტიპის სესხების პორტფელის 2.7%-ია, მაშინ, როცა სამომხმარებლო სესხებზე (ავტო და სხვა სესხები) იგივე მაჩვენებელი 51%-ია, აგრო სესხების იგივე მაჩვენებელი 2.9%-ია, ხოლო იპოთეკური სესხების - 0.5%. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგივე მაჩვენებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3.3%, 6.3%, 4.4% და 1.6% იყო, შესაბამისად, რაც დათვლილი იყო ფასს 9-ის შესაბამისად.

მთავარი ფაქტორი, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს სესხების გაუფასურების შეფასებისას არის ფასს 9-ის მიხედვით სამეტაპიანი მიდგომა გაუფასურების შესახებ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც მოქმედებს წარმოშობის ან შექმნის თარიღში. კომპანია აღიარებს მოსალოდნელ გაუფასურების ზარალს 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა გამოიყენება, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას. მეორე ეტაპზე, ორგანიზაცია აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც მიჩნეულია, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

კომპანიის პორტფელის PAR-რეპორტი წარმოდგენილია ქვემოთ:

	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
PAR 0 - 30	1.24%	1.26%	1.18%	1.46%

PAR 31 - 90	1.10%	0.97%	1.06%	1.17%
PAR 91 - 180	0.75%	0.88%	0.92%	0.48%
PAR >181	2.24%	3.27%	4.33%	2.87%

როგორც პორტფელის PAR რეპორტიდან ჩანს, კომპანიის სესხების 94.7% ვადაგადაცილების გარეშეა. მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილია PAR 30 და PAR 90, 2024 წლის 6 თვის მდგომარეობით მთლიანი ვადაგადაცილებული პორტფელის კოეფიციენტი შემცირებულია 0.03%-ით და არის 3.08% (31/12/2023: 3.11%). ამის მიზეზია PAR 0-30-ისა და PAR >91-180-ის შემცირება 2024 წელს, რაც ნაწილობრივ დაბალანსდა PAR 31-90-ის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ჯამური ვადაგადაცილების მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია ინდუსტრიის საშუალოზე (7.8%).

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას 2,492 ათასი ლარის (31/12/2023: 2,532 ათასი ლარის) ძირითადი საშუალებები ჰქონდა. ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას, შენობა-ნაგებობებს, ავეჯს, მოწყობილობებს და იჯარით აღებული აქტივების კეთილმოწყობის ხარჯების კაპიტალიზირებულ ოდენობას.

არამატერიალური აქტივები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 346 ათასი ლარი იყო და ძირითადად შედგებოდა საბუღალტრო და სხვა პროგრამებისგან. კომპანია იყენებს საბუღალტრო და სესხების მართვისთვის პროგრამა ალტა სოფტვეარს.

სხვა აქტივები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 2,019 ათას ლარს და ძირითადად მოიცავს მოთხოვნას დაკავშირებულ მხარესთან და დასაკუთრებულ აქტივებს. დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ორგანიზაციამ ვადაგადაცილებული სესხების ამოღებისას დაისაკუთრა. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სხვა აქტივები წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 46.7%-ითაა შემცირებული, რაც ძირითადად გამოწვეულია დაკავშირებულ მხარესთან არსებული მოთხოვნის კლებით.

სხვა აქტივების ჩაშლა შესაბამისი პერიოდების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

	30 ივნისი 2024	30 ივნისი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	1,146	3,014	1,009	-
საკრედიტო ხაზის გარანტია	10	162	278	314
დასაკუთრებული აქტივები	312	234	386	540
გადახდილი ავანსები	139	140	192	83
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	-	-	18	3,038
სხვა	332	92	136	134
სხვა აქტივები, სულ	1,939	3,642	2,019	4,109

საოპერაციო შედეგები

მოგება-ზარალის უწყისი ('000 ლარი)	HY 2024	HY 2023	2023	2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
საპროცენტო შემოსავალი	13,605	12,495	25,026	22,684
საპროცენტო ხარჯი	(5,229)	(4,720)	(10,015)	(8,273)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	8,376	7,775	15,011	14,411
საკომისიო შემოსავალი	1,838	1,046	3,743	2,268
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	1,063	1,467	56	4,821
წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	(1,417)	(2,755)	(2,445)	(8,658)
საოპერაციო შემოსავალი	9,860	7,532	16,365	12,842
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	(560)	(1,441)	(1,546)	(853)
პერსონალის ხარჯები	(4,306)	(3,519)	(7,201)	(6,947)
ცვეთა და ამორტიზაცია	(822)	(888)	(1,957)	(1,726)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,416)	(1,072)	(2,814)	(2,308)
მოგება დაბეგრამდე	2,756	613	2,847	1,008
მოგების გადასახადის ხარჯი	(490)	-	(814)	(351)
მთლიანი სრული შემოსავალი	2,266	613	2,033	657

2024 წლის 30 ივნისის მონაცემებით კომპანიამ **საპროცენტო შემოსავლის** სახით 13,605 ათასი ლარი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.9%-ითაა გაზრდილი. საპროცენტო შემოსავლის ზრდა გამოწვეულია გროს პორტფელის ზრდით. (პორტფელი 12.7%-ით გაიზარდა 2023 წლის 30 ივნისთან შედარებით.) კომპანიის საპროცენტო შემოსავლისა და საშუალო ნეტ პორტფელის ფარდობა 2024 წლის ნახევარწლიური მდგომარეობით სტაბილურად ნარჩუნდება 25.1%-ზე. კომპანიის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთები შესაბამისი პერიოდებისა და სესხების ტიპების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხების ტიპები	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
იპოთეკური სესხები	25.56%	25.83%	25.56%	24.96%
ვაჭრობა	27.84%	29.01%	29.21%	29.28%
აგრო სესხები	29.27%	30.09%	29.08%	29.19%
სამომხმარებლო სესხები	39.37%	38.46%	39.46%	36.22%
წარმოება/მშენებლობა	29.04%	28.54%	28.38%	27.94%
მომსახურება	27.83%	29.43%	28.63%	30.27%

ზიზნეს სესხები მოიცავს ვაჭრობას, წარმოება/მშენებლობას და მომსახურებას

როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, წლიდან წლამდე კომპანიის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებში მკვეთრი ცვლილებები არ შეინიშნება. ეს ძირითადად გამოწვეულია კომპანიის სტრატეგიიდან - მიაწოდოს მომხმარებლებს ხელმისაწვდომი უზრუნველყოფილი სესხი, კონკურენტებთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით. MBC ორიენტირებულია სამეწარმეო და აგრო სესხების გაცემაზე და როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის ნახევარწლიური მდგომარეობით მცირედით შემცირებულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ამ ტიპის სესხებზე.

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განუყოფელი ნაწილია და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად ეხება ტრანზაქციისა და მომსახურების საკომისიოებს, რომლებიც იხარჯება მომსახურების მიღებისას. წმინდა საკომისიო შემოსავალი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იყო 1,838 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 1,046 ათასი ლარი. შემოსავლის ზრდა განპირობებულია კომპანიის პორტფელის ზრდით.

საპროცენტო ხარჯი 2024 წლის 6 თვის მონაცემებით 5,229 ათასი ლარი იყო და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10.8%-ით გაიზარდა. ზრდა ძირითადად განპირობებულია საპროცენტო ხარჯის ზრდით საერთაშორისო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე, რაც გამოწვეულია ამ ტიპის სესხების მოცულობის ზრდით. საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31- დეკემბერი- 2023	31- დეკემბერი- 2022
საპროცენტო შემოსავალი				
გაცემული სესხები	13,353	12,167	24,402	22,420
მოგება/ზარალი ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან	220	275	503	180
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	32	53	121	84
საპროცენტო შემოსავალი	13,605	12,495	25,026	22,684
საპროცენტო ხარჯი				
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	2,820	2,965	5,985	4,881
სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	1,606	1,076	2,233	1,498
სესხებ ფ/პ-სგან	445	387	808	705
ლიზინგი	198	214	385	470
სხვა ნასესხები სახსრები	160	78	604	603
საპროცენტო ხარჯი	5,229	4,720	10,015	8,273
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	8,376	7,775	15,011	14,411

მიღებულ სესხებზე კომპანიის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

სესხის ტიპი	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
ლარში დენომინირებული სესხები	13.20%	14.45%	14.16%	14.61%
აშშ დოლარში დენომინირებული სესხები	6.54%	6.04%	6.02%	5.58%
სუბორდინირებული სესხები (აშშ დოლარი)	8.50%	8.47%	8.50%	8.57%

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2024 წლის 30 ივნისის მონაცემებით 7.7%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო **წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა** 62.2%-იდან 61.6%-მდე მცირედით შემცირდა. ეს განპირობებულია საპროცენტო ხარჯის საპროცენტო შემოსავალთან შედარებით უფრო მკვეთრი ზრდით, რაც იმან გამოიწვია, რომ კომპანიამ პორტფელის ზრდა ძირითადად ახალი სასესხო ვალდებულებების აღებით დააფინანსა, შესაბამისად, გაზრდილია მოზიდული სესხების წილი კომპანიის სასესხო პორტფელთან მიმართებით. 2023 წელს წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა იყო 60.0%, რაც 2022-თან შედარებით 3.5%-ით ნაკლებია (31/12/2020: 63.5%), რაც განპირობა საპროცენტო შემოსავლის 10.3%-იანმა ზრდამ და საპროცენტო ხარჯის 21.1%-იანმა ზრდამ.

ფასს 9-ის მიხედვით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა **გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე** 560 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიას 1,441 ათასი ლარის ზარალი ჰქონდა. გაუმჯობესება გამოწვეულია ვადაგადაცილებული სესხების პარამეტრების გაუმჯობესებით, რაც კომპანიის, *ფინანსური მდგომარეობის* ქვეთავში მოცემული, PAR რეპორტიდანაც ჩანს.

2023 წლის ბოლოს აღნიშნულმა ხარჯმა 1,546 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წლის ბოლოს 853 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ გაუფასურების ხარჯი ისტორიულად განსაკუთრებით დაბალი იყო 2022 და 2021 წლებში, 2023 წელს კი შედარებით ზრდა დაფიქსირდა. 2023 წლის ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ სესხების ნაწილის გაუფასურება დაიწყო 2022-ში, თუმცა აღიარდა 2023-ში.

პერსონალის ხარჯები 2024 წლის 6 თვეში 4,306 ათასი ლარი იყო რაც წმინდა საპროცენტო შემოსავლის 51.4%-ს წარმოადგენდა. პერსონალის ხარჯი 22.4%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო როგორც კომპანიის შედეგების გაუმჯობესების და შედეგებზე დაფუძნებული საბონუსე ანაზღაურებებით, ასევე ხელფასების კორექტირებით საბაზრო სახელფასო მაჩვენებლის ზრდისა და თანამშრომლების შედეგების გაუმჯობესების პარალელურად. კომპანიის ძირითადი კონკურენტები, კადრების დასაქმების კუთხით, არიან დიდი საფინანსო ინსტიტუტები და ბანკები, შესაბამისად კომპანიას უწევს ხელფასების გადახედვა.

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
პერსონალის ხარჯები	4,306	3,519	7,201	6,947
სულ	4,306	3,519	7,201	6,947

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებმა 2024 წლის 30 ივნისის მონაცემებით შეადგინა 2,238 ათასი ლარი. ამ ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

('000 ლარი)	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31- დეკემბერი- 2023	31- დეკემბერი- 2022
მარკეტინგი და რეკლამა	360	273	641	456
საკონსულტაციო მომსახურება	204	137	217	168
საოფისე საქონელი	24	37	176	203
განცხადების შემოწმება	92	64	226	165
კომუნალური მომსახურებები	98	109	211	208
კომუნიკაცია	100	49	101	129
იჯარის ხარჯი	24	13	29	45
ტრანსპორტირება	56	34	49	68
უსაფრთხოება	43	39	80	79
საბანკო მოსაკრებლები	73	76	82	93
ბიზნეს შეხვედრები	27	19	68	55
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	55	15	188	132
სხვა საოპერაციო ხარჯები	260	207	746	507
ცვეთა და ამორტიზაცია	822	888	1,957	1726
სხვა				
სულ	2,238	1,960	4,771	4,034

მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი 2024 წლის 30 ივნისს 360 ათასი ლარი იყო და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 16%-ს შეადგენდა. აღნიშნული ხარჯები წინა წელთან შედარებით 32%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ხარჯები ემსახურება მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების გაცნობას, ბრენდის პოზიციონირებას და სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობების გზით საზოგადოების დახმარებას.

წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა გაყიდვის ოპერაციებიდან - 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ზარალი შემცირდა 48.6%-ით და შეადგინა -1,417 ათასი ლარი (30/06/2023: -2,755 ათასი ლარი). 2023 წლის ბოლოს აღნიშნული ზარალი იყო 2,445 ათასი ლარი.

წმინდა მოგება ვალუტის გადაფასებიდან 2024 წლის ნახევარი წლის მდგომარეობით 27.6%-ითაა შემცირებული და 1,063 ათასი ლარის ტოლია (30/06/2023: 1,467 ათასი ლარი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება შეადგენდა 56 ათასი ლარს.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

კაპიტალიზაციისა და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

(000' ლარი)	30-სექტ-2024	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
ვალდებულებები:					
მიღებული სესხები	77,661	82,455	67,768	69,678	64,355
სუბორდინირებული სესხები	5,329	5,576	5,204	5,321	4,873
გამოშვებული ობლიგაციები	15,090	15,061	15,012	15,047	14,986
სულ პროცენტური ვალდებულებები	98,070	103,092	87,984	90,046	84,214
კაპიტალი:					
სააქციო კაპიტალი	2,254	2,254	1,780	2,254	2,254
პრივილეგირებული აქციები	6,989	6,989	7,464	6,989	7,464
სააქციო პრემია	1,136	1,136	1,136	1,136	1,136
გაუნაწილებელი მოგება	11,301	12,028	9,492	10,197	9,099
მთლიანი კაპიტალი	21,680	22,407	19,872	20,576	19,954
მთლიანი კაპიტალიზაცია	119,750	125,499	107,856	110,622	104,168

მიღებული სესხები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 103,092 ათას ლარს შეადგენს და ჯამური აქტივების 77.8%-ია (31.12.2023: 90,046 ათასი ლარი). კომპანია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები აქვს, რაც მოიცავს როგორც ადგილობრივ ბანკებს, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, ობლიგაციებს, დამფუძნებლის სესხებს და ფიზიკური პირებისგან მიღებულ ვალდებულებებს:

('000 ლარი)	30-სექტ-2024	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
გრძელვადიანი სესხები					
გრძელვადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	1,500	4,001	16,867	15,660	25,049
სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	17,787	9,704	18,938	23,609	20,449
სუბორდინირებული სესხები მეწილეებისგან	5,319	5,576	5,204	5,321	4,873
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	1,059	871	1,781	450	2,492
არაუზრუნველყოფილი სესხები იურიდიული პირებისგან	109	112	0	0	0
სულ გრძელვადიანი სესხები	25,774	20,264	42,790	45,040	52,863

მოკლევადიანი სესხები

სესები ფინანსური ინსტიტუტებისგან	64,101	75,105	39,283	37,612	26,197
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზ. და იურ. პირებისგან	8,196	7,723	5,911	7,394	5,154
სულ მოკლევადიანი სესხები	72,296	82,828	45,194	45,006	31,351
სულ სესხები	98,070	103,092	87,984	90,046	84,214

ასევე, დივერსიფიცირებულია კომპანიის დაფინანსების სტრუქტურა უშუალოდ კრედიტორების ჭრილშიც, რაც როგორც კრედიტორთა მცირე ჯგუფზე კომპანიის დამოკიდებულების რისკს ამცირებს, ასევე, კომპანიის მიმართ ნდობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

მიღებული სესხები 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყოფება:

გამსესხებელი	ოდენობა (საწყისი)	ოდენობა (დარჩენილი ძირითადი+დარიცხული სარგებელი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	დარჩენილი ვადა დაფარვამდე
სს თი-ბი-სი ბანკი	8,250,000	6,276,133	ლარი	ვადის ბოლოს	3 - 7 თვე
ლიბერთი ბანკი	14,500,000	14,528,603	ლარი	ვადის ბოლოს	4 - 6 თვე
სს ბაზისბანკი	7,250,000	1,839,903	ლარი	ვადის ბოლოს	3 თვე
სს "საქართველოს ბანკი"	11,050,000	8,009,123	ლარი	ვადის ბოლოს	5 - 10 თვე
სს პაშა ბანკი საქართველო	3,000,000	1,499,715	ლარი	ვადის ბოლოს	13 თვე
Microfinance Enhancement Facility SA, SICAV-SIF	2,677,300	1,396,128	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	2 თვე
BIB Sustainable Finance (Sicav)	2,669,100	1,428,770	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	3 თვე
KCD Mikrofinanzfonds (FIS)	2,669,100	1,428,770	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	3 თვე
Pettelaar Effectenbewaarbeprijf N.V.	5,084,000	2,737,553	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 თვე
agRIF Coöperatief U.A.	3,970,450	2,085,824	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	3 - 8 თვე
responsAbility SICAV (Lux)	5,600,200	5,586,240	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	21 თვე
FINANCING FOR HEALTHIER LIVES	2,699,500	2,738,192	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე

Stichting Juridisch Eigenaar ACTIAM Institutional Microfinance Fund III	6,825,000	6,833,065	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე
EMF Microfinance Fund AGmV	11,589,200	4,974,120	დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	1 - 11 თვე
Symbiotics Sicav II	1,282,500	1,313,596	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	22 თვე
Symbiotics Sicav (Lux)	1,284,600	1,315,747	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	22 თვე
THE EUROPEAN FUND FOR SOUTHEAST EUROPE S.A., SICAV-SIF	7,141,250	4,306,128	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 5 გადახდა	9 თვე
Bonds	15,000,000	15,089,914	ლარი	ვადის ბოლოს	2 თვე
ფიზიკური	11,289,302	11,614,714	ლარი/აშშ დოლარი/ევრო	ვადის ბოლოს	1 - 72 თვე
იურიდიული	2,956,994	3,067,982	ლარი/აშშ დოლარი	ვადის ბოლოს	3 - 52 თვე
სულ:	126,788,496	98,070,219			

მიღებული სესხები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	ოდენობა (საწყისი)	ოდენობა (დარჩენილი ძირითადი+დარიცხული სარგებელი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	დარჩენილი ვადა დაფარვამდე
სს თი-ბი-სი ბანკი	6,250,000	6,276,133	ლარი	ვადის ბოლოს	6 - 9 თვე
ლიბერთი ბანკი	14,500,000	14,523,836	ლარი	ვადის ბოლოს	7 - 9 თვე
სს ბაზისბანკი	7,250,000	5,778,487	ლარი	ანუტიტეტი/ვადის ბოლოს.	6 თვე
სს "საქართველოს ბანკი"	8,000,000	8,009,397	ლარი	ვადის ბოლოს	8 - 12 თვე
სს პაშა ბანკი საქართველო	3,000,000	3,002,088	ლარი	ვადის ბოლოს	4 თვე
Microfinance Enhancement Facility SA, SICAV-SIF	2,677,300	1,410,319	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 თვე
BIB Sustainable Finance (Sicav)	2,669,100	2,820,037	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 თვე
KCD Mikrofinanzfonds (FIS)	2,669,100	2,820,037	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 თვე
Pettelaar Effectenbewaarbedrijf N.V.	5,084,000	5,713,135	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	9 თვე
agRIF Coöperatief U.A.	3,970,450	2,810,820	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	6 - 11 თვე
responsAbility SICAV (Lux)	5,600,200	5,577,629	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე

EMF Microfinance Fund AGmvK	11,589,200	6,567,883	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	4 - 14 თვე
Symbiotics Sicav II	1,282,500	1,359,276	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე
Symbiotics Sicav (Lux)	1,284,600	1,361,502	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე
THE EUROPEAN FUND FOR SOUTHEAST EUROPE S.A., SICAV-SIF	7,141,250	5,717,127	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 5 გადახდა	12 თვე
Bonds	15,000,000	15,061,277	ლარი	ვადის ბოლოს	6 თვე
ფიზიკური	10,657,411	11,233,796	აშშ დოლარი/ლარი/ევრო	ვადის ბოლოს	1 - 55 თვე
იურიდიული	2,876,994	3,049,137	აშშ დოლარი	ვადის ბოლოს	1 - 55 თვე
სულ:	111,502,105	103,091,916			

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	ოდენობა (საწყისი)	ოდენობა (დარჩენილი ძირითადი+დარიცხული სარგებელი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	დარჩენილი ვადა დაფარვამდე
სს თი-ბი-სი ბანკი	8,250,000	6,282,623	ლარი	ვადის ბოლოს	3 - 12 თვე
ლიბერთი ბანკი	9,500,000	9,520,934	ლარი	ვადის ბოლოს	13 თვე
სს ბაზისბანკი	8,750,000	4,131,019	ლარი	ვადის ბოლოს	12 თვე
სს "საქართველოს ბანკი"	8,300,000	5,260,725	ლარი	ვადის ბოლოს	3 - 14 თვე
Microfinance Enhancement Facility SA, SICAV-SIF	2,677,300	2,700,046	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	12 თვე
BIB Sustainable Finance (Sicav)	2,669,100	2,699,587	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	12 თვე
KCD Mikrofinanzfonds (FIS)	2,669,100	2,699,587	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	12 თვე
Pettelaar Effectenbewaarbedrijf N.V.	5,084,000	5,489,176	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	14 თვე
agRIF Coöperatief U.A.	3,970,450	4,036,031	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	12 - 30 თვე
EMF Microfinance Fund AGmvK	11,589,200	9,082,936	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	10 - 20 თვე
Symbiotics Sicav II	1,282,500	1,370,004	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	32 თვე
Symbiotics Sicav (Lux)	1,284,600	1,372,247	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	32 თვე
THE EUROPEAN FUND FOR SOUTHEAST EUROPE S.A., SICAV-SIF	7,141,250	7,188,465	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 5 გადახდა	18 თვე

Bonds	15,000,000	15,047,051	ლარი	ვადის ბოლოს	12 თვე
ფიზიკური	10,345,974	10,530,663	აშშ დოლარი/ლარი/ ევრო	ვადის ბოლოს	1 - 60 თვე
იურიდიული	2,576,742	2,634,602	აშშ დოლარი	ვადის ბოლოს	1 - 60 თვე
სულ:	101,090,216	90,045,696			

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:


გამსესხებელი	ოდენობა (საწყისი)	ოდენობა (დარჩენილი ძირითადი+ დარიცხული სარგებელი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	დარჩენილი ვადა დაფარვამდე
სს თი-ბი-სი ბანკი	3,500,000	2,267,877	ლარი	ვადის ბოლოს	3 თვე
ლიბერთი ბანკი	5,000,000	5,010,274	ლარი	ვადის ბოლოს	6 თვე
სს ბაზისბანკი	10,000,000	6,932,076	ლარი	ვადის ბოლოს	12 თვე
სს "საქართველოს ბანკი"	8,000,000	4,254,315	ლარი	ვადის ბოლოს	3 - 6 თვე
სს კაშა ბანკი საქართველო	4,000,000	3,251,617	ლარი	ვადის ბოლოს	6 - 22 თვე
Microfinance Enhancement Facility SA, SICAV-SIF	4,257,650	3,374,672	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 - 24 თვე
BIB Sustainable Finance (Sicav)	2,673,600	2,700,023	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე
KCD Mikrofinanzfonds (FIS)	2,673,600	2,700,023	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	24 თვე
Pettelaar Effectenbewaarbedrijf N.V.	6,249,600	5,526,589	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	8 თვე
agRIF Coöperatief U.A.	7,508,250	5,382,802	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	12 - 24 თვე
EMF Microfinance Fund AGmvK	11,599,600	10,915,256	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 3 გადახდა	22 - 32 თვე
Incofin Inclusive Finance Fund SA, SICAV-RAIF	1,577,450	676,288	აშშ დოლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	6 თვე
Symbiotics Sicav II	1,662,750	1,741,102	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	2 თვე
Symbiotics Sicav (Lux)	1,662,750	1,740,142	ლარი	ინდივიდუალური გრაფიკი, 2 გადახდა	2 თვე
Bonds	15,000,000	14,986,483	ლარი	ვადის ბოლოს	24 თვე
ფიზიკური	10,564,457	10,556,467	აშშ დოლარი/ლარი/ ევრო	ვადის ბოლოს	1 - 72 თვე
იურიდიული	2,310,647	2,198,130	აშშ დოლარი	ვადის ბოლოს	1 - 72 თვე

სულ:	98,240,354	84,214,137
------	------------	------------

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე კომპანიას აქვს ჯამურად 31,586 ათასი ლარის უზრუნველყოფა. ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების სესხების გარდა, კომპანიის სხვა სასესხო ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის ტიპების განაწილება შემდეგია:

უზრუნველყოფის ტიპი	უზრუნველყოფის ღირებულება ('000 ლარი)
სასესხო პორტფელი	30,570
ფულადი სახსრები	10
უძრავი ქონება	1,006

გრაფიკი: მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ დაფინანსების სტრუქტურა:



უზრუნველყოფილი სესხები ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მთლიანი სესხების 36% იყო 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (31/12/2023: 28%). კომპანია რამდენიმე ადგილობრივ ბანკთან თანამშრომლობს.

კომპანიის მიღებული სესხების 35%-ს წარმოადგენდა არაუზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან (31/12/2023: 41%). კომპანიის მიზანია გაზარდოს არაუზრუნველყოფილი სესხების წილი მთლიან სესხებში.

არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა ფიზ. და იურ. პირებისგან მთლიანი სესხების 14%-ს (31/12/2023: 7%) წარმოადგენდა.

მიღებულ სესხებზე კომპანიის საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთები წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

სესხის ტიპი	30-ივნ-2024	30-ივნ-2023	31-დეკემბერი-2023	31-დეკემბერი-2022
ლარში დენომინირებული სესხები	13.20%	14.45%	14.16%	14.61%
აშშ დოლარში დენომინირებული სესხები	6.54%	6.04%	6.02%	5.58%
სუბორდინირებული სესხები (აშშ დოლარი)	8.50%	8.47%	8.50%	8.57%

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას არ ჰქონია ადგილი;

ვადიანობის პოზიცია

კომპანიის პოზიცია ფინანსური აქტივებისა და ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	15,567	-	-	-	15,567
გაცემული სესხები (ნეტ)	9,055	25,999	58,393	13,841	107,289
სხვა ფინანსური აქტივები	1,939	-	-	-	1,939
დერივატივ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-
შემოდინება	33,965	-	-	-	33,965
გადინება	-34,197	-	-	-	-34,197
სულ	26,329	25,999	58,393	13,841	124,563
ფინანსური ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები	-	-	5,576	-	5,576
სხვა ნასესხები სახრსრები	12,623	70,205	14,688	-	97,516
სალიზინგო ვალდებულებები	313	884	3,351	205	4,753
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,942	-	-	-	1,942
სულ	14,878	71,089	23,615	205	109,787
ვადიანობის პოზიცია (წმინდა)	11,451	-45,089	34,778	13,636	14,776

კომპანიას, როგორც ცხრილიდან ჩანს, მოკლევადიანი დადებითი პოზიცია აქვს 3 თვემდე (11,5 მლნ ლარი). რაც შეეხება 3 თვიდან ერთ წლამდე პოზიციას, უარყოფით 45,1 მლნ ლარია, რაც 2022 წლის 13 დეკემბერს გამოშვებული 2 წლის მქონე ვადიანობის ობლიგაციების (ISIN: GE2700604228) მოკლევადიან

ვალდებულებად დაკლასიფიცირებით არის გამოწვეული. აღნიშნული ობლიგაციების ახალი ემისიით რეფინანსირების შემდეგ, კომპანიის ვადიანობის პოზიცია გაუმჯობესდება.

გრძელვადიანი ვადიანობის წმინდა პოზიცია 1 წლიდან 5 წლამდე არის დადებითი (34,8 მლნ ლარი), ხოლო ხუთ წელზე ზემოთ დადებითი 14,8 მლნ ლარი. მთლიანობაში, კომპანიას აქვს ერთ წლამდე უარყოფითი ვადიანობის პოზიცია, რაც ძირითადად გამოწვეულია 1 წლამდე დარჩენილი ვადიანობის ნასესხები სახსრებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჯამურად გამოშვებული 30 მილიონი ლარიდან 15 მილიონით მოხდება 2022 წლის 31 დეკემბერს გამოშვებული ობლიგაციების რეფინანსირება, ხოლო დარჩენილი 15 მილიონიდან ძირითადი ნაწილით საბანკო სესხების რეფინანსირება, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანიის ერთ წლამდე ვადიანობის პოზიცია გახდება დადებითი. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

1. მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის ინსტრუქციას;
2. გირაოს შეფასების ინსტრუქციას;
3. სესხის დამუშავების და გაცემის ინსტრუქცია
4. საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების ინსტრუქცია;
5. სესხების მონიტორინგის ინსტრუქცია;
6. პრობლემურ და ვადაგადაცილებულ სესხებთან მუშაობის ინსტრუქცია;

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

რიცხვები მოცემულია 1000 ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	10,767	2,156
კლიენტებზე გაცემული სესხები	107,289	95,182
სხვა აქტივები	1,939	3,707
	119,995	101,045

სავალუტო პოზიცია

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
ფული და ფულის ეკვივალენტი	11,302	3,268	911	86
გაცემული სესხები	106,538	751	-	-

სხვა აქტივები	1,852	81	6	-
სულ	119,692	4,100	917	86
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
სუბორდინირებული სესხები	-	5,576	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	64,437	33,026	53	-
სალიზინგო ვალდებულებები	174	4,579	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1715	227	-	-
სულ	66,326	43,408	53	0
ღია სავალუტო პოზიცია	53,366	-39,308	864	86
დერივატივების ეფექტი	-34,197	34,868	(903)	-
წმინდა ღია საბალანსო ანგარიშგების პოზიცია	19,169	-4,440	(39)	86

კომპანიას უარყოფითი წმინდა სავალუტო პოზიცია აქვს დოლარში და ცდილობს, რომ ეს პოზიცია გააუმჯობესოს. ასევე, უცხოური ვალუტის რისკის შესამცირებლად, კომპანია იყენებს ჰეჯირების დერივატივ ინსტრუმენტებს.

კომპანიის მიერ ჰეჯირებული რესურსის 100% გაკეთებულია უცხოური ვალუტის სვოპების სახით 2 ქართულ კომერციულ ბანკში. ასევე აქვს ე.წ. Back-to-Back (Cash Cover) სესხი, ერთ ქართულ კომერციულ ბანკში. ზემოაღნიშნული Cash Cover-ის განაკვეთი არის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 1%. ფასის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო, ამ ეტაპზე კომპანია არ იყენებს Cash Cover-ს. ჰეჯირების ხარჯს აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი კომპანიის მოგება-ზარალის უწყისზე, ამიტომ კომპანიის ძირითად სამომავლო პრიორიტეტს წარმოადგენს ფინანსური რესურსის მოზიდვა ლარში. ამასთან, აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იმყოფება, სხვადასხვა ჰეჯირების ინსტრუმენტები გადაიხედება და დასტურდება დირექტორთა საბჭოს მიერ. ჰეჯირების განაკვეთი 2022-2023 წლებთან შედარებით, 2024 წელს მნიშვნელოვნად დაიწია, რამაც დადებითი მატერიალური გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

კომპანიის პოზიცია ფინანსური აქტივებისა და ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	6,286	-	-	-	6,286
გაცემული სესხები (ნეტ)	7,838	23,506	51,722	18,078	101,144
სხვა ფინანსური აქტივები	425	-	-	-	425
დერივატივ ფინანსური აქტივები	14,549	23,506	51,722	18,078	107,855
შემოდინება	35,882	-	-	-	35,882
გადინება	(35,559)	-	-	-	(35,559)

სულ	323	-	-	-	323
ფინანსური ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები	120	335	6,991	-	7,446
სხვა წასესხები სახსრები	9,838	44,004	40,962	-	94,804
სალიზინგო ვალდებულებები	374	1,055	4,001	245	5,675
სხვა ფინანსური ვალდებულებები	882	-	-	-	882
სულ	11,214	45,394	51,954	245	108,807
ვადიანობის პოზიცია (წმინდა)	3,658	(21,888)	(232)	17,833	(629)

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

რიცხვები მოცემულია 1000 ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	1,945	3,739
კლიენტებზე გაცემული სესხები	101,144	90,241
სხვა აქტივები	425	3,352
	103,514	97,332

კომპანიის პოზიცია ფინანსური აქტივებისა და ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,778	-	-	-	6,778
გაცემული სესხები (ნეტ)	7,593	19,319	48,744	14,585	90,241
სხვა ფინანსური აქტივები	3,452	-	-	-	3,452
დერივატივ ფინანსური აქტივები	17,823	19,319	48,744	14,585	100,471
შემოდინება	87,911	-	-	-	87,911
გადინება	(84,901)	-	-	-	(84,901)
სულ	3,010	-	-	-	3,010
ფინანსური ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები	95	310	1,646	-	89,959
სხვა წასესხები სახსრები	1,676	4,953	83,330	5,227	7,278

სალიზინგო ვალდებულებები	371	1,044	3,783	1,337	6,535
სხვა ფინანსური ვალდებულებები	616	-	-	-	616
სულ	2,758	6,307	88,759	6,564	104,388
ვადიანობის პოზიცია (წმინდა)	18,075	13,012	(40,015)	8,021	(907)

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

რიცხვები მოცემულია 1000 ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	3,739	10,985
კლიენტებზე გაცემული სესხები	90,241	72,817
სხვა აქტივები	3,352	422
	97,332	84,224

სავალუტო პოზიცია

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
ფული და ფულის ეკვივალენტი	3,855	683	1,151	597
გაცემული სესხები	100,232	912	-	-
სხვა აქტივები	350	34	31	10
სულ	104,437	1,629	1,182	607
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
სუბორდინირებული სესხები	-	5,321	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	52,828	31,855	52	-
სალიზინგო ვალდებულებები	224	4,526	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	804	78	-	-
სულ	53,846	41,780	1,130	0
ღია სავალუტო პოზიცია	50,591	-40,151	1,130	607
დერივატივების ეფექტი	-35,559	34,979	903	-

წმინდა ღია საბალანსო ანგარიშგების პოზიცია	15,032	-5,172	2,033	607
---	--------	--------	-------	-----

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
ფული და ფულის ექვივალენტი	4,706	911	1,019	142
გაცემული სესხები	88,815	1,426	-	-
სხვა აქტივები	329	3,090	27	6
სულ	93,850	5,427	1,046	148

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები
სუბორდინირებული სესხები	-	4,837	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	40,843	38,477	21	-
სალიზინგო ვალდებულებები	315	5,033	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	567	49	-	-
სულ	41,725	48,432	21	-

ღია სავალუტო პოზიცია	52,125	-43,005	1,025	148
დერივატივების ეფექტი	-84,901	87,911	-	-
წმინდა ღია საბალანსო ანგარიშგების პოზიცია	-32,776	44,906	1,025	148

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	103,089	93,980
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(94,796)	(89,562)
	8,293	4,418

ფინანსური დათქმების მიმოხილვა

კომპანიას მიღებულ სესხებზე გარკვეული ფინანსური კოვენანტების დაცვა უწევს, რომლებიც სხვა წყაროებიდან მოზიდულ სახსრებზე დაწესებულ დათქმებზე მკაცრია. ამასთან, კომპანიას არ აქვს არაფინანსური დათქმები. აღნიშნული კოვენანტების მოკლე მიმოხილვა და შესაბამისი მაჩვენებელი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

#	დათქმის ტიპი	30 ივნისი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	ზღვარი	აკმაყოფილებს კი/არა
1	აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი	3.00%	1.80%	0.60%	3.00%	>0%	კი
2	ღია სავალუტო პოზიცია	-15.70%	-17.90%	-9.60%	-15.70%	>-25% და <25%	კი
3	ჯამური რისკი / მთლიან სესხებთან	5.50%	7.50%	6.80%	5.50%	<15%	კი
4	ღია საკრედიტო რისკის კოეფიციენტი	7.90%	13.10%	12.70%	7.90%	<15%	კი
5	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.40%	21.80%	22.80%	20.40%	>19%	კი
6	დაგირავებული პორტფელის კოეფიციენტი	11.60%	13.90%	14.30%	7.30%	<30%	კი

კოვენანტები ითვლება მენეჯერული ანგარიშგებებიდან. კოვენანტები უნდა სრულდებოდეს წლის ნებისმიერ მონაკვეთში.

კოვენანტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად, ხოლო გამსესხებელთან დარეპორტების სიხშირე განსხვავებულია გამსესხებლების მიხედვით.

წარსულ საანგარიშგებო პერიოდებში არ მომხდარა ზემოხსენებული კოვენანტების დარღვევა ემიტენტის მიერ.

აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან.

ღია სავალუტო პოზიცია - ღია სავალუტო პოზიცია შეფარდებული კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამთან.

ჯამური რისკი / მთლიან სესხებთან - რესტრუქტურისებული სესხების, 30-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული სესხებისა და ჩამოწერილი სესხების ჯამი შეფარდებული ჯამურ სასესხო პორტფელთან.

ღია საკრედიტო რისკის კოეფიციენტი - რესტრუქტურისირებულ სესხებს დამატებული ვადაგადაცილებული სესხები 30-დან 180 დღემდე, გამოკლებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი და შეფარდებული კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამთან.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, აქტივების გადაფასების რეზერვი, ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში), შეფარდებული მთლიანი აქტივებისა და ზემოაღნიშნული დაქვითვები სხვაობასთან.

დაგირავებული პორტფელის კოეფიციენტი - კომერციული ბანკების სასარგებლოდ დაგირავებული პორტფელის ფარდობა გროს პორტფელთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დაწესებული დათქმები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	ფაქტობრივი	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	ლიმიტი	აკმაყოფილებს კი/არა
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.4%	20.4%	>19%	კი
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	24.5%	24.5%	>18%	კი
ძ.ს.-ში ინვესტიციების კოეფიციენტი	11.3%	11.3%	<40%	კი
დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	58.3%	58.3%	<90%	კი

სააქციო კაპიტალი, სააქციო პრემია და პრივილეგირებული აქციები 2,254 ათასს ლარს, 1,136 ათას ლარსა და 6,989 ათას ლარს შეადგენა, შესაბამისად. კომპანიას გამოშვებული აქვს 2,400 ათასი ჩვეულებრივი აქცია და 400,000 A კლასის და 1,220 B კლასის პრივილეგირებული აქცია, თითო ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი, ხოლო პრივილეგირებული აქციის - 1,000 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარი).

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 12,028 ათას ლარს შეადგენდა (31/12/2023: 10,197 ათასი ლარი). ჯამურად მთლიანი კაპიტალი (სუბორდინირებული სესხების გარეშე) მთლიანი აქტივების 16.9%-ს შეადგენს (31/12/2023: 17.6%).

აქციონერები იღებენ კომპანიის მიერ გამოცხადებულ დივიდენდებს და, ასევე, გააჩნიათ ყოველ ჩვეულებრივ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება კომპანიის წლიურ და საერთო კრებებზე. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიამ გამოაცხადა 435 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი, ხოლო 2023 წელს აღნიშნული მოცულობა 444 ათას ლარს შეადგენდა.

ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

კომპანია გეგმავს ფინანსური რესურსების მოზიდვას ქართული კომერციული ბანკებისგან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. კერძოდ, 2024 წლის მეოთხე კვარტალში კომპანია გეგმავს მოიზიდოს 15 მილიონ ლარის ან მისი ექვივალენტის დამატებითი სენიორ სესხები პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. აღნიშნულ სესხებზე მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა

კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების სწორი მართვა და დაფინანსების წყაროების მუდმივი ძიება. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოდგენილია ქვემოთ:

	HY 2024	HY 2023	2023	2022
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგრამდე	2,756	612	2,847	1,008
კორექტირებები:				
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	560	332	1,546	853
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	(25)	28	(104)	(500)
საიჯარო ფასდათმობები	-	-	-	-
სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება	-	(93)	(149)	(180)
ცვეთა და ამორტიზაცია	822	888	1,957	1,726
ბონუსის და სხვა ხარჯის ანარიცხები	-	144	468	409
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	-	4	-	113
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება	137	110	447	123
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	25	(1,268)	(56)	(4,821)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	(126)	3	(248)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	4,275	631	6,959	(1,517)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:				
კლიენტებზე გაცემული სესხები	(6,144)	(5,273)	(12,268)	(18,243)
სხვა აქტივები	80	602	1,624	(2,802)
საგადახადო აქტივი/ვალდებულება	-	(48)	772	(257)
სხვა ვალდებულებები	(786)	(374)	(38)	(441)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე	(2,575)	(4,462)	(2,951)	(23,260)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	(626)	(94)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	-	-	(385)	(470)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(2,575)	(4,462)	(3,962)	(23,824)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შესყიდვა	40	(205)	(336)	(786)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	235	-	593
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	23	4	(90)	(179)
ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	63	34	(426)	(372)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:				
შემოსულობა ნასესხები თანხებიდან	55,407	50,054	109,405	111,094
ნასესხები სახსრების დაფარვა	(42,382)	(45,034)	(103,579)	(91,860)
პრივილეგიებული აქციების გამოსყიდვა	-	(475)	(475)	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან მიღებული თანხები	-	-	-	24
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(818)	(532)	(1,043)	(949)
გადახდილი დივიდენდები	(435)	(220)	(444)	(1,020)
ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან	11,773	3,793	3,864	17,289
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	9,260	(635)	(524)	(6,907)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6,286	6,778	6,778	13,879
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	21	(136)	32	(194)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	15,567	6,007	6,286	6,778

2024 წლის 6 თვის მდგომარეობით, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები 42.3%-ით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია საოპერაციო ფულადი შემოდინებების გაზრდით, რაც თავისმხრივ განპირობებულია დაბეგრამდე მოგების ზრდით (მოგება ძირითადად გაზრდილია საპროცენტო და საკომისიო შემოსავლების ზრდისა და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული ზარალის შემცირების ხარჯზე. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია 83.4%-ით, რაც ასევე გამოწვეულია დაბეგრამდე მოგების ზრდით. მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *საოპერაციო შედეგები*).

ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიამ უმნიშვნელო ოდენობის ინვესტიციები განახორციელა.

რაც შეეხება ფულადი ნაკადების შემოდინებას ფინანსური საქმიანობებიდან, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად, 3.1-ჯერ გაზრდილია წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით მეტი ოდენობის ნასესხო ვალდებულებების ათვისებით, რაც, თავის მხრივ, კომპანიის სასახო პორტფელის ზრდასთან არის დაკავშირებული. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან შემცირებულია 77.7%-ით. აღნიშნული გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით 1.7 მილიონი ლარით ნაკლები მოცულობის სესხების ათვისებით და 11.7 მილიონი ლარით მეტი სასახო ვალდებულების დაფარვით.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიამ გასცა 435 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი, ხოლო წინა წლის ამავე პერიოდში გაცემული დივიდენდების მოცულობა 220 ათასი ლარს შეადგენდა. 2023 და 2022 წლებში გაცემული დივიდენდები შესაბამისად შეადგენდა 444 ათას და 1,020 ათას ლარს.

მარეგულირებელი ჩარჩო

ზოგადი მიმოხილვა

მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებამდე სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“, ექვემდებარებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის განსაზღვრულ საკანონმდებლო მოთხოვნებს და მის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მოიპოვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია და შესაბამისად, იგი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს მიკრობანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაშვები ოპერაციების ფარგლებში და დაიცვას გარკვეული რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალურ მოთხოვნებთან. ემიტენტი, როგორც მიკრობანკი, კვლავ რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი საკანონმდებლო/რეგულატორული ცვლილება, რომლებიც რელევანტურია „კომპანიის“ ბიზნესსაქმიანობისთვის. კომპანია შესაბამისობაშია საკანონმდებლო ჩარჩოთი გაწერილ ვალდებულებებთან.

საკანონმდებლო გარემო

მიკრობანკების საქმიანობა და მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული საკითხები და, ასევე, მიკროსაფინანსო სექტორი, რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

კანონის/რეგულაციის დასახელება	თარიღი	ბოლო ცვლილება
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	08/2021	06/2024
საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ	09/2009	06/2024
საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ	07/2006	12/2023
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ	03/2024	არ აქვს
მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე	02/2020	01/2024
საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე	08/2018	08/2023
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე	02/2018	04/2020

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	04/2018	12/2020
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე	02/2024	02/2024
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ	07/2018	10/2019
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე	07/2018	არ აქვს
ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	03/2021	05/2024
ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	03/2020	10/2023
საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ	07/2023	05/2024
ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი	01/1999	06/2024
საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ	06/2016	05/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე	10/2020	10/2020
საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ	05/2012	11/2023
საქართველოს შრომის კოდექსი	12/2010	09/2024
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	08/2021	06/2024
კანონი მიკრობანკების საქმიანობის შესახებ	03/2023	12/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საკრედიტო რისკების მართვის წესის დამტკიცების შესახებ	10/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესის დამტკიცების თაობაზე	10/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება- გამოცვლის წესის დამტკიცების თაობაზე	06/2011	09/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესის დადგენის თაობაზე	10/2022	09/2023

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე	01/2018	11/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება ლარის ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ	05/2018	09/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულების დამტკიცების თაობაზე	12/2010	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ	10/2021	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე	08/2023	09/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე	08/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	12/2008	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ	07/2020	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე	05/2012	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ	07/2020	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე	08/2018	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკისთვის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ	08/2023	12/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ	06/2021	08/2023

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება მიკრობანკების რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო ჩარჩოს - რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელო	08/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ	02/2022	07/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის "მიკრობანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნების დაწესების თაობაზე	07/2023	08/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	03/2020	10/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	04/2011	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ	12/2018	06/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	11/2018	12/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ	09/2020	11/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	09/2020	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი დამტკიცების შესახებ	01/2016	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის სახელმწიფო და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან არაუზრუნველყოფილი სახსრების მოზიდვის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე	12/2018	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე	11/2020	06/2023

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე	12/2021	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე	08/2020	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ	09/2022	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	07/2017	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმარტოვებულ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესის დამტკიცების თაობაზე	04/2022	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე	02/2021	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე	01/2023	06/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ	01/2015	12/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკისათვის საბროკერო კომპანიისთვის ნებადართული საქმიანობის განსაზღვრებლად თანხმობის გაცემისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის შექმნის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	04/2024

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	11/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ	06/2023	01/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების ფასდადების მოდულების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	11/2023

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	07/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის კონტრცკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე	06/2023	04/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკებისთვის დილინგური ოპერაციების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	06/2023	არ აქვს
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	03/2021	05/2024
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	02/2011	11/2023
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	03/2010	09/2024

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო აქტების მოკლე მომიხილვა

საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ძალაში შევიდა 2006 წელს. ამ კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება, რომლის

საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 1 მილიონი ლარია. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განუსაზღვროს საზედამხედველო კაპიტალი და აუკრძალოს გარკვეული საქმიანობები. ასევე, უკანასკნელი ცვლილების თანახმად, კანონში ჩაიწერა შესაძლო მხარეები, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 100,000 ლარამდე მოცულობის სესხები ერთ მსესხებელზე/მსესხებელთა ჯგუფზე. მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება ნებისმიერი წყაროდან, თუმცა დასაშვებია სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სესხების გაცემა და მიღება ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ინვესტირება ფასიან ქალაქებში, სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება, ვალუტის გადაცვლის და ფულადი გზავნილების სერვისებისა და სხვა ფინანსური სერვისების შესრულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ობლიგაციების და თამასუქების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სხვა ბიზნეს საწარმოებში წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს.

კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება; რომელიც ნასამართლევი იყო ეკონომიკური დანაშაულისთვის; წარსულში იყო ბანკის ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად დააზარალა/გააკოტრა ეს ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, მიკრობანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი) ან სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი.

პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 10%-ზე მეტი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია ტერორიზმის დაფინანსებისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წილის (>10%) პოტენციურმა მყიდველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტები. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას წილის მიყიდვაზე იღებს 15 სამუშაო დღის ვადაში.

ბრძანების თანახმად, რომელიც 2012 წელს შევიდა ძალაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, გაუუქმოს მას რეგისტრაცია, ზედამხედველობა გაუწიოს და დააკისროს მას ჯარიმა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ოპერირება შეუძლია საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმატებით რეგისტრირების შემდეგ. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრირების შესახებ აქვეყნებს 45 სამუშაო დღის ვადაში. გარდა ამისა, განმცხადებელს დამატებით ეძლევა 30 დღე საჭირო შესწორებების შესატანად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან, სათავო ოფისსა და ყველა ფილიალში დაამონტაჟონ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

მიკროსაფინანსო კომპანიები ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ თვიური ანგარიშგება და გამოაქვეყნონ კვარტალური ანგარიშგება საკუთარ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2016 წელს ძალაში შევიდა სპეციალური ბრძანება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსების რისკთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც 2017 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან წელიწადში ორჯერ წარადგინონ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ; ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია კლიენტების მოქალაქეობის, გარიგებების, მაღალი რისკის მატარებელი სესხების და კლიენტების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელების, უცხოეთში ფილიალების/შვილობილი ორგანიზაციების და სხვა საკითხების შესახებ.

თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ წარადგენს ზემოთ მითითებულ ანგარიშებს ან არ შეასრულებს სხვა მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააჯარიმოს იგი ან გაუუქმოს მას რეგისტრაცია. 2018 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა ახალი ბრძანება მიკროსაფინანსო კომპანიების ლიკვიდაციის წესთან დაკავშირებით, რომელიც საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ დაუნიშნოს ლიკვიდატორი.

2017 წლის იანვრიდან ყველა საკრედიტო ინსტიტუტს მოეთხოვება, რომ მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდეს კრედიტის 100%-ს, ხოლო წლიური საჯარიმო სანქცია არ აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 150%-ს.

2018 წლის ივლისში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა შემცირდა 50%-მდე, ხოლო საჯარიმო სანქციების მაქსიმალური წლიური ჯამური მოცულობა კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 100%-მდე. საქართველოს ეროვნული ბანკი მონიტორინგს უწევს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2017 წლის იანვარში შეტანილი ცვლილების თანახმად, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოუშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100,000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.

მეორე რეგულაცია, რომელიც 2017 წლის იანვარში შევიდა ძალაში, ეხებოდა „ლარიზაციას“. რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე 400,000 ლარამდე ოდენობის ნებისმიერი სესხი გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა 2 ახალი ბრძანება. პირველი ბრძანება შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციასა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესს, ხოლო, მეორე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა, შეეხება პასუხისმგებლიან გასესხებას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სხვა სუბიექტებს დაევალით ინდივიდებზე სესხების გაცემა მხოლოდ გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის: სესხის გამცემ სუბიექტებს დაეკისრათ ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის ვალდებულება (გარდა სესხის რესტრუქტურის/რეფინანსირების შემთხვევებისა), ასევე, დებულების შემდგომი დამატებით, მათ მიეცათ უფლება სესხის გაცემის პროცესში გამოეყენებინათ მხოლოდ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდოლოგიები. გარდა ამისა, სესხებზე, რომლებზეც ვრცელდება დებულების მოთხოვნები, დამტკიცდა სესხის უზრუნველყოფისა და მომსახურების კოეფიციენტები. სესხის მომსახურების კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში
<1000	20% / 25%	25% / 35%
>=1000-2000<		35% / 45%

>=2000-4000<	25% / 30%	45% / 55%
>=4000	30% / 35%	50% / 60%

თუმცა, 2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ცვლილებები 2020 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდება და მოიცავს შემდეგს:

- გაუქმდა სესხის მომსახურების კოეფიციენტის ლიმიტი მაქსიმალურ ვადიანობაზე. კოეფიციენტი დაითვლება იმ ფაქტობრივ პერიოდზე, რომელზეც კონტრაქტით შეიძლება სესხის ვადის გაგრძელება. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები ზემოთ მოცემული ცხრილის ნაცვლად, განისაზღვრა შემდეგნაირად:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	უცხოური ვალუტა	ლარი (ან FX, თუ შემოსავალი იმავე ვალუტაშია)
<1500	20%	25%
>=1500	30%	50%

- კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კორპორაციული მართვის მოთხოვნები, კერძოდ, „დაცვის სამი ხაზის“ (ბიზნესის ხაზი, რისკების მართვის ფუნქცია და შიდა აუდიტი) პრინციპების გამოყენებით, დაევალებათ რისკების მართვა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების უზრუნველყოფა.

ასევე, 2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კაპიტალის კოეფიციენტების ლიმიტები, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №143/04 ბრძანების მიხედვით. ლიმიტები შემოღებულია ორი მიდგომით, სტანდარტული და არასტანდარტული. სტანდარტულის მიხედვით, კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტი უნდა იყოს >=18%-სა, ხოლო არასტანდარტულის შემთხვევაში – >=24%-სა. სტანდარტულ და არასტანდარტულ მიდგომებს განასხვავებს საზედამხედველო კაპიტალის თუ რა წილს შეადგენს ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები. თუ კომპანიის მიერ ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები, მათ შორის ობლიგაციებით მოზიდული სახსრები საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლებია, მაშინ კომპანია ხვდება სტანდარტულ ლიმიტებში, ხოლო, თუ საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს აჭარბებს აღნიშნული წყაროებიდან მოზიდული სახსრები, მაშინ არასტანდარტულ ლიმიტებში.

2019 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, დერივატივის დადება, ვალუტის გადაცვლა, თამასუქებისა და ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა, აგრეთვე ამ ფინანსურ მომსახურებებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

2022 წლის 1 ნოემბრიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლებამოსილი არიან განახორციელონ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გადახდის ინიცირების მომსახურება ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება.

2023 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირია, უფლებამოსილია შეიცვალოს საქმიანობის საგანი და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართოს

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად.

2023 წლის 1 აგვისტოდან, ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის, არსებული დავალიანების ან ნაშთის შესახებ) შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებსა და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. სხვა პირებს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიეცემა.

მიკრობანკებთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო აქტების მოკლე მომხილვა

საქართველოს კანონი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ (შემდგომში - კანონი) სრულად ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან, წინამდებარე კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიას, აღნიშნული კანონის მე-2 თავის შესაბამისად, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სალიცენზიო მოთხოვნებს.

„მიკრობანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 21 ივნისის N114/04 ბრძანების შესაბამისად მიკრობანკის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 10 (ათი) მლნ ლარს.

კანონის 26-ე მუხლის თანახმად, მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება იმით, რომ ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს.

კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მიკრობანკმა სესხი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა გასცეს.

კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მიკრობანკის ბიზნეს მოდელი უნდა ეფუძნებოდეს სამეწარმეო საქმიანობიდან (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან) შემოსავლის მიმღები პირების დაკრედიტებას. კერძოდ, ლიცენზიის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია. აღსანიშნავია, რომ კანონი იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მიკრობანკის სალიცენზიო განაცხადს 2024 წლის 1 იანვრამდე გააკეთებდნენ, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენისას მათი საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50 პროცენტისა უნდა ყოფილიყო სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან შემდგარი, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო

საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 2 წლისა მიკრობანკმა უნდა დააკმაყოფილოს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემსუბუქებული მოთხოვნები ვრცელდება დაგირავებული აქტივების კოეფიციენტზეც. კერძოდ, 2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, იმ მიკრობანკს, რომლის დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მომენტში 90 პროცენტზე ნაკლებია, დეპოზიტების მოზიდვის უფლება ექნება იმ პირობით, რომ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი დეპოზიტების მოზიდვის უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლისა 50 პროცენტზე ნაკლები იქნება, ხოლო არაუგვიანეს 2 წლისა ნული გახდება.

კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მიკრობანკი უფლებამოსილია ფიზიკური პირებისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან) მოიზიდოს დაბრუნებადი ფულადი სახსრები, რომლებიც უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარის ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტს. აღნიშნულის დროს, დაცული უნდა იყოს მოზიდული თანხის სახედასხედველო კაპიტალთან შეფარდებით დადგენილი შესაბამისი ზღვარი, 50%. კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის N111/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებების“ მიხედვით, მიკრობანკი, ასევე, ვალდებულია დაიცვას ძირითადი პირველადი კაპიტალის (მინიმუმ 4.5%), პირველადი კაპიტალისა (მინიმუმ 6%) და ჯამურადსახედასხედველო კაპიტალის (მინიმუმ 8%) კოეფიციენტები და, ასევე, კონტრციკლური (0.25%), კონსერვაციის (2.5%), CRA და წმინდა GRAPE ბუფერები, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალურად მიკრობანკის რისკის პროფილის შესაბამისად.

მიკრობანკებს შეუძლიათ, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ლიმიტის ფარგლებში, სესხების, გარანტიების, აკრედიტივებისა და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება, პროცენტის და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში და ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაცვით, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება და საკასო-საინკასაციო მომსახურების გაწევა, საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება, საგადახდო მომსახურების გაწევა, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება, უპროცენტო საბანკო მომსახურების გაწევა, დერივატივის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას საჭიროებს, საკუთარი და თავის კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, ფასეულობათა შენახვა, ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა და თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევა. ამასთან, შესაბამისი ნებადართული საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიკრობანკს შეუძლია გახდეს RTGS სისტემის მონაწილე.

კანონის თანახმად, მიკრობანკის დირექტორატი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 დირექტორისგან და მისი წევრი არ შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის N119/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის შესახებ დებულებით“ განსაზღვრულ ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ მოთხოვნების დაცვა/დაკმაყოფილება გარდა მიკრობანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისა, ასევე უწევთ მიკრობანკის ადმინისტრატორებს, რაც კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, განიმარტება შემდეგნაირად -

„მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორატის წევრი ან/და სხვა პირი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვს მიკრობანკის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის ან/და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. აღნიშნულ პირთა პოზიციების ჩამონათვალს ამტკიცებს მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო“. აღსანიშნავია, რომ მიკრობანკის მმართველი ორგანოს საქმიანობის, შემადგენლობის, პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების შესახებ მოთხოვნებს ასევე განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის N112/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომლის თანახმადაც, მათ შორის, არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა სამეთვალყურეო საბჭოს 33% უნდა შედგებოდეს განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წარმომადგენლისგან, ხოლო არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივლისისა ეს რიცხვი 40%-მდე უნდა გაიზარდოს. კოდექსი მიკრობანკის დირექტორთა საბჭოსთვის განსაზღვრავს ერთგვარ სარეკომენდაციო ჩანაწერს, რომლის მიხედვით, სასურველია დირექტორატის წევრების არანაკლებ 33% განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წარმომადგენელი იყოს.

კანონის თანახმად, ამავე კანონის მე-2 მუხლის „ო“ პუნქტით განსაზღვრული მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის N106/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ დებულებით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მიკრობანკს, სუბიექტზე გასცეს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, გაუქმოს ასეთი ლიცენზია (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში) და იმოქმედოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების ფარგლებში.

მიკრობანკები ვალდებული არიან, კომერციული ბანკების მსგავსად, დაიცვან „მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის“ მიხედვით დადგენილი მოთხოვნები და შესაბამისი თანხები განათავსონ ეროვნულ ბანკში. ამასთან, მიკრობანკს უნდა ჰქონდეს რისკების, მათ შორის, საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო.

მიკრობანკები ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ სხვადასხვა პერიოდულობით - დღიური, კვირეული, თვიური, კვარტალური, წლიური, IFRS სტანდარტზე მორგებული ანგარიშგებები, აგრეთვე, რიგი ანგარიშგებები გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდზე.

2017 წელს ძალაში შევიდა სპეციალური ბრძანება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსების რისკთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც 2017 წლიდან საფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან წელიწადში ორჯერ წარადგინონ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ; ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია კლიენტების მოქალაქეობის, გარიგებების, მაღალი რისკის მატარებელი სესხების და კლიენტების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელების, უცხოეთში ფილიალების/შვილობილი ორგანიზაციების და სხვა საკითხების შესახებ.

თუ საფინანსო ორგანიზაცია ვერ წარადგენს ზემოთ მითითებულ ანგარიშებს ან არ შეასრულებს სხვა მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააჯარიმოს იგი ან გაუქმოს მას ლიცენზია.

მიკრობანკის საზედამხედველო მაჩვენებლები და ემიტენტის მიერ მათი შესრულება 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით:

რისკი	მაჩვენებელი	დაანგარიშების მეთოდოლოგია	ლიმიტი	2024 ოქტომბერი
ლიკვიდობის რისკი		მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან წმინდა ფულად გადინებასთან	მინ. 100% (ჯამურად)	707.09%

	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)		ყველა ვალუტა ერთად)	
			მინ. 100% (უცხოური ვალუტა)	244.66%
			მინ. 75% (ეროვნული ვალუტა)	2987.18%
კაპიტალის რისკი	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	ძირითადი პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან	მინ. 4.5%	11.50%
	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან	მინ. 6%	16.77%
	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან	მინ. 8%	19.83%
	ლევერიჯის კოეფიციენტი	პირველადი კაპიტალი/მთლიანი რისკის პოზიციები	მინ. 5%	16.56%
კონცენტრაციის რისკი	ინსაიდერის რისკების პოზიცია	ერთი დაკავშირებული მხარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაკავშირებული მხარე მშობელი ან/და შვილობილი მიკრობანკია, რისკის პოზიციის ღირებულება პირველად კაპიტალთან	მაქს. 5%	0%
	ინსაიდერების ჯამური რისკების პოზიცია	ყველა დაკავშირებული მხარის, მათ შორის, მშობელი ან/და შვილობილი მიკრობანკის მიმართ, რისკის პოზიციის ღირებულება პირველად კაპიტალთან	მაქს. 25%	0%
	დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (დაკ)	დაგირავებული აქტივები სააქციო კაპიტალთან	მაქს. 90%	50.26%
	წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (იკ)	იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა სააქციო კაპიტალთან	მაქს 50%	0%
	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (ქკ)	ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში ინვესტიციების ჯამური თანხა სააქციო კაპიტალთან	მაქს. 70%	11.80%
	მოზიდული სახსრების კოეფიციენტი (მსზ)	ფიზიკური პირებისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან) 100 000 (ასი ათას) ლარზე მეტი ოდენობის დაბრუნებადი ფულადი სახსრების ჯამური მოცულობა (გარდა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა, მიკრობანკის აქციონერის/დამფუძნებლის მიერ მიკრობანკზე სესხის გაცემისა ან მის კაპიტალში შენატანის განხორციელებისა და დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებისა) შეფარდება საზედამხედველო კაპიტალთან	მაქს 50%	25.9%
საბაზრო რისკი	ღია სავალუტო პოზიცია	ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშგებით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესის შეფარდება საზედამხედველო კაპიტალთან	[-20%;20%]	16.40%
საკრედიტო რისკი	პორტფელის კომპოზიცია	ბიზნეს დაკრედიტების სფეროს პორტფელი/მთლიანი პორტფელი	მინ.50%	53.59%
	მსხვილი რისკის პოზიციები	ყველა მსხვილი რისკის პოზიციების ჯამური ოდენობა პირველად კაპიტალთან	მაქს.100%	0%
საპროცენტო განაკვეთის რისკი	EVE კოეფიციენტი	დაითვლება კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების ცვლილების და წმინდა საპროცენტო შემოსავლის მეთოდის გამოყენებით. ბანკის ეკონომიკური ღირებულების ცვლილება სხვადასხვა შოკისა და სტრესის სცენარების გათვალისწინებით პირველად კაპიტალთან	მაქს 15%	54%

ანგარიშვალდებული საწარმო

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოდ. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარწლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარწლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაციის ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

- (i) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- (ii) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 172/04 დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშნვის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან

დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნულ ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღვეველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოციაციის ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2013 წლის ივნისში და 2020 წლის სექტემბერში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებულნი არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

ახალი კანონით „მეწარმეთა შესახებ“ რეგულირდება სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი და გამოიყოფა არსებობის შეწყვეტის სამი სტადია:

SCHEDULE 1 საზოგადოების დაშლა

SCHEDULE 2 საზოგადოების ლიკვიდაცია

SCHEDULE 3 რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

კანონის თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობაა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ხდება ლიკვიდაციის პროცესის განახლება და სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

გადახდისუუნარობა

„კომპანიაზე“, ვრცელდება „მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესი“.

მიკრობანკი გადახდისუუნარო შეიძლება გახდეს როგორც მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, ისე მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დროს. მიკრობანკი გადახდისუუნაროა, როდესაც მისი აქტივები (განურჩევლად მათი ვადიანობისა) ვეღარ ფარავს მისივე ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ჯამს, განურჩევლად მათი ვადამოსულობისა. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკრობანკის გადახდისუუნარობის დადგენისათვის მიკრობანკის მთლიანი აქტივების ღირებულება გაიანგარიშება სალიკვიდაციო ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით. ლიკვიდატორის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკრობანკი გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოაცხადოს. მიკრობანკის გადახდისუუნაროდ ან გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

საქართველოს კანონის „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მიკრობანკისთვის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში იწყება მისი ლიკვიდაცია. „მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №121/04 ბრძანების შესაბამისად, „კომპანიის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების რიგითობით:

არ არის უპირატესი დეპოზიტარების, უზრუნველყოფილი კრედიტორების, კომპანიის ნებისმიერ ამჟამინდელი ან მომავალი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც კანონით ან/და მისი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებზე.

უპირატესია „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე და „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც კლასიფიცირდება კომპანიის კაპიტალის პირველად და მეორად ინსტრუმენტად ან რომლებიც კანონით ან/და მათი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

ემიტენტის შესაბამისობა საკანონმდებლო გარემოსთან:

ემიტენტი საკანონმდებლო ჩარჩოთი გაწერილ მოთხოვნებთან, მათ შორის ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონით გაწერილ მოთხოვნებთან, შესაბამისობაშია. გამონაკლისია 2022 წლის დარღვევა, კერძოდ, კომპანიამ ზემოხსენებული წლის ანგარიშგება წარადგინა კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან.

კორპორაციული მართვის კოდექსით გაწერილი მოთხოვნების დეტალური მიმოხილვისთვის იხილეთ ქვეთავი „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კორპორატიული მმართველობა

ემიტენტი სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალია 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. კორპორატიული მართვის სტანდარტის აღწერა იხილეთ ამავე ქვეთავში. გარდა ამისა, კომპანია სრულად შესაბამისობაშია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიმართ არსებული კორპორატიული მართვის კოდექსისა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომპანია აკმაყოფილებს კორპორაციული მართვის კოდექსით გაწერილი მოთხოვნების უმეტესობას, ხოლო ალტერნატივა აქვს არჩეული შემდეგ მოთხოვნებზე:

საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა
საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.
სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.
საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.
კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.
საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთანავე შეიქმნას რისკების კომიტეტი.

გარდა ამისა, კომპანიამ 2023 წლის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის დანართი N1-3 წარადგინა დაგვიანებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ზემოხსენებული მოთხოვნების უმეტესობას დააკმაყოფილებს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებისთანავე, 2025 წლის პირველ კვარტალში, კერძოდ:

- სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი იქნება დამოუკიდებელი;

- საწარმოს საერთო კრება უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტებას, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი;
- აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებული იქნება 3 წევრისგან;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტდება რისკების კომიტეტი;

მიმოხილვა

ემიტენტის მართვის სტაბილური ფუნქციონირებისთვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილება სახედამხედველო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს კომპანიის მართვას და არ არის დუბლირებული. კომპანიის მართვის ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი.

აქციონერთა საერთო კრება:

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მეწარმეთა შესახებ კანონის და წესდების თანახმად, აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები აქციონერთა საერთო კრებაზე შემდეგ საკითხებზე:

- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის წესდებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გატანის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის აქციებისა და სხვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის წესების შესახებ;
- ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, ამტკიცებს მის (მათ შორის საბჭოს კომიტეტ(ებ)ის) ბიუჯეტს;
- ამტკიცებს კომპანიის წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშს;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის კაპიტალის ზრდის/შემცირების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების, მისოს სხვა ორგანიზაციასთან შერწყმის, ან მისი ლიკვიდაციის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- ამტკიცებს დებულებას კომპანიის "კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ";
- ამტკიცებს დებულებას კომპანიის "კორპორაციული ეთიკის შესახებ";
- იღებს გადაწყვეტილებებს წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

კომპანიის ნაბადართული კაპიტალი შეადგენს ნებადართული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ნომინალური ღირებულების ჯამს (ეროვნულ ვალუტაში). კომპანიის ნებადართული კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებად. კომპანიის ნებადართული აქციებია - 2,400,000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი) ცალი ჩვეულებრივი აქცია. 400 000 (ოთხასი ათასი) ცალი "A" კლასის პრივილეგირებული აქცია და 1,220 (ათას ორას ოცი) ცალი "B" კლასის პრივილეგირებული აქცია.

ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი; "A" კლასის ერთი პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულებაა 10 (ათი) ლარი; "B" კლასის ერთი

პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 (ათასი) აშშ დოლარი. აქციის ნომინალური ღირებულება არის უცვლელი.

ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღების უფლებას და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას (ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე), ხოლო პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს მხოლოდ დადგენილი განაკვეთით დივიდენდის მიღების უფლებას, კომპანიის წესდებით განსაზღვრული წესით. საზოგადოების აქციონერს დივიდენდის მიღების უფლებას ანიჭებს მხოლოდ ის ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქცია (აქციები), რომლის შესაბამისი ღირებულების შენატანი განხორციელებულია კაპიტალში (შემდგომში „განადღებული“ აქცია), ხოლო ხმის უფლებას ანიჭებს მხოლოდ მის მიერ განადღებული ჩვეულებრივი აქცია (აქციები). საზოგადოებაში აქციონერის წილი განისაზღვრება, როგორც მის მიერ განადღებული ჩვეულებრივი აქციების პროცენტული წილი საზოგადოების აქციონერების მიერ, მთელს განადღებულ ჩვეულებრივ აქციებში. აქციონერთა საერთო კრებაზე ერთი ჩვეულებრივი აქცია ერთი ხმის უფლების მქონეა.

საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, კომპანიას შეუძლია გამოუშვას აქციები (ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული) და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. ახალი აქციების გამოშვების ყველა პირობა ჩამოყალიბებული იქნება კომპანიის წესდებაში, აქციების ემისიის პროსპექტში (არსებობის შემთხვევაში), სადამფუძნებლო შეთანხმებაში ან აქციონერთა კრების ოქმში.

კომპანია არეგისტრირებს თითოეულ აქციონერს, მათ საკუთრებაში არსებულ აქციებს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების (აქციონერთა) რეესტრში. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შემთხვევაში, მისოს აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი აქციათა რეგისტრატორი. მისო უზრუნველყოფს აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ საჭირო სარეგისტრაციო პროცედურის განხორციელებას.

კომპანია უფლებამოსილია, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ნებისმიერ დროს, უკან გამოისყიდოს ნებისმიერი რაოდენობის პრივილეგირებული აქცია, ნებისმიერი აქციონერისაგან. პრივილეგირებული აქციის უკან გამოსყიდვა მოხდება ნომინალური ღირებულებით. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გაცემის შესახებ კომპანიის წესდების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აქციონერი (ყოფილი აქციონერი) უფლებამოსილია მიიღოს შუალედური ან/და საბოლოო დივიდენდი, კომპანიის მიერ გამოსყიდულ პრივილეგირებულ აქციებზე, თუ დივიდენდის გაცემა ხდება იმ პერიოდზე, რა პერიოდის განმავლობაშიც აქციონერი (ყოფილი აქციონერი) ფლობდა პრივილეგირებულ აქციას, კომპანიის მიერ მის გამოსყიდვამდე.

ორგანიზაციას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები:

პეტრიაშვილი გია, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მ.კოსტავას ქ. N 75 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 31.8%-ს, 27,000 (ოცდაშვიდი ათას) ცალ A ტიპის და 100 (ას) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

რუხაძე ოთარ, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, პეკინის გამზ. N 2 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 14.4%-ს, 108,000 (ას რვა ათას) ცალ A ტიპის და 400 (ოთხას) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

ამბროლაძე მურმანი, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, დელისის ქ. N 30ა - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 8.0%-ს, 13,500 (ცამეტი ათას ხუთასი) ცალ A ტიპის და 50 (ორმოცდაათ) ცალ პრივილეგირებულ აქციას.

მაზიაშვილი თენგიზი, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ნ.ბერაძის ქ. N 8 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 9.3%-ს, 33,750 (ოცდაცამეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ცალ A ტიპის და 125 (ას ოცდახუთ) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

ნიჟარაძე ტარას, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, არსენას ქ. N 11 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 8.3%-ს, 99,900 (ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაასი) ცალ A ტიპის და 190 (ას ოთხმოცდაათ) ცალ პრივილეგირებულ აქციას.

მელაძე გოდერძი, იურიდიული მისამართი: ქალაქი სოხუმი, მშვიდობის გამზ. N 210 ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 6.7%-ს, 40,500 (ორმოცი ათას ხუთასი) ცალ A ტიპის და 150 (ას ორმოცდაათ) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

გოთოშია გიორგი, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, თ.ნადარეიშვილის ქ. N 11 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 6.7%-ს, 13,500 (ცამეტი ათას ხუთას) ცალ A ტიპის და 50 (ორმოცდაათ) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

ვაჩნაძე გიორგი, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N 308 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 5.5%-ს, 14,850 (თოთხმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ცალ A ტიპის და 55 (ორმოცდათხუთმეტი) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

შპს ჯეიბი (საიდენტიფიკაციო კოდი: 406167516 იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ქინძმარაულის ქ. N 5) - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 2.7%-ს, 27,000 (ოცდაშვიდი ათასი) ცალ A ტიპის და 100 (ას) ცალ B ტიპის პრივილეგირებულ აქციას.

ღვალაძე გიორგი, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი მოსკოვის გამზ. N 19 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 2%-ს.

ჩაჩიბაია ეთერი, იურიდიული მისამართი: ქალაქი სოხუმი, მიძარას ქ. N 69 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 2%-ს.

ჯაჯანაშვილი თათია, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქ. N 2 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 1.5%-ს.

დედარიანი ნინო, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, სოლომონ დოდაშვილის ქ. N 22 - ფლობს ჩვეულებრივ აქციათა 1.4%-ს.

სამეთვალყურეო საბჭო:

კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრიგან, მათგან ერთი დამოუკიდებელი წევრია და აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს. უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული მართვის კოდექსით გაწერილი მოთხოვნების ნაწილში კომპანიას არჩეული აქვს ალტერნატივა, ვინაიდან ემიტენტი მიიჩნევს, რომ მოცემული რაოდენობით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო საკმარისია მისი ზომისა და კომპლექსურობის დონისთვის.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კომპანიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, უზრუნველყოფს საიმედო და ეფექტური შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

წევრის სახელი და გვარი	პოზიცია	კომპანიაში დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
ტარას ნიჟარაძე	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	2012 წელი	სექტემბერი, 2027
მურმან ამბროლაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	2014 წელი	სექტემბერი, 2027
ვალერი ჩეჩელაშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	2019 წელი	სექტემბერი, 2027

ტარას ნიჟარაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარასი 2012 წლიდან კომპანიის პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს როგორც საფინანსო, ისე სხვა სექტორებში კომპანიების მენეჯმენტის მიმართულებით. 1998-2012 წლებში იგი სს „ბაზისბანკის“ აქციონერი და ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. 2006 წლიდან იგი შპს „ენერგო-არაგვის“ თანადამფუძნებელი და დირექტორია. ასევე 2019 წლიდან არის „სს ნიკორა ტრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2022 წლიდან დღემდე „შპს ბახვი 2“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2015 წლიდან არის „შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2022 წლის აგვისტოდან „შპს სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლიდან დღემდე „შპს ენერგო არაგვი ინჟინერიის“ დირექტორი. 2007 წლიდან „შპს დი ჯი აი“-ს და 2002 წლიდან „შპს სითიესის“ დირექტორი. მას განათლება მიღებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე და ფლობს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხებს ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. მის: ქ. თბილისი არსენას ქ. 11/16 ფ.14.

მურმან ამბროლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მურმან ამბროლაძე არის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და 2014 წლიდან ამავე ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მან 1993 წელს გააპეტრიაშვილთან ერთად დააარსა სს „ბაზისბანკი“ და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი. 2008-2012 წლებში მურმან ამბროლაძე იყო "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო 2012 წლიდან დღემდე იგი არის შპს "ამბრო-ფროფერტის"-ს დამფუძნებელი და დირექტორი. 2015 წლიდან დღემდე არის შპს „აგრო-სოფთი“-ს დირექტორი და 2017 წლიდან სს „თავისუფალი აკადემიის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და დირექტორი. მურმან ამბროლაძე ფლობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხს მათემატიკის განხრით. მის: ქ. თბილისი მ.თარხნიშვილის პირველი ჩიხი N1.

ვალერი ჩეჩელაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ვალერი აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა 2019 წლის სექტემბერში. იგი 1989 წლიდან მოღვაწეობს დიპლომატიის სფეროში. 2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მას დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო

ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და ფლობს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხს. ვალერი ჩეჩელაშვილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ მუშაობდა სხვა პოზიციაზე. მის: ქ. თბილისი გიორგი ათონელის ქ. N31

ხმის უფლების მქონე აქციებში 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები:

1. გია პეტრიაშვილი - 31.76%;
2. მურმან ამბროლაძე - 7.98%;
3. თენგიზ მაზიაშვილი - 9.29%;
4. გიორგი ვაჩნაძე - 5.48%;
5. ტარას ნიჟარაძე - 8.25%;
6. გოდერძი მელაძე - 6.65%
7. გიორგი გოთოშია - 6.65%;
8. ოთარ რუხაძე - 14.42%.

** მმართველ ორგანოს წევრებსა და 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერებს შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს.*

აუდიტის კომიტეტი:

სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის მთავარი ფუნქცია შიდა აუდიტისა და მისოს გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობაა. აუდიტის კომიტეტის მიზანია შიდა აუდიტისა და მისოს გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ასევე ის ფუნქციები, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებას, ფუნქციებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და მისოს დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო

აუდიტის კომიტეტი შემადგენლობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ვალერი ჩეჩელაშვილი (პ/ნ 01017001781) - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

ემიტენტის დირექტორები

კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორატი, რომელიც უზრუნველყოფს ემიტენტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, კოლექტიურად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომპანიის გენერალურ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო დირექტორატის სხვა წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით. კომპანიის დირექტორატი სხვა ფუნქციებთან ერთად აღასრულებს ემიტენტის ბიზნეს სტრატეგიებს, ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებს, ხელს უწყობს რისკის კულტურის შემუშავებას და დამკვიდრებას, პროცესებსა და კონტროლს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. დირექტორატი პასუხისმგებელია კომპანიის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განაწილებასა და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

კომპანიის დირექტორატი შედგება 4 წევრისგან - გენერალური დირექტორი, გაყიდვების დირექტორი, ოპერაციების დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მისი წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.

დირექტორატის წევრები:

წევრის სახელი და გვარი	პოზიცია	კომპანიაში დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
გია პეტრიაშვილი	გენერალური დირექტორი	2013 წელი	სექტემბერი, 2027
გიორგი ღვალაძე	გაყიდვების დირექტორი	2013 წელი	სექტემბერი, 2027
ეთერ ჩაჩიბაია	ოპერაციების დირექტორი	2013 წელი	სექტემბერი, 2027
ნინო დევდარიანი	რისკების დირექტორი	2016 წელი	სექტემბერი, 2027

გია პეტრიაშვილი - გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილს 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს როგორც საბანკო, ისე სხვა სფეროებში. მან პარტნიორობთან ერთად 2013 წელს დააარსა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი და მას შემდეგ გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებს. ფლობს ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის ხარისხს (MSU, რუსეთი). 2006-2024 წლებში ის იკავებდა შპს „კოფეინის“ დირექტორის პოზიციას. 2019 წლიდან დღემდე გია პეტრიაშვილი ასევე არის სს „ნიკორა ტრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

გიორგი ღვალაძე - გაყიდვების დირექტორი

გიორგი ღვალაძე კომპანიას 2013 წელს შეუერთდა. მას 18 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვს საბანკო სექტორში. MBC-ში მისვლამდე ის ბანკ კონსტანტაში მუშაობდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე. ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (CAC, საქართველო). 2018-2023 წლებში გიორგი ღვალაძე იკავებდა შპს „პარადიგმას“ დირექტორის პოზიციას. 2013-2024 წლებში წარმოადგენდა შპს „პროცენტის“ დირექტორს.

ეთერ ჩაჩიბაია - ოპერაციების დირექტორი

ეთერ ჩაჩიბაია კომპანიას 2013 წელს შეუერთდა. ეთერს 18 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს საბანკო-საფინანსო სფეროში; იგი მუშაობდა ბაზისბანკსა და HSBC-ბანკ საქართველოში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე საოპერაციო, საცალო და კორპორატიული მომსახურების მიმართულებით. ფლობს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს (TSU, საქართველო).

ნინო დევდარიანი - რისკების დირექტორი ნინო დევდარიანი MBC-ს გუნდს 2016 წლიდან შეუერთდა. ნინოს 15 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს რისკების მართვის მიმართულებით, ისეთ წამყვან

ორგანიზაციებში როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ფლობს მაგისტრის ხარისხს ეკონომიკაში (Williams College, აშშ). ნინო დევდარიანი წარმოადგენს საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტის წევრებისა და და 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორების/აქციონერების სამუშაო პოზიციები, იმ კომპანიებში, რომელთა მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრიც იყო აღნიშნული პიროვნება ბოლო 5 წლის განმავლობაში, სრულად არის წარმოდგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის წევრებს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმოდგენილის გარდა სხვა სამუშაო გამოცდილება არ ჰქონიათ.

სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტის წევრებისა და 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორების/აქციონერების ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკავებული პოზიციების (მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრობა) შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ:

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის გაა პეტრიაშვილი:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	404967078	იურიდიული პირი	გენერალური დირექტორი
სს "ნიკორა ტრეიდი"	206255808	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
შპს "კოფეინი"	204519725	იურიდიული პირი	დირექტორი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის ოთარ რუხაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
შპს "ინფო"	211326554	იურიდიული პირი	დირექტორი
შპს "მარანა 2015"	405110570	იურიდიული პირი	დირექტორი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის მურმან ამბროლაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	404967078	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
შპს "ამბრო-ფროფერტი"	404959648	იურიდიული პირი	დირექტორი
შპს "ამბრო-სოფთი"	405123281	იურიდიული პირი	დირექტორი

თენგიზ მაზიაშვილი ზემოხსენებულ პოზიციებზე არ ყოფილა წარმოდგენილი სხვა კომპანიაში.

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის გიორგი ვაჩნაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
შპს "ბაზისი"	204412304	იურიდიული პირი	დირექტორი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის ტარას ნიჟარაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	404967078	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
შპს "სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო VI"	404591394	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
შპს "ბახვი 2"	405121595	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
სს "ნიკორა ტრეიდი"	206255808	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"	404997232	იურიდიული პირი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
შპს "ენერგო-არაგვი"	204515177	იურიდიული პირი	დირექტორი
შპს "სითიუს"	202195061	იურიდიული პირი	დირექტორი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის გოდერძი მელაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
ა(ა)იპ სამართლიანი, ეფექტიანი რეფორმები	400071088	იურიდიული პირი	გამგეობის წევრი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის გიორგი გოთოშია:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
შპს "ნიუტელკო ჯორჯია"	404936192	იურიდიული პირი	დირექტორი
შპს "რეველიო"	405627095	იურიდიული პირი	დირექტორი
რკ "კოლხური თხილი"	405140342	იურიდიული პირი	დირექტორი

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის გიორგი ღვალაძე:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	404967078	იურიდიული პირი	გაყიდვების დირექტორი
შპს "პროცენტ"	406083269	იურიდიული პირი	დირექტორი

ეთერ ჩაჩიბაია ზემოხსენებულ პოზიციებზე არ ყოფილა წარმოდგენილი სხვა კომპანიაში.

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის ნინო დევდარიანი:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
ა(ა)იპ "საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია"	204572612	იურიდიული პირი	გამგეობის თავმჯდომარე

კომპანიები, რომლებშიც ზემოხსენებულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო/არის ვალერი ჩეჩელაშვილი:

სახელი / სახელწოდება	ს/კ	ფიზიკური პირი / იურიდიული პირი	კავშირის ტიპი
ა(ა)იპ "საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი"	404525545	იურიდიული პირი	გეოპოლიტიკური კვლევების ხელმძღვანელი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა იყო 33,177 ლარი, სადაზღვეო ბენეფიტები ჯამურად 6,206 ლარი.

მენეჯმენტის წევრებისთვის (დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო) გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა 2023 წელს იყო 1,289 ათასი ლარი.

დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ამოწურვის ვადა არის 2027 წლის სექტემბერი.

დირექტორატის წევრებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, კომპანიის მენეჯმენტსა და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია/აქვს.

ამ პირებთან დაკავშირებით არ არსებობს შეზღუდვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით.

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი მენეჯმენტის / მმართველი ორგანოს არცერთი წევრი და 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე არცერთი პარტნიორი/აქციონერი წინა ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლავი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა); ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასოდეს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს) არ გააჩნიათ განსხვავებული ხმის უფლებები.

ემიტენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის გარიგება, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

თანამშრომლები

კომპანია 2023 წლის მდგომარეობით 237, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით 248 თანამშრომელს აერთიანებდა. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას 249-მდე თანამშრომელი ჰყავს.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე);

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსი და ტრანზაქციები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოადგენდა:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე	მენეჯმენტი
სუბორდინირებული ვალდებულებები	4,243	1127	-
სხვა სასესხო ვალდებულებები	432	533	-
საიჯარო ვალდებულება	-	2830	-
მოკლევადიანი ანაზღაურება	-	-	-245
საპროცენტო ხარჯი	-435	-132	-

დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსი და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა:

	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	სხვა დაკავშირებული მხარე
სხვა აქტივები	-	1,009	-
სუბორდინირებული სესხები	4,243	1,079	-
სხვა ნასესხები თანხები	924	311	-
საიჯარო ვალდებულებები	-	2,641	-
სხვა ვალდებულებები	-	-	19

საკომისიო შემოსავალი	-	34	-
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	354	-
წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	-	-	(847)
საპროცენტო ხარჯი	(474)	(261)	-

დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსი და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა:

	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	სხვა დაკავშირებული მხარე
სუბორდინირებული სესხები	4,873	-	-
სხვა ნასესხები თანხები	1,183	683	-
საიჯარო ვალდებულებები	-	2,992	-
სხვა ვალდებულებები	1	-	49
საკომისიო შემოსავალი	-	34	-
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	-	(972)
წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	-	2,827	-
საპროცენტო ხარჯი	(524)	(289)	-

დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიის დივიდენდების პოლიტიკის თანახმად, ფინანსური წლის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში, საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების თაობაზე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების განაწილების თაობაზე წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო წარუდგენს საერთო კრებას შეთანხმებულ წინადადებას, ხოლო აღნიშნულ საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო საერთო კრებას წარუდგენენ დამოუკიდებელ წინადადებებს.

მოგების განაწილების საკითხი მტკიცდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

კომპანიის წმინდა მოგება გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი მიზნებისათვის და შემდეგი რიგითობით:

- გასული წლის ზარალის დაფარვა;
- კომპანიის რეზერვების შევსება და გაუნაწილებელი მოგების გაზრდა;
- დივიდენდების გადახდა პრივილეგირებულ აქციებზე;
- დივიდენდების გადახდა ჩვეულებრივ აქციებზე.

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები გაიცემა წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წელს, აქციონერთა მორიგი კრების გადაწყვეტილებით, კრების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. დაუშვებელია ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გადახდა, თუ არ ხდება პრივილეგირებული აქციების დივიდენდის გადახდა.

პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდი გაიცემა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით წელიწადში ორჯერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდის გადავადების ან დივიდენდის არ გადახდის შესახებ. წლიური დივიდენდი გაიცემა შუალედური და საბოლოო დივიდენდის სახით. შუალედური დივიდენდი გაიცემა საანგარიშო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო საბოლოო დივიდენდი გაიცემა აქციონერთა მორიგი კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. შუალედური და საბოლოო დივიდენდის გადახდის კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორატი ვალდებულია უზრუნველყოს პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერთა ინფორმირება დივიდენდის გადახდის თარიღის შესახებ ან შეატყობინოს მათ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება, პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდის გადავადების ან დივიდენდის არ გადახდის შესახებ.

პრივილეგირებულ აქციებზე შუალედური და საბოლოო დივიდენდის გაცემა არ საჭიროებს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებას.

“A” კლასის პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდა ხდება ცვლადი განაკვეთით, რომელიც შედგება შემდეგი 2 (ორი) კომპონენტის ჯამისგან: ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა (შემდეგ მოხსენიებული, როგორც „რეფინანსირების განაკვეთი“) და ბ) აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული საპროცენტო კომპონენტისაგან (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „საპროცენტო კომპონენტი“).

“B” კლასის პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდა ხდება ფიქსირებული განაკვეთით, რომელსაც ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება.

“A” კლასის პრივილეგირებული აქციების დივიდენდის ცვლადი განაკვეთის საპროცენტო კომპონენტი ან/და “B” კლასის პრივილეგირებული აქციების დივიდენდის ფიქსირებული განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით.

“A” კლასის პრივილეგირებულ აქციებზე შუალედური ან საბოლოო დივიდენდის ცვლადი განაკვეთის დაანგარიშებისას გამოიყენება ის რეფინანსირების განაკვეთი, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი იყო, შესაბამისად, შუალედური, ან საბოლოო დივიდენდის დაანგარიშების პერიოდის ყოველი თვის საწყისი (პირველი) დღისათვის.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- პრივილეგირებულ აქციებზე შუალედური დივიდენდის გადახდის გადავადების თაობაზე, ამ შემთხვევაში, ხდება გადავადებული დივიდენდის აკუმულირება და მისი გადახდა საბოლოო დივიდენდის გადახდასთან ერთად;
- პრივილეგირებულ აქციებზე საბოლოო და აკუმულირებული შუალედური დივიდენდის გადახდის გადავადების თაობაზე, ერთ წლამდე ვადით;
- პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის არ გადახდის თაობაზე;
- პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის ნაწილობრივ (არასრულად) გადახდის თაობაზე.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია (მაგრამ არა ვალდებული) ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებები მიიღოს მათ შორის (და არა მარტო) შემდეგი პირობების არსებობისას:

- მისომ საანგარიშო წელი დაასრულა ზარალით ან მისოს საანგარიშო წლის მოგება არ არის საკმარისი პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის სრულად გადასახდელად;
- კანონმდებლობის, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მისოს მოეთხოვება დივიდენდის გადავადება, არასრულად გადახდა ან არ გადახდა;
- დივიდენდის გადახდა გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილი საზედამხედველო შეზღუდვების დარღვევას;
- დივიდენდის გადახდა გამოიწვევს მისოს მიერ აღებული სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას.

იმ შემთხვევაში, თუ პრივილეგირებულ აქციებზე არ მოხდება დივიდენდის გადახდა, ან მოხდება დივიდენდის არასრულად გადახდა, გადაუხდელი დივიდენდი არ აკუმულირდება და არ მოხდება მისი გადახდა დივიდენდის მომდევნო გადახდასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლასის პრივილეგირებულ აქციებზე 2-ჯერ ზედიზედ მოხდება დივიდენდის გადახდის გადავადება, ან არ მოხდება დივიდენდის გადახდა, მოხდება დივიდენდის არასრულად გადახდა, ან მოხდება "A" კლასის პრივილეგირებული აქციების დივიდენდის საპროცენტო კომპონენტის, ან "B" კლასის პრივილეგირებული აქციების დივიდენდის ფიქსირებული განაკვეთის შემცირება 20%-ზე მეტით, ან აღნიშნული განაკვეთების შემცირება მოხდება წინა შემცირებიდან ოთხ წელზე უფრო ადრე, მაშინ შესაბამისი კლასის პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერს წარმოეშობა უფლება მოითხოვოს მისი კუთვნილი შესაბამისი კლასის პრივილეგირებული აქციების ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაცია (გადაცვლა). აღნიშნული უფლების გამოყენების შესახებ, პრივილეგირებული აქციების მფლობელმა აქციონერმა უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს, უფლების წარმოშობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

პრივილეგირებული აქციების კონვერტაციისას, ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, რომელშიც მოხდება ერთი ცალი პრივილეგირებული აქციის გადაცვლა გამოითვლება შემდეგი წესით:

- ერთი პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულების ექვივალენტი ლარში (კონვერტაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით) უნდა გაიყოს ერთი ჩვეულებრივი აქციის მიმდინარე ღირებულებაზე;
- აქციების კონვერტაციის მიზნებისთვის, ჩვეულებრივი აქციის მიმდინარე ღირებულება გამოითვლება შემდეგი წესით: კონვერტაციის მომენტისათვის, საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილ უკანასკნელ ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ მთლიან კაპიტალს უნდა გამოაკლდეს განაღდებული პრივილეგირებული აქციების ნომინალური ღირებულების ექვივალენტი ლარში (ხსენებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით) და მიღებული სხვაობა უნდა გაიყოს განაღდებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაზე.

საჭიროების შემთხვევაში, აქციების კონვერტაციის მიზნით, მისომ უნდა განახორციელოს შესაბამისი რაოდენობის ჩვეულებრივი აქციების ემისია.

პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გაცემის შესახებ წესდების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აქციონერი უფლებამოსილია მიიღოს შუალედური ან/და საბოლოო დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებულ პრივილეგირებულ აქციებზე, თუ პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გაცემა ხდება იმ პერიოდზე, რა პერიოდის განმავლობაშიც აქციონერი ფლობდა პრივილეგირებულ აქციას, ჩვეულებრივ აქციებში მათ კონვერტაციამდე.

სასამართლო პროცესები

კომპანიის მიერ სასამართლოში შეტანილი დავები

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, აწარმოებს საქმეებს სასამართლოში პრობლემური სესხების ამოღების მიზნით, სარჩელის შეტანით ან/და პრობლემურ სესხებთან დაკავშირებით კლიენტების სარჩელებზე მოპასუხის პოზიციიდან. ემიტენტს არ აქვს კომპანიის წინააღმდეგ აღძრული აქტიური სასამართლო დავები.

MBC-ს მიერ მსგავს შემთხვევებზე უკვე წარმოებული და დასრულებული სასამართლო საქმეების სტატისტიკიდან გამომდინარე, თითქმის 100%-იანი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ყველა დავა ემიტენტის სასარგებლოდ დასრულდება. არსებობს დაახლოებით 20%-იანი ალბათობა იმისა, რომ ზოგიერთ საქმეზე სასამართლომ შეამციროს კომპანიის მიერ მევალეებისთვის მოთხოვნილი თანხები ჯარიმების ნაწილში, თუმცა ძირითად თანხა და პროცენტი კლიენტებს სრულად დაეკისრებათ. 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით პრობლემურ სესხებთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლოს დავებში დავის საგნის ღირებულების მიახლოებითი ჯამური ოდენობა შეადგენს 1,067,000 ლარს, ხოლო ასეთი დავების რაოდენობა შეადგენს 55 სასამართლო დავას. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

2024 წლის დეკემბერში კომპანიამ მიიღო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია და იგი 2024 წლის ბოლომდე ოფიციალურად მიკრობანკის სტატუსით გააგრძელებს ოპერირებას.

გარდა პროსპექტში გამჟღავნებული და ზემოხსენებული ინფორმაციისა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ, 2024 წლის 30 ივნისის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება.

კომპანიას, ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე, არ აქვს მატერიალური ხელშეკრულებები გარდა „ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვის“ თავში გამჟღავნებული ინფორმაციისა.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი, სააქციო პრემია და პრივილეგირებული აქციები 2,254 ათასი ლარი, 1,136 ათასი ლარი და 6,989 იყო, შესაბამისად. კომპანიას გამოშვებული აქვს 2,400 ათასი ჩვეულებრივი აქცია და 400,000 A კლასის და 1,220 B კლასის პრივილეგირებული აქცია, თითო ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი, ხოლო პრივილეგირებული აქციის - 1,000 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარი).

აქციონერები იღებენ კომპანიის მიერ გამოცხადებულ დივიდენდებს და, ასევე, აქვთ ყოველ ჩვეულებრივ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება კომპანიის წლიურ და საერთო კრებებზე. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიამ გამოაცხადა 435 ათასი ლარის დივიდენდი, ხოლო 2023 წელს - 444 ათასი ლარის.

საზოგადოების კაპიტალის ცვლილება

საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით კომპანიას შეუძლია გამოუშვას აქციები (ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული) და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. ახალი აქციების გამოშვების ყველა პირობა ჩამოყალიბებული იქნება აქციათა გამოშვების და მათი ყიდვის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება კომპანიასა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც გამოხატავს ახალი აქციების ყიდვის სურვილს.

კომპანია უფლებამოსილია, აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით და ეროვნული ბანკის თანხმობის საფუძველზე, ნებისმიერ დროს, უკან გამოისყიდოს ნებისმიერი რაოდენობის პრივილეგირებული აქცია, ნებისმიერი აქციონერისგან. პრივილეგირებული აქციის უკან გამოსყიდვა მოხდება ნომინალური ღირებულებით.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა

აქციონერის მოვალეობები სააქციო საზოგადოებაში, აგრეთვე აქციონერთა ურთიერთვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და აქციონერთა შეთანხმებით. აქციონერის მიმართ საზოგადოების ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და აქციონერთა შეთანხმებით.

საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

აქციონერთა უფლებები

კომპანიის აქციონერებს უფლება აქვთ :

- მოითხოვოს მისოს საქმიანობასთან დაკავშირებული. კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით;
- შეიძინოს და გაასხვისოს აქციები წესდებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- განახორციელოს საკუთარი უფლებების (სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე დელეგირება, მინდობილობის საფუძველზე).

კომპანიის ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა მისოს მართვაში, აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის გზით. განახორციელოს აქციონერთა კრებაზე ხმის უფლება;

- საზოგადოებაში, თავისი წილის პროპორციულად, გამოიყენოს უპირატესი შესყიდვის უფლება, ახლად ემიტირებულ ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის და სხვა აქციონერის მიერ, ჩვეულებრივი აქციების გასხვისების შემთხვევაში;
- გამოიყენოს ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლება;
- მიიღოს ჩვეულებრივ აქციებზე განაწილებული დივიდენდი, საზოგადოებაში მისი წილის პროპორციულად.

კომპანიის პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერს უფლება აქვს:

- დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას (ხმის უფლების გარეშე);
- მიიღოს პრივილეგირებულ აქციებზე განაწილებული დივიდენდი, ამ წესდებით დადგენილი განაკვეთით და წესით.
- გამოიყენოს პრივილეგირებულ აქციების თანაგაყიდვის უფლება.

კომპანიის აქციონერი ვალდებულია :

- დაიცვას კომპანიის წესდება.
- იმოქმედოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- აქციების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად (დაგირავების) შემთხვევაში, მიიღოს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობა. თანხმობის მიღების მიზნით, აქციონერმა უნდა გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს : დეტალური ინფორმაცია მოგირავნეზე (კრედიტორზე) და იმ მხარეზე, ვის სასარგებლოდაც უნდა განხორციელდეს აქციების გირავნობა, ასევე, აქციების გირავნობის გარიგების სხვა მნიშვნელოვანი პირობები (ვალდებულების სახე, ფასები, მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა, ვადები და სხვ.) სამეთვალყურეო საბჭო 10 დღის ვადაში განიხილავს შეტყობინებას და აცნობებს აქციონერს თავის თანხმობას ან უარს. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე დადებული აქციების გირავნობის ხელშეკრულება ითვლება ბათილად და კომპანია უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

უპირატესი შესყიდვის უფლება

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი), რომელსაც აქვს საკუთარი ჩვეულებრივი აქციების გასხვისების სურვილი ვალდებულია უზრუნველყოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელი სხვა აქციონერების მიერ, ჩვეულებრივ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება, რა დროსაც მან უნდა იმოქმედოს „გაშლილი მკლავის პრინციპიდან“ გამომდინარე. ამ მიზნით, მან წერილობითი შეტყობინება უნდა გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: ჩვეულებრივი აქციების შეძენის მსურველ მხარეზე დეტალური ინფორმაცია, გასაყიდი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, ფასი, ასევე, ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის გარიგების მნიშვნელოვანი პირობები. სამეთვალყურეო საბჭო 10 დღის ვადაში უზრუნველყოფს ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერ(ებ)ის ინფორმირებას და მისთვის აღნიშნული შეტყობინების გადაგზავნას.

ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერმა შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი გადაწყვეტილება (ჩვეულებრივი აქციების უპირატეს შესყიდვაზე თანხმობა, ან უარი). ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ აქციონერი უარს აცხადებს ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე.

თუ ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის სურვილს გამოთქვამს ამ უფლების მქონე რამდენიმე აქციონერი, მათ უფლება აქვთ შეიძინონ გასაყიდი ჩვეულებრივი აქციები საზოგადოებაში მათი წილის პროპორციულად. ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება გასაყიდი ჩვეულებრივი აქციების შესაბამისი წილი და იმ აქციონერთა ჩვეულებრივი აქციების შესაბამისი წილები, რომლებიც არ იყენებენ ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებას.

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად), რომელიც განაცხადებს თანხმობას ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე და ჩვეულებრივი აქციების შეძენაზე, ვალდებულია შეისყიდოს გასაყიდი ჩვეულებრივი აქციები (გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება) 6.6. პუნქტში აღნიშნული 10 დღიანი ვადის ამოწურვიდან 1 თვის ვადაში და აცნობოს ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს.

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად), რომელიც გამოიყენებს ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებას, ვალდებულია შეისყიდოს ჩვეულებრივი აქციები წერილობით შეტყობინებაში მოყვანილი გარიგების პირობებით (ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, ფასი და სხვა მნიშვნელოვანი პირობები).

თუ ჩვეულებრივი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე არცერთმა აქციონერმა არ გამოიყენა აღნიშნული უფლება, ან აღნიშნული უფლების გამოყენებაზე თანხმობის განცხადების შემდეგ, არ შეიძინა აქციები 1 თვიან ვადაში, მაშინ ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის მსურველ აქციონერს უფლება აქვს მიყიდოს აქციები წერილობით შეტყობინებაში მითითებულ მხარეს, იმავე შეტყობინებაში მითითებული გარიგების პირობებით. ამასთან, ჩვეულებრივი აქციების შემძენი პირ(ებ)ი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით და ეროვნული ბანკის რეგულაციებით მიკრობანკის აქციონერისთვის დაწესებულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს და მიკრობანკის ნებისმიერ აქციონერს ან/და თავად მიკრობანკს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

აქციების თანაგაყიდვის უფლება

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად) რომელსაც აქვს ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტის (განადლებული ჩვეულებრივი აქციების 50%-ს დამატებული 1 ჩვეულებრივი აქცია) გასხვისების სურვილი, ვალდებულია უზრუნველყოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელი სხვა აქციონერების მიერ, ჩვეულებრივ აქციათა თანაგაყიდვის უფლების განხორციელება. ამ მიზნით, მან წერილობითი შეტყობინება უნდა გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენის მსურველ მხარეზე დეტალური ინფორმაცია, გასაყიდი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, ფასი, ასევე, ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის გარიგების მნიშვნელოვანი პირობები. სამეთვალყურეო საბჭო 10 დღის ვადაში უზრუნველყოფს ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლების მქონე აქციონერ(ებ)ის ინფორმირებას და მისთვის აღნიშნული შეტყობინების გადაგზავნას.

ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლების მქონე აქციონერმა შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი გადაწყვეტილება (ჩვეულებრივი აქციების

თანაგაყიდვაზე თანხმობა, ან უარი). ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ აქციონერი უარს აცხადებს ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლების გამოყენებაზე.

თითოეულ აქციონერს, რომელიც გამოთქვამს ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის სურვილს, უფლება აქვს ჩართოს გასაყიდი ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტში კუთვნილი ჩვეულებრივი აქციები (ჩაანაცვლოს გასაყიდ საკონტროლო პაკეტში არსებული ჩვეულებრივი აქციები კუთვნილი ჩვეულებრივი აქციებით), არაუმეტეს საზოგადოებაში მისი წილის პროპორციულად.

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად), რომელიც განაცხადებს თანხმობას ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლების გამოყენებაზე და ჩვეულებრივი აქციების გაყიდვაზე, ვალდებულია გაყიდოს შესაბამისი რაოდენობის ჩვეულებრივი აქციები (გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება) 10 დღიანი ვადის ამოწურვიდან 1 თვის ვადაში და აცნობოს ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს.

აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად), რომელიც გამოიყენებს ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლებას, ვალდებულია გაყიდოს ჩვეულებრივი აქციები წერილობით შეტყობინებაში მოყვანილი გარიგების პირობებით (ჩვეულებრივი აქციის ფასი და სხვა მნიშვნელოვანი პირობები).

თუ ჩვეულებრივი აქციების თანაგაყიდვის უფლების მქონე არცერთმა აქციონერმა არ გამოიყენა აღნიშნული უფლება, ან აღნიშნული უფლების გამოყენებაზე თანხმობის განცხადების შემდეგ, არ გაყიდა ჩვეულებრივი აქციები 1 თვიან ვადაში, მაშინ ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტის გაყიდვის მსურველ აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს ერთობლივად) უფლება აქვს მიყიდოს ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტი წერილობით შეტყობინებაში მითითებულ მხარეს, იმავე შეტყობინებაში მითითებული გარიგების პირობებით. ამასთან, ჩვეულებრივი აქციების შემძენი პირ(ებ)ი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით და ეროვნული ბანკის რეგულაციებით მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისთვის დაწესებულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს და მისოს ნებისმიერ აქციონერს ან/და თავად მისოს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივი აქციების მფლობელი აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი ერთობლივად), რომელიც ამავდროულად ფლობს პრივილეგირებულ აქციათა პაკეტს, გამოთქვამს სურვილს ჩვეულებრივი აქციების საკონტროლო პაკეტთან ერთად გაასხვისოს რომელიმე კლასის პრივილეგირებული აქციების პაკეტიც, ის ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი კლასის პრივილეგირებული აქციების თანაგაყიდვის უფლების განხორციელება იმავე კლასის პრივილეგირებული აქციის მფლობელი აქციონერის მიერ. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ აქციონერს, რომელიც გამოთქვამს შესაბამისი კლასის პრივილეგირებული აქციების თანაგაყიდვის სურვილს, უფლება აქვს ჩართოს (ჩაანაცვლოს) გასაყიდ პრივილეგირებული აქციების პაკეტში მისი კუთვნილი პრივილეგირებული აქციები, არაუმეტეს საზოგადოების შესაბამისი კლასის პრივილეგირებულ აქციათა საერთო პაკეტში მათი კუთვნილი პრივილეგირებული აქციების წილის პროპორციულად.

პრივილეგირებული აქციის თანაგაყიდვის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს ჩვეულებრივი აქციის თანაგაყიდვის უფლების განხორციელებისთვის გათვალისწინებული წესების და ვადების დაცვით.

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა):

- სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ფინანსური ანგარიშგებები;
- კომპანიის წესდება B24096419;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (B24112609);
- „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევების დეპარტამენტი (www.gt.ge)
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის;

ზემოთ მოცემული დოკუმენტები გასაჯაროებულია ჩამონათვალში მითითებულ მისამართებზე, გარდა კონფიდენციალური დოკუმენტებისა (ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის, ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის).

ფასიანი ქალაქების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იყო უარყოფითი 6,462 ათასი ლარი (31/12/2023: -15,499 ლარი). 2024 წლის მეორე ნახევარში, კომპანიას დაგეგმილი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან 25 მილიონი ლარის ექვივალენტი, გრძელვადიანი სესხების მიღება, რომელიც ნომინირებული იქნება აშშ დოლარში. სექტემბრისთვის მდგომარეობით, აღნიშნული გეგმიდან, უკვე მიღებულია 9.5 მილიონი ლარის ექვივალენტი სესხები. ამავდროულად, კომპანია 2024 წლის ბოლომდე გამოუშვებს 30 მილიონი ლარის გრძელვადიან ობლიგაციებს, რომლითაც მოხდება არსებული ვადადამდგარი ობლიგაციების დასაფარად აღებული შუალედური სესხების (ე.წ. bridge loan) და სხვა სასესხო ვალდებულებების დაფარვა). აღნიშნული ცვლილებების შემდგომ კომპანიის საბრუნავი კაპიტალი იქნება საკმარისი მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება ვადამოსული ობლიგაციების რეფინანსირება, არსებული 15 მილიონ ლარიანი ვადადამდგარი ობლიგაციების დაფარვა მოხდება საერთაშორისო ინვესტორებისგან მოზიდული სესხებითა და ქართულ კომერციულ ბანკებში არსებული საკრედიტო ხაზების ათვისებით. გასათავსებელი ობლიგაციებიდან დარჩენილი 15 მილიონი ლარით, კომპანია გეგმავს არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას ქართულ კომერციულ ბანკებში, რომელთა ვადაც ეტაპობრივად იწყება 2025 წელს. აღნიშნულ სესხებზე კომპანია აწარმოებს ბანკებთან მოლაპარაკებას და საჭიროების შემთხვევაში გააკეთებს სესხების პროლონგაციას.

მონაწილე მხარეთა ინტერესის აღწერა შეთავაზებაში

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
სს „გალტ ენდ თაგარტი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „გალტ ენდ თაგარტი“, შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქალაქების განთავსებაში და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან, კერძოდ, განთავსების აგენტის და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „საქართველოს ბანკის“

			<p>ჯგუფი“ („Bank of Georgia Group PLC“). ამავედროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“.</p> <p>ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის.</p>
--	--	--	--

ობლიგაციების გამოშვების პირობები

„ობლიგაციები“ ისარგებლებენ ქვემოთ მოცემული პირობებით:

„ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა და ნომინალური ღირებულება „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად შეადგენს ჯამურად 30,000,000 ლარამდე. „ობლიგაციები“ გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს კრების 2024 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებების საფუძველზე. „ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“).

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიისა“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“ - როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტს - შორის (შემდგომში - „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“). თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში - „შეთავაზების პერიოდი“).

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ცენტრალურ დეპოზიტარში ან ანგარიშის მწარმოებელთან არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ / ინვესტორისთვის გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ ინვესტორის წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ დეპოზიტარში ან ანგარიშის მწარმოებელთან არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ინვესტორ(ებ)ის ობლიგაცი(ებ)ი.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

ობლიგაციების შეთავაზებას ემიტენტის სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს განთავსების აგენტი. „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ემიტენტი ახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება ლარში დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას. თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტები“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „ხელმოწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმოწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამომშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. „პირობების“ 2(ე) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

„ემიტენტისთვის“ ჯერჯერობით არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5

(ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტების“ სტანდარტული პროცედურით.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილიშეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

(ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო შეთავაზების პერიოდში („პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებიდან საბოლოო „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

(გ) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება ობლიგაცი(ებ)ის დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდგომ შემდეგისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ ობლიგაციების განთავსების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

(დ) ფასის დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ „პირობების“ 2(ა) ქვექვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

(ე) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტების“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდნიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორ(ებ)ი“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტებთან“. ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმოწერ ინვესტორთა“ ან/და პოტენციურ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე.

„ემიტენტი“ არ მოახდენს წინამდებარე „პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესამენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ „გამოშვების თარიღზე“ არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტში.

თუ „საბოლოო პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში ემიტენტი ეროვნულ ბანკს წარუდგენს და გასაჯაროებს ინფორმაციას შეთავაზების და განთავსების შედეგების შესახებ.

3. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს ემიტენტის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. „ობლიგაციებს“ ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული და „ობლიგაციების პირობებიდან“ გამომდინარე ემიტენტისადმი მოთხოვნები ყოველთვის იქნება ემიტენტის სხვა დანარჩენი არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების თანაბარი გადახდევის ნაწილში („პირობების“ 5(ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით), გარდა იმგვარი მოთხოვნებისა, რომელთაც კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩიათ უპირატესობა.

საქართველოს კანონის „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მიკრობანკისთვის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში იწყება მისი ლიკვიდაცია. „მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №121/04 ბრძანების შესაბამისად, „კომპანიის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების რიგითობით:

არ არის უპირატესი დეპოზიტარების, უზრუნველყოფილი კრედიტორების, კომპანიის ნებისმიერ ამჟამინდელი ან მომავალი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც კანონით ან/და მისი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებზე.

უპირატესია „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე და „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც კლასიფიცირდება კომპანიის კაპიტალის პირველად და მეორად ინსტრუმენტად ან რომლებიც კანონით ან/და მათი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

4. ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

5. დათქმები

(ა) “უზრუნველყოფის ღონისძიების” წარმოშობის შეზღუდვა:

„ობლიგაციების“ „დაფარვამდე“ „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მოახდინოს მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე “უზრუნველყოფის ღონისძიების” (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალავს არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებებს ამასთანავე გააჩნიათ ამგვარი სხვა „ვალდებულების“ სულ მცირე თანაბარი უზრუნველყოფები, ან ასეთი უზრუნველყოფა ხელსაყრელია ან სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დამტკიცებული სხვა უზრუნველყოფის საშუალებებით და პირობებით.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

(I) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(II) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“ და ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

(I) “ემიტენტი” უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 85%-ს (ოთხმოცდახუთ პროცენტს), არ განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

(i) ზემოხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ და გამომდინარე ყველა არსებით უფლებას და ვალდებულებას იმ აუცილებელი პირობების/სტანდარტების გათვალისწინებით, რაც

საჭიროა ამგვარი უფლებებისა და ვალდებულებების „სამართალმემკვიდრისთვის“ გადაკისრების ნამდვილობისთვის; და

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(iv) „ემინენტის“ მიერ მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომერციული ბანკის, მიკრო ბანკის ან/და მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ფინანსური ინსტიტუტის (ორგანიზაციის) ლიცენზიის მიღება და ამ ფინანსური ინსტიტუტისათვის (ორგანიზაციისათვის) კანონით ნებადართული საქმიანობის განხორციელება;

(II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 85%-ს (ოთხმოცდახუთ პროცენტს), „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „სამართალმემკვიდრე“; ან

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „მნიშვნელოვანი შვილობილი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოთხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(iv) „ემინენტის“ მიერ მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომერციული ბანკის, მიკრო ბანკის ან/და მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ფინანსური ინსტიტუტის (ორგანიზაციის) ლიცენზიის მიღება და ამ ფინანსური ინსტიტუტისათვის (ორგანიზაციისათვის) კანონით ნებადართული საქმიანობის განხორციელება;

(III) მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენტთან“ ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „მნიშვნელოვანი შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან

არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა.

(IV) მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ) ქვეპუნქტი არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტს“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარად განკარგვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(დ) გასხვისება:

(I) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტის („შერწყმა“) და 5(ე) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად და გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები ან შემოსავლები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან მისი „შვილობილისა“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

- (1) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან ან/და ტრანზაქციასთან ერთობლიობასთან მიმართებით, როდესაც ჯამურად ხდება უკანასკნელი ორი ნახევარწლიური „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების ან შემოსავლების 10%-ზე (ათ პროცენტზე) მეტის გასხვისება, „ემიტენტი“ ვალდებულია ობლიგაციონერებს მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; და
- (2) ნებისმიერ ასეთ ტრანზაქციასთან მიმართებით, „ემიტენტი“ მოიპოვებს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარ წერილობით თანხმობას, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 85%-ს (ოთხმოცდახუთ პროცენტს).

(II) ამავდროულად, წინამდებარე 5(დ) ქვეპუნქტი არ შეეხება შემდეგს:

- (i) ტრანზაქციებს „ემიტენტს“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის;
- (ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;
- (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს);

(iv) ნებისმიერ გასხვისების გარიგებას, რომლისგან მიღებული წმინდა შემოსულობის ჯამური ოდენობაც არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს), „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“ (ან ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შესაბამისაა „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) „ემიტენტსა“ და მის 100%-იან „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

(დ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება;

(ე) დროდადრო დადებული „ჰეჯირების ვალდებულებები“ კეთილსინდისიერი ჰეჯირების მიზნებისთვის და არა „ემიტენტის“ და „მნიშვნელოვანი შვილობილების“ სპეკულაციური მიზნებისთვის და ნებისმიერი „ჰეჯირების ვალდებულებების“ შეწყვეტის მიზნით;

(ვ) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი

ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“, როგორც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ);

(IV) „ემიტენტი“ არ განახორციელებს და უზრუნველყოფს, რომ მისი არცერთი „შვილობილი“ არ განახორციელებს, აღნიშნული „პირობების“ 5(ე) მუხლის (I-III) ქვეპუნქტებში აღწერილი ტრანზაქციასა თუ ტრანზაქციების ერთობლიობას, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ჯამური აქტივების 10%-ს, იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლების“) წინასწარ წერილობით თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 85%-ს (ოთხმოცდახუთ პროცენტს).

(გ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:

„ემიტენტმა“ და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ ან დაკისრებულია მათ შემოსავალზე, მოგებაზე ან ქონებაზე, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ მოეთხოვებათ „გადასახადების“ ან მსგავსი მოთხოვნების გადახდა, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი თანხა, სხვა ასეთ დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 1%-ს (ერთ პროცენტს).

(ზ) აკრძალული გადახდები:

(I) ემიტენტმა არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ არ) (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით) მათ შორის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების ფარგლებში, გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია პუნქტებით (ზ.1) ან (ზ.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

(i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;

(ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

- (ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“ და დაკორექტირებული იქნება საკუროსო სხვაობით გამოწვეული შემოსავლით/ზარალით) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2022 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და
- (ბ) ემიტენტის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი „ვალდებულებების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(II) 5 (ზ) I პირობა არ გავრცელდება ისეთ „აკრძალულ გადახდაზე“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში, რომლის ჯამური მოცულობა არ აღემატება 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათას) ლარს და ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და ამგვარი „აკრძალული გადახდა“ არ უნდა დაფინანსდეს „ვალდებულებით.“

(თ) „ვალდებულება“

- 1) ემიტენტი არ დაუშვებს, მან (ემიტენტმა) ან რომელიმე მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დაიკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „სასესხო ვალდებულებაზე“ თუ:
 - ა) ფინანსური ვალდებულება გამოიწვევს დეფოლტის შემთხვევის დადგომას; ან
 - ბ) ემიტენტისა და მისი შვილობილების კონსოლიდირებული წმინდა ფინანსური ვალდებულებები, ახალი ვალდებულების აღების მომენტში (მას შემდეგ რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებას) გაყოფილი მთლიან კაპიტალზე უახლესი ფისკალური კვარტლისთვის აღემატება 4-ის 1-ზე განაყოფს შემდგომი წლებისათვის ობლიგაციების ვადის გასვლამდე. აღნიშნული კოეფიციენტის დათვლის მიზნებისთვის, ემიტენტის სუბორდინირებული სასესხო ვალდებულებები ჩაითვლება მთლიან კაპიტალში.
- 2) ნებადართულია შემდეგი ფინანსური ვალდებულებები რომელსაც არ ეხება (თ) პუნქტში არსებული დათქმა:
 - (i) ემიტენტსა და მისი „შვილობილს“ შორის ვალდებულება და ემიტენტის შვილობილებს შორის ვალდებულება.

(ი) ინფორმაციის გამჟღავნება:

- (I) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას:
 - (i) ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 ივნისისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა“ და „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს „ემიტენტის“ აუდიტირებული წლიური ანგარიშგება;
 - (ii) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ სტანდარტებისა და „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს განვლილი 6 (ექვსი) თვის „ემიტენტის“ არააუდიტირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება;
 - (iii) დაიცვას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობით“ და მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო

ვალდებულებები (მათ შორის, არასაბანკო ზეამხედველობის ფარგლებში დადგენილი მოთხოვნები);

(iv) დაიცვას, ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №113/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნები.

(II) ამ მუხლის მე-5(ი)(i) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ჩაითვლება, რომ „ემიტენტმა“ „ობლიგაციონერებს“ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღნიშნულ ინფორმაცია გასაჯაროვდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

(III) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ს ან მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისგან“ წერილობით მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) კანონთან შესაბამისობა:

ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(ლ) საქმიანობის ცვლილება:

ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამოშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

6. საპროცენტო სარგებელი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თუ არ იქნა ვადამდე გამოსყიდული/გაუქმებული/დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ ერიცხება 3 (სამ) თვეში ერთხელ (პერიოდის ბოლოს) გადასახდელი საპროცენტო სარგებელი, რომელიც გადახდელ უნდა იქნეს „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღებში. ამ „პირობებში“ გათვალისწინებული თითოეული პროცენტის გადახდის თარიღი შემდგომში მოიხსენიება, როგორც „**პროცენტის გადახდის თარიღი**“.

„ობლიგაციებზე“ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი „დაფარვის თარიღამდე“ / გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით

მანამ, სანამ ამგვარი „ობლიგაციაზე“ გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე.

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

(ბ) პროცენტის გადახდა:

„ობლიგაციებზე“ შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გამოსყიდვის ვადის დადგომისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ არასამართლიანად ხდება „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნების ხელის შეშლა ან უარყოფა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება მანამ, სანამ (i) ფაქტობრივად მოხდება ობლიგაციების გამოსყიდვა ან (ii) შეტყობინება გაიგზავნება „ობლიგაციონერებთან“ იმის შესახებ, რომ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხები გადაეცა „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“, რომელიც ამ ორი პირობიდან უფრო ადრე მოხდება.

(დ) საპროცენტო განაკვეთი:

(დ.ა.) „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის (კუპონის) განაკვეთს წარმოადგენს ბენჩმარკის მაჩვენებელი, რომელიც შედგება (1) „TIBR3M“-ისა (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), ან, „TIBR3M“-ის არ არსებობის/გაუქმების შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად გამოთვლილი ალტერნატიული ბენჩმარკისა, და (2) შესაბამისი პერიოდის „საკრედიტო რეიტინგის პროცენტის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) ჯამისგან (აღნიშნული წესის შესაბამისად გამოთვლილი საპროცენტო სარგებელი დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „საპროცენტო განაკვეთი“).

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „საპროცენტო განაკვეთის“ პირველი კომპონენტი („TIBR3M“) სრულად არის დამოკიდებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ხოლო მეორე კომპონენტი („საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“) სრულად არის დამოკიდებული „სააღრიცხვო თარიღისთვის“, ანუ გამოთვლის დღისთვის, „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელზე.

(დ.ბ.) „TIBR3M“ განაკვეთი

„TIBR3M“ განაკვეთი, წარმოადგენს ლარში დენომინირებულ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთს. „TIBR3M“ განაკვეთზე დეტალური ინფორმაციის და მისი გაანგარიშების წესის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/>. „TIBR3M“ განაკვეთი განახლებადი განაკვეთია და ის ახლდება სამ თვეში ერთხელ. ამასთან: (ა) პროსპექტის დამტკიცების მომენტისათვის „TIBR3M“ განაკვეთი შეესაბამება პროსპექტის დამტკიცების თარიღამდე 2 (ორი) საბანკო დღით ადრე დაფიქსირებულ „TIBR“-ის განაკვეთს. „TIBR3M“ განაკვეთის განახლების პერიოდი აითვლება პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან. „TIBR3M“ განაკვეთის განახლებისას განახლებული „TIBR3M“ განაკვეთის მოცულობა შეესაბამება განახლების თარიღამდე 2 (ორი) საბანკო დღით ადრე დაფიქსირებულ „TIBR3M“-ის განაკვეთს. თუ „TIBR3M“ განაკვეთის განახლების თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს „TIBR3M“ განაკვეთის განახლება მოხდება მომდევნო საბანკო დღეს, წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული „TIBR3M“ განაკვეთის განახლების თარიღისა და განახლების პერიოდის შეუცვლელად.

(დ.გ.) ალტერნატიული ბენჩმარკი

„ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობები“ ნიშნავს ქვემოთ აღწერილ ალტერნატიულ ბენჩმარკს:

თუ რომელიმე შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღთან“ დაკავშირებით, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ადგენს, რომ „TIBR3M“ არ არის ხელმისაწვდომი რაიმე მიზეზით თბილისის დროით შუადღის 12:00 საათამდე შესაბამის ვებ-გვერდზე ან ჩამნაცვლებელ ვებ-გვერდზე (როგორც შესაბამისია), მაშინ ბენჩმარკი იქნება ე.წ. „რთული TIBR“, რომელიც გამოითვლება შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღში“ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ შემდეგი ფორმულის მიხედვით, და შედეგად მიღებული პროცენტი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ:

$$\left[\prod_{i=1}^{d_0} \left(1 + \frac{TIBR_i \times n_i}{365} \right) - 1 \right] \times \frac{365}{d}$$

სადაც:

„d“ არის კალენდარული დღეების რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„d₀“ არის „თბილისის სამუშაო დღეების“ რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„i“ არის მთელი რიცხვების სერია ერთიდან d₀-მდე, თითოეული წარმოადგენს შესაბამის „თბილისის სამუშაო დღეს“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოიცავს პირველ „თბილისის სამუშაო დღეს“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„n_i“ ნებისმიერი „თბილისის სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას ასეთი „i“ დღიდან და ჩათვლით მომდევნო „თბილისის სამუშაო დღემდე“ ამ უკანასკნელის გამოკლებით.

„TIBR_i“ ნიშნავს TIBR-ს „თბილისის სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ (და გამოქვეყნებულია მომდევნო „თბილისის სამუშაო დღეს“).

„TIBR“ ნებისმიერ „თბილისის სამუშაო დღესთან“ მიმართებით, არის განაკვეთი, რომელიც ტოლია ამ „თბილისის სამუშაო დღისთვის“ თბილისის დღიური ბანკთაშორისი განაკვეთის (TIBR), რომელიც მოცემულია „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანზე“ და ნაჩვენებია მომდევნო „თბილისის სამუშაო დღეს“ ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს მითითებულია „ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე“, ასეთი „თბილისის სამუშაო დღის“ შემდგომ „თბილისის სამუშაო დღეს“.

„საანგარიშო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს იმ თარიღიდან (და მისი ჩათვლით), რომელიც ემთხვევა ოთხი „თბილისის სამუშაო დღით“ ადრე იმ ექსტრემიანი პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც წინ უძღვის შესაბამისი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღეს (ან ნებისმიერ ასეთ თარიღს, როდესაც „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი) და ისეთ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით), რომელიც ემთხვევა ოთხი „თბილისის სამუშაო დღით ადრე“ ასეთი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე.

„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy./tibr>.

„ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელ გვერდს, სხვა გამოქვეყნებულ წყაროს, ინფორმაციის ვენდორს ან პროვაიდერს, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანის“ ადმინისტრატორის მიერ; ან (ii) თუ ასეთ

ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი (გარემოებების შესაბამისად), ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავდება ადმინისტრატორისგან).

(დ.გ.) საკრედიტო რეიტინგის პროცენტი

ემიტენტის საკრედიტო რეიტინგის შესაბამისად, „საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“ განისაზღვრება შემდეგნაირად:

რეიტინგი	პროცენტი
BB	-0.25% წლიურად
BB-	-0.25% წლიურად
B+	+0.00% წლიურად (რჩება უცვლელი)
B+ის ქვემოთ/რეიტინგი არ ქონა	+2.75% წლიურად

„საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“ განისაზღვრება „TIBR3M“ განაკვეთის განახლების თარიღის მომენტში არსებულ ემიტენტის საკრედიტო რეიტინგს.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ექნება აღებული რამოდენიმე რეიტინგი ზემოთ ხსენებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოებისგან, უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს კუპონური განაკვეთის დათვლის მიზნებისთვის.

საკრედიტო რეიტინგის შეცვლა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული ნებისმიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის მიერ კომპანიის რეიტინგის შეცვლა გავლენას იქონიებს „საპროცენტო განაკვეთზე“.

კომპანია ვალდებულია იღებდეს, რომ ობლიგაციების დაფარვამდე განახლებს რეიტინგს პერიოდულად და ასეთ რეიტინგს მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული ნებისმიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიისგან.

7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) გამოსყიდვა:

„ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“, შესაბამისი ოდენობის (შესაძლოა ნაწილობრივადაც), გამოსყიდვა.

აღნიშნულ შემთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას. თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შექმნილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება „დაფარვის დათქმულ თარიღზე“, როგორც განსაზღვრულია „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. დაუშვებელია „ობლიგაციების“ განაღდება ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

ემიტენტის შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაარწმუნებს „ობლიგაციონერებს“ რომ მათ უწყევს, ან მოუწყევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) შექმნა:

„ემიტენტსა“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ „ობლიგაციები“ ნებისმიერ ფასად ღია საბაზრო ოპერაციის მეშვეობით ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ან მათი სახელით შექმნილი ამგვარი „ობლიგაციები“ არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებენ მხედველობაში (არ ჩაითვლება „დაუფარავად“) „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

8. გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(I) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე, 18.00 საათის მდგომარეობით (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“) „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორებისთვის“. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორებმა“ უნდა უზრუნველყონ „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „დეპოზიტარისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც ემიტენტი, „დეპოზიტარი“, „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების

შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ „ანგარიშის მწარმოებელს“ ან/და „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარი“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშის მწარმოებელთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიკვიტოს მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ საბანკო ანგარიში არ არის ლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(III) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(IV) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(ბ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „დეპოზიტარი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და „პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „დეპოზიტარი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ ან/და „განთავსების აგენტთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „დეპოზიტარისთვის“ გაზიარებულ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარში და მისცეს „დეპოზიტარს“ დავალება აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ აღნიშნულ

საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირითადი თანხის) გადარიცხვა „ობლიგაციონერთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქალაქების პროპორციულად; ხოლო, „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

ემიტენტის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ.

10. დეფოლტის შემთხვევები

(I) თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის არანაკლებ 25%-ს (ოცდახუთ პროცენტს) უფლებამოსილები არიან „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:

„ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ/ვერ ასრულებს „პროსპექტით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც „ობლიგაციონერების“ დასაბუთებული მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი)დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი:

(I) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ წასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) შესაბამის დაფარვის შეთანხმებულ ვადად ვადასახდელი რომელიმე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც განსაზღვრულია), ან

(II) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულების“ გადახდა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში, ან შესაბამის შემთხვევებში, თავდაპირველად დადგენილი საშელავათო პერიოდის გათვალისწინებით;

თუ „პირობების“ ამ მე-10(გ.I) და (გ.II) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ამგვარი შეუსრულებელი შესაბამისი „ვალდებულებ(ებ)ის“ ერთი ან რამდენიმე შემთხვევისთვის ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს)..

(დ) გადახდისუნარობა:

(I) მიკრობანკი გადახდისუნარო შეიძლება გახდეს როგორც მიკრობანკის საქმიანობის ლიკენზიის მოქმედების პერიოდში, ისე მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დროს. მიკრობანკი გადახდისუნაროა, როდესაც მისი აქტივები (განურჩევლად მათი ვადიანობისა) ვეღარ ფარავს მისივე ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ჯამს, განურჩევლად მათი ვადამოსულობისა. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკრობანკის გადახდისუნარობის დადგენისათვის მიკრობანკის მთლიანი აქტივების ღირებულება გაიანგარიშება სალიკვიდაციო ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით. ლიკვიდატორის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკრობანკი გადახდისუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოაცხადოს. მიკრობანკის გადახდისუნაროდ ან გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

(II) „ემიტენტის“ აქციონერები/პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან „ემიტენტის“ დაშლის რაიმე გეგმას; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს), ან ამგვარი აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ „სააქციო კაპიტალის“ სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20% (ოცი პროცენტი) ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:

არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობის, განკარგულების, მოწონების, ავტორიზაციის, გამონაკლისის, მიმართვის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მოპოვება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, გადახდის ვალდებულებების შესრულება, ასევე ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „პროსპექტი“ დასაშვებ იქნას დავების განმხილველ ნებისმიერ ორგანოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ემიტენტი“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“, „პროსპექტიდან“ გამომდინარე რომელიმე მატერიალურ ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი მატერიალური ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

(II) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას, რომ:

- ა) შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს ობლიგაციონერებს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).
- ბ) წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში „ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ „გამომშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

ა) „ობლიგაციონერების“ კრებები

„პირობები“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის „პროსპექტის“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრეთა ხმების 85% (ოთხმოცდახუთი პროცენტი)-ით გადაწყვეტილების (შემდგომში „სპეციალური გადაწყვეტილება“) მიღების თაობაზე, წინამდებარე „პროსპექტის“ (მათ შორის, „პირობებში“) დებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით. ასეთი კრება შეიძლება მოწვეული იქნას იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) მიერ, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის

არანაკლებ 10%-ს (ათ პროცენტს). ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხი, სხვა დაკავშირებულ თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვას: (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილებას; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას; (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას; (v) თანხმობის განცხადებას „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლას (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი „მარეგულირებელი კანონმდებლობით“), (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილებას; (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას 11 (ბ) ქვეპუნქტის შეუზღუდავად; ასეთ შემთხვევებში, „სპეციალური გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმის აუცილებელი ოდენობა არის 2 (ორი) ან მეტი პირი, რომლებიც განსახილველ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ მხოკავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 85% (ოთხმოდახუთი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება დამსწრეების ხმათა არანაკლებ 51% (ორმოდათერთმეტი პროცენტი) უმრავლესობით (შემდგომში „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ამგვარი კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და განხილვის დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 5% (ხუთი პროცენტი) მფლობელ „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის 51% (ორმოდათერთმეტი პროცენტი) მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - 2 (ორი) ან მეტი პირს, რომელიც არის ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

„დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51% (ორმოდათერთმეტი პროცენტი) ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

ბ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ ან იმ „ობლიგაციონერებს“, რომლებიც ერთობლივად ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ სულ მცირე 10% (ათო პროცენტი) (შემდგომში „კრების მოწვევის ინიციატორი“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ და „ემიტენტს“ უნდა გაუზიაროს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება უნდა გაიზიაროს მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან მათი წარმომადგენლები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთს შორის; ამგვარად თავმჯდომარის არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს აირჩევს „ემიტენტი“. თავმჯდომარე შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, იყოს „ობლიგაციონერი“ ან მისი წარმომადგენელი. თავმჯდომარედ მესამე პირის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული პირი უნდა იყოს მიუკერძოებელი. გადადებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე თუ ქვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) წუთის გასვლის შემდეგ არ არის ქვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს და იგი უნდა გადაიდოს იმ თარიღზე, რომელიც იქნება პირველი კრებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) და არაუგვიანეს 42 (ორმოცდაორი) კალენდარული დღისა, ასევე იმ დროსა და ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე.

გ) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავმჯდომარის, „ემიტენტის“, ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე ყველა პირს აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ ერთეულ „ობლიგაციაზე“, რომელსაც ის ფლობს ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადაწყვეტილი ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეულ უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან პროცესები სათანადოდ განხორციელებულად.

„ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი გადაწყვეტილების სათანადოდ მიღებისა და მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. ხოლო „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

დ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით (მაგ: გამოიყენებენ თუ არა სანოტარო სააღსრულებო ფურცლის აღების საფუძველზე პროცესის დაწყების უფლებას; მიმართავენ თუ არა მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელიმე მექანიზმის აღსრულებას და თუ მიმართავენ, რომელს/რომლებს და ა.შ.); (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

12. აღსრულება

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ შესაბამისი სააღსრულებო წარმოების დაწყება „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი მითითება „სპეციალური გადაწყვეტილება“.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ აღსრულების რომელიმე ღონისძიება. ასევე, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

13. პუნქტის ბათილობა

„პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

14. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ უნდა მიეწოდოს ან შეტყობინების გამოქვეყნებით (მათ შორის, შეუზღუდავად, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით), ან წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ „ობლიგაციების“ „ანგარიშის მწარმოებლის“ ელ-ფოსტაზე ან მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებლებს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებლებს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;

ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;

დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;

ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;

ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საჯარო რეესტრის პორტალი ან საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი;

15. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

<p>"აკრძალულ გადახდას" აქვს "პირობების" 5(ზ) პუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა;</p>
<p>"არსებითად უარყოფითი გავლენა" ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), "ემიტენტის" ან "ჯგუფის" ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) "ემიტენტის" უნარზე, შეასრულონ მათი "ობლიგაციებით" ან "გარანტიებით" გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) "ობლიგაციების" ან "გარანტიების" მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.</p>
<p>„ანგარიშის მწარმოებელი“ არის სს „გალტ ენდ თაგარტი“ და ასევე სხვა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.</p>
<p>„დეპოზიტარი“ არის სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400).</p>
<p>"აფილირებული პირი" რომელიმე კონკრეტულ "პირთან" მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ "პირს" ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული "პირის" მიერ ან იმყოფება ამ "პირთან" ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც არის ამ კონკრეტული "პირის", მისი "შვილობილის" ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა "პირის" დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.</p>
<p>"გადავადებული განთავსების თარიღი" ნიშნავს ნებისმიერ თარიღს "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "შეთავაზების პერიოდის" დასრულებამდე, როდესაც ხდება "ობლიგაციის" განთავსება "გადავადებული განთავსების ფასით".</p>
<p>"გადავადებული განთავსების ფასი" ნიშნავს "ობლიგაციების" ნომინალური ღირებულებას დამატებული "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "ობლიგაციების" "გადავადებული განთავსების თარიღამდე" დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.</p>
<p>"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების "გამოშვება, როგორც ეს დადგენილია "შეთავაზების პირობების დოკუმენტით".</p>
<p>"განმეორებითი კრება" არის "ობლიგაციონერთა" განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.</p>
<p>"დამოუკიდებელი შემფასებელი" არის "აუდიტორული კომპანია" ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა "ემიტენტის" მიერ და (ა) წარმოადგენს ნებისმიერს დიდი ოთხეული საბუღალტრო/აუდიტორული ფირმიდან (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG ან PricewaterhouseCoopers და მათი წევრი ფირმები და ფილიალები), ან (ბ) დამტკიცებულ იქნება ობლიგაციონერთა კრების მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს "ემიტენტთან" "აფილირებული პირი".</p>
<p>"დაუფარავი" გულისხმობს ისეთ "ობლიგაციებს", რომლებიც განთავსებულია, მაგრამ არ მომხდარა მათი გამოსყიდვა, დათქმულ ვადამდე ან ვადამოსულობის გამო დაფარვა ან გაუქმება ამ "პირობების" შესაბამისად ("დაფარვა" განიმარტება შესაბამისად).</p>
<p>"დაფარვის დათქმული თარიღი" ან "დაფარვის თარიღი" ნიშნავს პროცენტის ან ძირის ნებისმიერი შენატანისთვის ნებისმიერი "ვალდებულების" სერიაზე ისეთ თარიღს, რომელზეც დაგეგმილია პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდა აღნიშნული "ვალდებულების" მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მისი წარმოქმნის პირველი თარიღიდან წინამდებარე "პირობების" შესაბამისად და არ მოიცავს რაიმე პირობით ვალდებულებას აღნიშნული პროცენტის თუ ძირის თავდაპირველად დათქმულ ვადამდე გადასახდელად. "ობლიგაციებისთვის" მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის</p>

არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებულ "დაფარვის თარიღს" განსაზღვრავს "შეთავაზების პირობების დოკუმენტი."
"ვალდებულება" ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):
(ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,
(ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,
(გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული ბიზნეს- საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,
(დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით,
(ე) სხვა „პირების“ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს,
(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით,
(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას,
(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან, და
(კ) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,
და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.
"კონტროლი" , წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს :
ა) (აქციების ფლობით, განკარგვის ან წარმომადგენლობის უფლებით ან სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად) იმის ძალაუფლება რომ:
i. შეეძლოს აქციონერთა კრებაზე მისაცემი მაქსიმალური ოდენობის ხმების ნახევარის განკარგვა ან განკარგვის გაკონტროლება; ან
ii. შეეძლოს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს ან ექვივალენტი ოფიცრების სრული შემადგენლობის ან მისი უდიდესი ნაწილის ნაშიშვნა ან გათავისუფლება; ან
iii. შეეძლოს საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკებთან მიმართებაში ისეთი განკარგულებების გაცემა, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის, ან კომპანიაში მისი ექვივალენტი ორგანოსთვის; ან
ბ) კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტის ფლობას (კაპიტალის იმ ნაწილის გამოკლებით რომელსაც არ გააჩნია კომპანიის კაპიტალის გამოშვებასა თუ მოგების განაწილებაში მითითებულ ოდენობაზე მეტით მონაწილეობა)
"მარეგულირებელი კანონმდებლობა" ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობას.

<p>"მესაკუთრე" გულისხმობს "ემიტენტის" "შვილობილს", რომელიც მიწის ნაკვეთებთან მიმართებით წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს და აღნაგობის უფლებით მოსარგებლეს, რომლებიც "იპოთეკის ხელშეკრულებით" იპოთეკით დაიტვირთება "ობლიგაციონერების" სასარგებლოდ.</p>
<p>"მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები" ან "კონსოლიდირებული აქტივები" ნიშნავს ნებისმიერ "პირთან" მიმართებით და განსაზღვრის თარიღისთვის, აღნიშნული "პირის" და მისი კონსოლიდირებული "შვილობილების" კონსოლიდირებულ ჯამურ აქტივებს, როგორც წარმოდგენილია აღნიშნული "პირის" მიერ "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" მიხედვით მომზადებულ და გამჟღავნებულ უახლეს ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.</p>
<p>"მნიშვნელოვანი შვილობილი" არის ემიტენტის ნებისმიერი „შვილობილი“:</p>
<p>(ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით); ან</p>
<p>(ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება ემიტენტის იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“.</p>
<p>"მშობელი" ნიშნავს ნებისმიერ "პირს", რომლის "შვილობილსაც" წარმოადგენს, ან "გამოშვების თარიღის" შემდგომ გახდება, "ემიტენტი", რის შედეგადაც ასეთ "პირს" აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი უფლებამოსილება, წარმართოს ან განსაზღვროს "ემიტენტის" მენეჯმენტისა და პოლიტიკის მიმართულება, ხმის მიცემის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების ფლობის მეშვეობით თუ სხვაგვარად.</p>
<p>"ნებადართული უზრუნველყოფა" არის:</p>
<p>(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;</p>
<p>(ბ) „შვილობილის“ მიერ ემიტენტის, ან ემიტენტის სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;</p>
<p>(გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარი შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შემთხვევაში „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);</p>
<p>(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შემენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შემენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შემენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);</p>
<p>(ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან/და ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ ოდენობას;</p>
<p>(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბლანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით;</p>

<p>(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაცივმა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს);</p>
<p>(თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათი ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად;</p>
<p>(ი) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;</p>
<p>(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით ან/და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება“. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, (კ) პუნქტის მიზნებისთვის, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფად კომპანიის სასესხო პორტფელის დაგირავება ჩაითვლება „ნებადართულ უზრუნველყოფად“.</p>
<p>(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (კ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ ჯამური ძირი თანხა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არ აღემატება „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს)</p>
<p>(მ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (ლ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ შესაბამისი უზრუნველყოფის საგნების სამართლიანი საბაზრო ღირებულება არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს) პროცენტს.</p>
<p>"ობლიგაციონერი" / „ინვესტორი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ მესაკუთრეს.</p>
<p>"პირი" არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.</p>
<p>"პოტენციური დეფოლტის შემთხვევა" ნიშნავს იმგვარ მოვლენას ან გარემოებას, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე შესაძლოა გახდეს "დეფოლტის შემთხვევა".</p>
<p>"პროსპექტს", "წინასწარ პროსპექტს", "საბოლოო პროსპექტს", "შეთავაზების პირობების დოკუმენტს", "საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს", "შეთავაზებას" (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე "პირობებში" აქვს "ფასიანი ქაღალდების კანონის" შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.</p>
<p>"რეპო ოპერაცია" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.</p>

<p>"სამართლიანი საბაზრო ღირებულება" ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის.</p>
<p>"სამუშაო დღე" არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.</p>
<p>"უზრუნველყოფის ღონისძიება" ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად აღნიშნული რეგისტრირებული, დაფიქსირებული ან სხვაგვარად აღრიცხული არის თუ არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პირობითი გაყიდვის ან სხვა საკუთრების შენარჩუნების ხელშეკრულების ჩათვლით, ნებისმიერი იჯარა, ნებისმიერი ოფცია ან სხვა შეთანხმება უზრუნველყოფის უფლების გაყიდვის ან გადაცემის შესახებ და ნებისმიერი განცხადებით მიმართვა ან შეთანხმება ფინანსირების შესახებ (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).</p>
<p>"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;</p>
<p>"ფასიანი ქაღალდების კანონი" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.</p>
<p>"ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობას" აქვს "ფასიანი ქაღალდების კანონის" შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.</p>
<p>"ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები" ("IFRS") არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).</p>
<p>"ფისკალური პერიოდი" არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც "ემიტენტს" მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად.</p>
<p>"შეთავაზების დასრულების თარიღს" აქვს "შეთავაზების ძირითადი პირობებში" განსაზღვრული მნიშვნელობა.</p>
<p>"შვილობილი" ნებისმიერ "პირთან" (შემდგომში "პირველი პირი") მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე "პირს" (შემდგომში "მეორე პირი") (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება "პირველი პირის" მიერ, ან (ბ) რომელშიც "პირველი პირი" პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;</p>
<p>"ჯგუფი" გულისხმობს "ემიტენტს" და მის "შვილობილებს" ერთობლიობაში.</p>
<p>"გადასახადი" ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.</p>
<p>"საქართველოს საფონდო ბირჟა" ("GSE") ნიშნავს სს "საქართველოს საფონდო ბირჟას".</p>
<p>„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათისა და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, უცხოურ საფონდო ბირჟებზე და სავალუტო ოპერაციებისთვის) თბილისში, საქართველოში;</p>
<p>„სამუშაო დღის კონვენცია“ ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს ("Modified Following"), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“</p>

გადანაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადანაცვლებს წინა „სამუშაო დღეს“.

„TIBR3M“ ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR3M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით 11:00 საათისთვის. გამოქვეყნებული განაკვეთი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ.

„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ (იგივე, „სააღრიცხვო თარიღი“) ნიშნავს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრინდელ თარიღს „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე.

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს პროცენტის გადახდის თარიღამდე და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს შემდეგ მისამართზე არსებულ გვერდს: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr> ან (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, ინფორმაციის ვენდორი ან პროვაიდერი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული ადმინისტრატორად ეროვნული ბანკის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისის პროვაიდერი (გარემოებების მიხედვით), ჩამნაცვლებელი საჩვენებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანიშნული შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავებულია ადმინისტრატორისგან), როგორც ეს განსაზღვრულია „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ“, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს „დეპოზიტარს“ და „ემიტენტს“.

„ხელმძღვანელი ინვესტორი“ არის ინვესტორი, რომლის მიერ „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე ინტერესის გამოსახატად შევსებული განაცხადიც იქნა დაკმაყოფილებული და აღნიშნული განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება დადასტურებული იქნა კვლავ ინვესტორის მიერ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

„შეთავაზების პერიოდი“ განისაზღვრება „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად.

16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: პროსპექტი და ობლიგაციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და ობლიგაციების გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შემენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, „ობლიგაციონერებისთვის“ (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადის 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ პროცენტი მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან.

ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, ობლიგაციის გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტისანი გადასახადის განაკვეთით იბეგრება (დასაბეგრი თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონრებზე“, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონრებზე“, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.